საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
20 – 26 იანვარი, 2016
№2 (331)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



ჯეფრი სილვერმანი:
## ინფორმაცია მომაწოდეს სააგადმყოფოს თანამშრომლებმა, მითხრეს, რომ დაემუქრნენ, ამ შემთხვევაზე არავისთვის ეთქვათ
8

# ბიძოკიო



«ქართული ოცნება» «ქართული ბლეფი» აღმოჩნდა
7

6

ღირსეული დასაქმება ყველას

გაზის საფასური შემცირდება 3-ჯერ

გაიხსნება ასობით და ათასობით საწარმო

პენსიონერს არანაკლებ 220 ლარისა ექნება პენსია, ამას დაემატება წელთა ნამსახურება

პენსია არ იქნება რეალურ საარსებო მინიმუმზე ნაკლები

2 სააკაშვილმა უკრაინელი სამხედროების განლაგების საიდუმლო ინფორმაცია ინტერნეტში გამოაქვეყნა

3 ჯონ კერი დაჩოქილმა და მტირალმა ამერიკელმა ჯარისკაცებმა გააღიზიანეს

5 «ეს ხალხი «ნაცრეჟიმის» ნამსხვრევებისა და მათი ოდესელი სანრო-გუბერნატორის დაკვეთას ასრულებს»

9 «ისლამური ექსტრემიზმის გააქტიურება საფრთხის შემცველია მთლიანად ქრისტიანული ცივილიზაციისთვის»

11 «გონიერი მმართველი რუსეთის ბაზარს არ დაკარგავს»

20 მიგრანტები ევროპას თავიანთ პირობებს კარნახობენ

# შიში და სიძულვილი ოდესაში

4

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## H1N1 ვირუსის გავრცელების ინტენსივობის ზრდა მომავალი კვირიდანაა მოსალოდნელი




**H1N1 ვირუსის გავრცელების ინტენსივობა მომავალი კვირიდან მოიმატებს, 5-8 კვირის შემდეგ კი — შემცირდება.** H1N1 საქართველოში ყველა ასაკობრივ ჯგუფშია გავრცელებული. დაავადებათა ცენტრის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ამჟამად გრიპის გავრცელების ინტენსივობა ეპიდემიოლოგიურ ზღურბლს არ აჭარბებს და შეადგენს 248 შემთხვევას ყოველ 100 ათას მოსახლეზე. ეპიდემიოლოგიური ზღვარი 100 ათას მოსახლეზე 450-500 შემთხვევაა. ამჟამად ქვეყანაში აცრილია 20 ათასამდე ადამიანი, მათ შორის 12 ათასი მაღალი რისკის ჯგუფში შემავალი ადამიანი. დაავადებათა კონტროლის ცენტრის ცნობით, ეს ვირუსი საფრთხეს უქმნის ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებს, ორსულებსა და ბავშვებს, ამიტომ ისინი უნდა მოერიდონ ხალხმრავალ ადგილებს და ვირუსის სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართონ ექიმს.




## 2015 წელს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას 69 ჟურნალისტი მოკლეს

**2015 წელს მსოფლიოში პროფესიული მოვალეობის შესრულებისას 69 ჟურნალისტი მოკლეს. ამ ინფორმაციას ჟურნალისტების დაცვის კომიტეტი ავრცელებს. ორგანიზაციის ცნობით, მოკლული ჟურნალისტების 2/3 მიზანმიმართულად, მათი საქმიანობის გამო გამოასალმეს სიცოცხლეს.**

დაღუპული ჟურნლაისტების 40% ტერორისტული დაჯგუფებების — „ალ ქაიდასა“ და „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა მოკლეს.

ყველაზე საშიში ქვეყანა ჟურნალისტებისთვის კვლავ სირია რჩება. მეორე ადგილზე ერაყია. ამ სიაში მოხვდნენ იემენი, სამხრეთ სუდანი, ინდოეთი, მექსიკა და ფილიპინები.

„რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ ცნობით, 2005 წლიდან მსოფლიოს მასშტაბით 787 ჟურნალისტი დაიღუპა, 54 ჟურნალისტი ტყვეობაში რჩება, 153 — ციხეში იმყოფება.



## შეღავათების ჩამონათვალი, რომლებიც მთაში მცხოვრებთათვის 1 იანვრიდან ამოქმედდა

**1 იანვარიდან მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონი ამოქმედდა, რომლითაც მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის მთელი რიგი სოციალური შეღავათები წესდება.** მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონი საგადასახადო შეღავათების ნაწილში სრულად ამოქმედდება, რაც იმას გულისხმობს, რომ არალიცენზირებადი საქმიანობის გარდა ყველა ტიპის წარმოება გადასახადებისგან (გარდა დღგ-სა) გათავისუფლებული იქნება. ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერის მიზნით კი 1 იანვრიდან ძალაში შევიდა პირველ და მეორე ბავშვზე ყოველთვიური დახმარების გაცემა, ანუ ამიერიდან ყველა ოჯახი, რომელსაც პირველი ან მეორე შვილი შეეძინება, ყოველთვიურ 100-ლარიან დახმარებას მიიღებს. რაც შეეხება მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონით გათვალისწინებულ სოციალურ შეღავათებს, ის ძალაში 2016 წლის სექტემბრიდან შედის. კერძოდ, სექტემბრიდან სოფლის ექთნები 180-ლარიან დანამატს მიიღებენ, ხოლო სოფლის ექიმებისთვის გათვალისწინებულია 360-ლარიანი დანამატი. სექტემბრიდან ძალაში შედის სოციალური შეღავათები განათლების სფეროში და მაღალმთიანი რეგიონების პედაგოგები მიიღებენ საბაზისო დაფინანსებაზე 35%-დან 40%-მდე დანამატს. გარდა ამისა, მაღალმთიანი რეგიონების სკოლები ახალი სასწავლო წლიდან გაორმაგებულ ვაუჩერებს მიიღებენ. სოციალური შეღავათები გათვალისწინებულია მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პენსიონერებისთვის, რომლებიც 2016 წლის სექტემბრიდან 216 ლარამდე გაზრდილ პენსიას მიიღებენ. სოციალური შეღავათები ასევე გათვალისწინებულია ელექტროენერგიის მოხმარების კუთხით და გათბობით უზრუნველსაყოფად.

მთავრობამ მაღალმთიანი დასახლებების ნუსხა 30 დეკემბერს გამართულ სხდომაზე დაამტკიცა და ეს სტატუსი 1582 დასახლებას მიენიჭა.

## უილიამ კორტნი: ახლო მომავალში საქართველოსთვის ნატოს წევრობა შეუძლებელი ჩანს



**„ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა საქართველოში — უილიამ კორტნიმ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრების შესაძლებლობაზე ისაუბრა.**

„საქართველოსთვის ახლო მომავალში ნატოს წევრობა შეუძლებლი ჩანს რამდენიმე მიზეზის გამო: საქართველო ჯერ კიდევ ღარიბია. ერთ სულ მოსახლეზე მისი შემოსავალი ბულგარეთის შემოსავალზე ორჯერ ნაკლებია. ბულგარეთი კი ნატოს უღარიბესი წევრია. ეკონომიკური რეფორმები და ეკონომიკური ზრდა გადამწყვეტია საქართველოს მისწრაფებისთვის, გაწევრდეს ნატოში. მეორე მიზეზი არის ის, რომ ნატოს ქვეყნებს ალიანსში უკვე მიღებული ახალი წევრების ინტეგრაცია ჯერ არ დაუსრულებიათ. ნატო ფოკუსირებულია ბალტიის ქვეყნების დაცვაზე შესაძლო საფრთხეებისგან. ვფიქრობ, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ნატოს ყურადღება მისი წევრების უსაფრთხოებაზე იქნება გადატანილი“, — განაცხადა კორტნიმ.

## სააკაშვილმა უკრაინელი სამხედროების განლაგების საიდუმლო ინფორმაცია ინტერნეტში გამოაქვეყნა

**ოდესის ოლქის გუბერნატორი კიდევ ერთი სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა, როდესაც ინტერნეტში გამოაქვეყნა საიდუმლო ინფორმაცია დონბასის ოლქში მარიუპოლთან დისლოცირებული უკრაინელი ძალოვანების პოზიციების შესახებ.**



მიხეილ სააკაშვილი გაემგზავრა ანტიტერორისტული ოპერაციის (ასე უწოდებს ოფიციალური კიევი სამხედრო მოქმედებებს დონბასის დამოუკიდებლობის მომხრეთა წინააღმდეგ) ზონაში. იქ მან მარიუპოლთან განლაგებული უკრაინული ბატალიონის — „შტურმის“ მებრძოლები მოინახულა, პარალელურად უკრაინელთა პოზიციებს ვიდეო გადაუღო და რუკასთან ერთად ინტერნეტში გამოაქვეყნა.

„სააკაშვილის მიერ ინტერნეტში ატვირთულ ვიდეოზე ასახულია ყველაფერი — ადგილმდებარეობა, საიდუმლო ბლოკპოსტები და ოპერატიული რუკაც კი მეთაურის განმარტებებით. მებრძოლებს სახეები დაფარული არ აქვთ“, — ნათქვამია უკრაინელი ძალოვანების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სამხედრო მოსამსახურეები აღშფოთებას ვერ მალავენ სააკაშვილის საქციელის გამო.

„ჩვენი ყველა ბლოკპოსტისა და მებრძოლების ვიდეოზე აღბეჭდვა და ინტერნეტში განთავსება, უბრალოდ, უმაღლესი დონის „პროფესიონალიზმია“. ამის შემდეგ ჩვენს ბიჭებს სეპარატისტები დაემუქრნენ“, — განაცხადა კამერის წინ უკრაინული ბატალიონის ერთ-ერთმა მებრძოლმა, როდესაც სახე დაფარული ჰქონდა.

უკრაინის გენშტაბმა სააკაშვილის საქციელის ოფიციალურად კომენტირებისგან თავი შეიკავა, მაგრამ განაცხადა, რომ ამ საქმეში კონტრდაზვერვა უნდა ჩაერთოს. ამით მიანიშნა, რომ ეს „არის პოლიტიკური პიარი, რომელიც დივერსიად შეიძლება კვალიფიცირდეს“.

## სექსუალურად აღმგზნები წამლის გამოფენა-გაყიდვა და პრეზენტაცია საჯარო სკოლაში

**ერთ-ერთი სარეკლამო გაზეთი, რომელიც, ბოლო დღეებია, ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება, მკითხველს კონკრეტული წამლის სასიკეთო თვისებებზე მოუთხრობს.**

სტატიის თანახმად, „ეს წამალი აზიაში განთქმულია მამაკაცის სასქესო ჰორმონ-ტესტოსტერონის დონის ამაღლებით. ეს არის საშუალება, რომელსაც მამაკაცები და ქალბატონები უძველესი დრიდან იყენებდნენ სასქესო და რეპროდუქციულ ფუნქციებთან






გამოფენა-გაყიდვა, აგრეთვე დანერგილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიმართება შემდეგ მისამართებზე:

21 იანვარი, 2016 წელი

| | | |
|---|---|---|
| წნორი | 10.00–11.00 | თავისუფლების №54, №1 საჯარო სკოლაში |
| ლაგოდეხი | 12.00–13.00 | წმინდა ნინოს №4, კინოთეატრი [illegible] |
| გურჯაანი | 14.00–15.00 | თავისუფლების №13, რესტორანი „კახეთი“ |
| თელავი | 16.00–17.00 | 26 მაისის №5 (ქალაქის სახლი) |

22 იანვარი, 2016 წელი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 10.00–12.00 | ბახტრიონის №22 |

დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად“. „აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, აღძრავს სურვილს, ამყარებს ერექციას, ზრდის გამძლეობას და შრომისუნარიანობას, ახანგრძლივებს სქესობრივ აქტს, აძლიერებს იმუნიტეტს“, — ვკითხულობთ სტატიაში. იქვე განმარტებულია, რომ წამალი რეკომენდებულია ერექციის დისფუნქციისას, ორგაზმისა და ერექციის გასაძლიერებლად; სქესობრივი ლტოლვისა და აგზნების გასაძლიერებლად და ა.შ. გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციის მიხედვით, წამლის პრეზენტაცია 21 იანვარს წნორში, №1 საჯარო სკოლაში, სასწავლო პროცესის დროს — 10-დან 11 საათამდე გაიმართება. აღნიშნულ ინფორმაციას უარყოფენ განათლების სამინისტროში.



## მიტინგი ნაცისტური დროშებით

**ავსტრიელებმა და ბულგარელებმა არალეგალების წინააღმდეგ გაილაშქრეს.** ავსტრიაში ათასობით ადამიანი გამოვიდა ლტოლვილთა მიღების საწინააღმდეგო აქციაზე. მათ ხელში ეჭირათ რესპუბლიკის დროშები და გაჰყვიროდნენ: „არა მიგრანტებს!“. ანალოგიური საპროტესტო აქცია გაიმართა ბულგარეთის დედაქალაქ სოფიასა და ქალაქ ბურგასში, ოღონდ იქ აქციის მონაწილეებს ბულგარეთის დროშებთან ერთად ნაცისტური დროშებიც ეჭირათ.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

Bloomberg VIEW

# აშშ-მა და ევროკავშირმა ჩააფლავეს პროექტი «უკრაინა»

**უკრაინის ხელისუფლებამ, ევროკავშირმა და აშშ-მა უკრაინაში დემოკრატიული პროცესები ჩააფლავეს, კიევსა და დასავლეთს შორის ურთიერთობაში ბზარები გაჩნდა, სახელმწიფო გადატრიალებები კი შეიძლება კვლავაც მოხდეს, — წერს კომპანია „ბლუმბერგის“ მიმომხილველი ლეონიდ ბერშიდსკი.**



„ღირსების რევოლუციიდან ერთი წლის შემდეგ უკრაინა გამოიყურება, როგორც შეუმდგარი და კორუფციაში ჩაფლული პოსტსაბჭოთა რეჟიმი. გასაკვირი არ არის, რომ კიევისა და დასავლეთის ურთიერთობაში, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, გაჩნდა ბზარები. რეფორმა არ შეხებია უკრაინის ეკონომიკას, არც კორუფცირებულ სასამართლო სისტემას. იზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკის როლი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, უკრაინის ეკონომიკა 11%-ით დაეცემა.

პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოსა და პრემიერ არსენი იაცენიუკის უახლოესი გარემოცვის სახელებს ხშირად უკავშირებენ კორუფციულ სქემებს საბაჟოსა და ენერგეტიკულ კომპანიებში. პოროშენკო კი უკრაინის ყველაზე მდიდარი ადამიანი გახდა, რომელმაც შარშან თავისი ქონება თითქმის გააორმაგა, დაპირება კი, ბიზნესს გავყიდიო, ეტყობა, დაავიწყდა.

უკრაინაში მიმდინარე პროცესებში ჩართულია ევროკავშირი და აშშ. ამერიკის საელჩო კიევში „ხელისუფლების ცენტრად“ იქცა. უკრაინელი პოლიტიკოსები უკვე დაუფარავად საუბრობენ, რომ თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების საკითხები აშშ-ის ელჩ ჯეფრი პაიეტთან და ვიცეპრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენთან თანხმდება (როგორც ჩანს, ამერიკელები ყველგან ერთნაირი ხელწერით მოქმედებენ — საქართველოშიც, უკრაინაშიც და, ალბათ, სხვა ქვეყნებშიც). მაგრამ ევროკავშირისა და აშშ-ის ძალისხმევა ამაოა — ოლიგარქებისა და კორუფცირებული ბიუროკრატიის ძალაუფლება იმაზე, რაც დარჩა უკრაინის ეკონომიკისგან, ძალიან დიდია“, — წერს ლეონიდ ბერშიდსკი.

**«უკრაინაში მიმდინარე პროცესებში ჩართულია ევროკავშირი და აშშ. ამერიკის საელჩო კიევში «ხელისუფლების ცენტრად» იქცა, უკრაინელი პოლიტიკოსები უკვე დაუფარავად საუბრობენ, რომ თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების საკითხები აშშ-ის ელჩ ჯეფრი ჰაიეტთან და ვიცეპრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენთან თანხმდება»**



### პოლ კრეიგ რობერტსი:

# აშშ ვერც პოლიტიკურად გაუმკლავდება რუსეთსა და ჩინეთს და ვერც ეკონომიკურად

**რუსეთისა და ჩინეთის მოსალოდნელი სტრატეგიული ალიანსი ვაშინგტონის მძლავრი ალტერნატივა იქნება და აშშ ვერ შეძლებს მისი გავლენისგან თავის დაღწევას, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების როგორც საგარეო პოლიტიკა, ისე ეკონომიკა შორს არის საუკეთესო მდგომარეობისგან, — ასეთია ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, პოლიტიკისა და ეკონომიკის ექსპერტის — პოლ კრეიგ რობერტსის თვალსაზრისი.**

„აშშ-ის საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია თაღლითობაზე. ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, აშშ-მა უკვე დაანგრია ავღანეთი, ერაყი, სომალი და ლიბია, დაანგრევდნენ ირანსა და სირიას, ამისთვის ხელი რუსეთის პრეზიდენტს რომ არ შეეშალა. ამჟამად ვაშინგტონის მძლავრი ალტერნატივა არის მოსალოდნელი ალიანსი რუსეთსა და ჩინეთს შორის, რომელიც დაუძლეველი იქნება აშშ-ისთვის. სწორედ რუსეთისა და ჩინეთის ერთობლივი ძალისხმევით იქნება თავიდან აცილებული მათი უსაფრთხოებისა და ნაციონალური ინტერესების ხელყოფა აშშ-ის მხრიდან და ეს ალიანსი მხარდამჭერ ქვეყნებსაც დაიცავს. მომავალში კი სულ უფრო მეტი ქვეყანა მოისურვებს რუსეთისა და ჩინეთის ფრთებქვეშ ყოფნას. ამასთანავე, აშშ-ს აქვს სერიოზული პრობლემები საშინაო პოლიტიკის სფეროშიც, თვითონ ამერიკა კი ჩაფლავდა ეკონომიკურ ფრონტზე. ეს ვლინდება იმაში, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, არ დარჩა თავისუფალი ფინანსური ბაზარი. ასეთ ბაზრებს, ძირითადად, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა და ხაზინა აკონტროლებს.

ამ ყველაფერთან ერთად, ქვეყანაში იზრდება უმუშევრობის დონე, ოფიციალური მონაცემები კი (5%) ძალიან შემცირებულია, რადგან ამერიკელი ახალგაზრდების 50% დამოუკიდებელ ცხოვრებას ვერ უზრუნველყოფს. აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, რომელიც თითზე ჩამოსათვლელი ბანკების ინტერესების დაცვას ემსახურება, 2004 წლის კრიზისის შემდეგ ეკონომიკური აღორძინების ილუზია შექმნა, როდესაც ტრილიონობით დოლარი დაბეჭდა და ფინანსურ აქტივებში მიმართა და არა — ეკონომიკაში.

საბოლოოდ კი, აშშ ვერც პოლიტიკურად გაუმკლავდება რუსეთსა და ჩინეთს და ვერც ეკონომიკურად.

**«აშშ-ის საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია თაღლითობაზე. ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით აშშ-მა უკვე დაანგრია ავღანეთი, ერაყი, სომალი და ლიბია, დაანგრევდნენ ირანსა და სირიას, ამისთვის რუსეთის პრეზიდენტს რომ არ შეეშალა ხელი. ამჟამად ვაშინგტონის მძლავრი ალტერნატივა არის მოსალოდნელი ალიანსი რუსეთსა და ჩინეთს შორის, რომელიც დაუძლეველი იქნება აშშ-ისთვის»**



# ჯონ კერი დაჩოქილმა და მტირალმა ამერიკელმა ჯარისკაცებმა გააღიზიანეს

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ „გაუგონარი“ უწოდა მოპყრობას ამერიკელი ჯარისკაცებისადმი, რომლებიც შეცდომით მოხვდნენ ირანის ტერიტორიულ წყლებში და ამის გამო ადგილობრივი უშიშროების ძალებმა დააკავეს.**



აშშ-ის დიპლომატიური კორპუსის მეთაურმა ტელეარხ CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ილაპარაკა განცდებზე, რომლებიც ამერიკელი ჯარისკაცების დაკავების კადრების ნახვის შემდეგ აღეძრა. ამ კადრებზე ამერიკელი ჯარისკაცები დაჩოქილი არიან და ტირიან.

„ძალიან გავნაწყენდი, გავღიზიანდი. ეს წარმოუდგენელი რამ იყო. მე ნათლად, ძალიან ნათლად მივანიშნე ირანელებს, რომ ეს ადამიანები (ამერიკელი მეზღვაურები — რედ.) აუცილებლად უნდა დაგვიბრუნდნენ ჩვენ, თანაც — დაუყოვნებლივ“, — განაცხადა კერიმ.

სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ სიტუაცია სწრაფად განიმუხტა, რადგან საქმეში ირანის უმაღლესი ხელისუფლება ჩაერია. არადა, ეს ინციდენტი სამი წლის წინათ რომ მომხდარიყო, ვითარება მძევლების აყვანითა და დიპლომატიური კრიზისით დასრულდებოდა.

აშშ-ის ორი სამხედრო კატერის ეკიპაჟები 12 იანვარს დააკავა ირანულმა საზღვაო პატრულმა სპარსეთის ყურეში, კუნძულ ფარსის ნაპირებთან. როგორც ამერიკელები ამბობენ, ისინი ირანის სანაპიროსთან მიახლოებას არ აპირებდნენ, მაგრამ სანავიგაციო მოწყობილობებმა უმტყუნა.

# 62 ადამიანი მსოფლიოს ნახევარი მოსახლეობის ქონებას ფლობს



**საერთაშორისო ორგანიზაცია Oxfam-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მსოფლიოს ეკონომიკა ბოლო 15 წლის განმავლობაში 67 ტრილიონი დოლარით გაიზარდა, მაგრამ ეს სიმდიდრე ადამიანების ვიწრო წრეშია თავმოყრილი.** 2010 წელს, Oxfam-ის მონაცემების მიხედვით, 388 ყველაზე მდიდარი ადამიანი ფლობდა მსოფლიოს ნახევარი მოსახლეობის ქონებას, მაგრამ ეს სურათი შეიცვალა — დღეს უკვე 62 ადამიანის ხელშია კონცენტრირებული მსოფლიოს მოსახლეობის ნახევრის (3.6 მილიარდი ადამიანის) ტოლფასი ქონება. დღეს მსოფლიოში უალრესად სახიფათო ტენდენციაა შეინიშნება: მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ღარიბები უფრო ღარიბდებიან.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**2015 წლის 11 თვის განმავლობაში ოდესაში რეგისტრირებულია 11 170 დანაშაული — 17,5%-ით მეტი, ვიდრე 2014-ში. ამავე დროს, 2194 ძარცვიდან გაიხსნა მხოლოდ 12,8%, მანქანის გატაცების 532 შემთხვევიდან კი — 17,5%. ოდესა, რომელიც ამ მხრივ ყოველთვის რთული ქალაქი იყო, ბოლო თვეებში ნამდვილ კრიმინალურ ჯოჯოხეთად გადაიქცა.**

# შიში და სიძულვილი ოდესაში

**საინტერესოა, როგორ ცხოვრობს დღეს მშვენიერი ზღვისპირა ქალაქი ოდესა, რომელიც ძებნილი მიხეილ სააკაშვილის ამბიციების დაკმაყოფილების პოლიგონად იქცა. სულ უფრო მეტი ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ დღეს ოდესის ოლქს იგივე პრობლემები აწუხებს, რომლებიც საქართველოს — რამდენიმე წლის წინათ.**



როდესაც ძებნილი სააკაშვილი თავის უკრაინულ თავგადასავლებზე მოგვითხრობს, გამოცდილ მსმენელს შეიძლება გარკვეული უკმარისობის განცდა გაუჩნდეს და ჩათვალოს, რომ ამ მონოლოგს აკლია მცირე შესავალი, ერთგვარი ეპიგრაფი ტერი გილიამის შესანიშნავი ფილმიდან „შიში და სიძულვილი ლას-ვეგასში“, კერძოდ კი შემდეგი მონაკვეთი: „ჩვენ გვქონდა ორი პარკი ბალახი, 75 აბი მესკალინი, 5 შეკვრა „ელ-ეს-დე“, კოკაინით ნახევრადსავსე სამარილე, ყველა სახეობისა და ფერის უამრავი ტრანკვილიზატორი, აგრეთვე, ტეკილა, რომი, ერთი ყუთი ლუდი, ერთი პინტი ნედლი ეთერი და ამილნიტრიტი. ვერ ვიტყვი, რომ ეს იყო საკმარისი მარაგი მოგზაურობისათვის, მაგრამ, თუ დაიწყე „წამლის“ მოგროვება, შეჩერება რთული ხდება. ერთადერთი, რაც ჩემს შეშფოთებას იწვევდა, ეთერი იყო. არაფერია უფრო უსუსური, უპასუხისმგებლო და გაფუჭებული, ვიდრე ეთერის ზომბი. ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ამ საზიზღრობაზე გადავიდოდით“. ასეთი შესავლის შემდეგ აუდიტორიას, ალბათ, გაცილებით გაუადვილდებოდა რეალობასა და სააკაშვილის მონათხრობს შორის პარალელებისა და პერპენდიკულარების გავლება. თავად განსაჯეთ: **„მაშ ასე: მას ჰქონდა 2 პარკი ბალახი, 75 აბი მესკალინი (პაუზა), ან უკვე აღარ ჰქონდა (პაუზა)... ის ოდესაში, სასტუმრო „ბრისტოლში“ ანტიკორუფციულ ფორუმს მართავდა“.**

ეს სასტუმრო იმავე ბიზნესმენებს ეკუთვნის, რომელთაგან სააკაშვილი ახლახან გახსნილი „ადმინისტრაციული მომსახურების ცენტრისთვის“ ფართობს ქირაობს და კვადრატულ მეტრში დაახლოებით 100 დოლარს იხდის. ოდესისთვის ეს წარმოუდგენლად მაღალი ფასია. ფიგურანტი თავს იმით იმართლებს, რომ ამ თანხაში რემონტის ხარჯიც შედის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ბიუჯეტიდან არანორმალურად დიდი თანხა გაედინება. საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურება ცენტრის აღჭურვის ხარჯები ავეჯითა და ტანსაცმლით თანამშრომლებისთვის – დაახლოებით 6 ათასი დოლარი თითოეულ თანამშრომელზე (ეს ისტორია დეტალებში აქვს აღწერილი ინტერნეტგამოცემა dumskaia.net-ს). ადგილობრივი მედიის ცნობით, ეს ბიზნესმენები აქტიურად რიცხავენ ფულს ფონდებში, რომლებსაც სააკაშვილი აკონტროლებს. ამ ფონდების საქმიანობა, რომ იტყვიან, „ცალკე სიმღერაა“. მაგალითად, **ფონდმა „ოდესის საკეთილდღეოდ“ შეიძინა ძვირად ღირებული ავტომობილები, რომლებიც თითქოს სამართალდამცავებს გადასცა, მაგრამ ამ მანქანებს სააკაშვილის გარემოცვის წევრები და მისი პრესსამსახურის თანამშრომლები იყენებდნენ მანამ, სანამ არ დაიწყო სკანდალი, რომ ფონდი, რომლის დეკლარირებულ მიზნებში „ანტიტერორისტული ოპერაციის“ მებრძოლებზე ზრუნვა შედის, სააკაშვილის სარეკლამო კამპანიასა და მისი გარემოცვის წევრების გადაფრენებს აფინანსებდა.** ყოველივე ეს მთლიანობაში, თავისი 100 დოლარით კვადრატულ მეტრში, ძალიან ჰგავს საბიუჯეტო თანხების ბანალურ გადაქაჩვას ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათთან დაახლოებული ბიზნესმენების ჯიბეებში. მოკლედ, **მას ჰქონდა ორი პარკი ქინძი** (უკაცრავად, ორი პარკი ბალახი, უბრალოდ, როგორც ამბობენ, ქინძი სააკაშვილის საყვარელი მცენარეა, მისი სატელეფონო საუბრების ჩანაწერებიდანაც ასე ჩანს; ხანდახან საქმე ამ მცენარესთან საკუთარი თავის გაიგივებამდეც კი მიდის), **75 აბი მესკალინი... ის ოდესაში, სასტუმრო „ბრისტოლში,“ კორუფციასთან ბრძოლაზე საუბრობდა.**

სხვათა შორის, იმ ბრალდებებიდან, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს საქართველოში წაუყენეს, საზოგადოებას ყველაზე მეტად მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული ისტორიები აინტერესებს, ხოლო მცირე მასშტაბის, ყოველდღიური (თუ შეიძლება, ასე ითქვას) კორუფციული დანაშაული — ნაკლებად, თითქოს ის უმნიშვნელოა და მასზე თვალის დახუჭვა შეიძლება. სიტყვამ მოიტანა და გასულ კვირას ესპანეთში მეფე ფელიპე VI დის, ინფანტა ქრისტინას სასამართლო პროცესი დაიწყო. საუბარია 6 მილიონ საბიუჯეტო ევროზე, რომელიც მან მეუღლესა და 16 სხვა პიროვნებასთან ერთად რთული მაქინაციების გამოყენებით თითქოს მიითვისა. ამ ბუნდოვან საქმეში ესპანურ თემიდას, პრინციპში, თავისუფლად შეეძლო, ინფანტასთვის გვერდი აევლო; ძველ ესპანეთში, სავარაუდოდ, ასეც მოხდებოდა, მაგრამ დღეს ამ ქვეყანაში უკვე მყარად დამკვიდრდა კანონის უზენაესობის პრინციპი და საზოგადოებამ საბოლოოდ დაიჯერა, რომ კანონზე მაღლა არავინ დგას. ის საკუთარი თვალით ხედავს, თუ როგორ ასამართლებენ ფელიპე VI დას, მის სამეფო უდიდებულესობას — დონია ქრისტინა ფედერიკა ვიქტორია ანტონია დე ლა სანტისიმა ტრინიდადს, ესპანეთის ინფანტას. ადრე ეს სრულიად წარმოუდგენელი იყო. ჯერ კიდევ სასამართლოს დაწყებამდე, კორუფციულ სკანდალში მონაწილეობისთვის, ფელიპე VI დას — პალმა დე მალიორკას საჰერცოგო ტიტული ჩამოართვა. **ისე, საინტერესო კია, მიხვდებიან თუ არა ქართველი პოლიტიკოსები, რა მატერიებსა და პრინციპებს ეხება საუბარი ამ ბოლო ეპიზოდში საერთოდ. იმედია, იმას მაინც გაიგებენ, რომ კორუფცია და მასთან დაკავშირებული თაღლითობა არ შეიძლება მცირე და უმნიშვნელო დანაშაულად განიხილებოდეს.**

ვინაიდან დანაშაულისა და სასჯელის თემას შევეხეთ, ალბათ, უნდა დავუბრუნდეთ პერსონაჟს (ისე, სად გაქრა ის 5 შეკვრა „ელ-ეს-დე“, კოკაინით ნახევრადსავსე სამარილე... ო, უკაცრავად), რომელიც ოდესაში პოლიციის რეფორმას ატარებს. საგანგებოდ მომზადებული პოლიციელების პირველი მსხვერპლი 35 წლის **ვიაჩესლავ ბონდარენკო** შეიქნა. მისი დედა (ინციდენტის ერთადერთი თვითმხილველი) ამბობს, რომ პოლიციელებმა შვილი ცემით მოუკლეს. სამართალდამცავები კი ირწმუნებიან, რომ ბონდარენკო თვითონ წაიქცა, თანაც ისე, რომ ამას ელენთის გაგლეჯა (გარდაცვალების მიზეზი) და რამდენიმე მოტეხილობა მოჰყვა. ალბათ, იგულისხმება, რომ ის რამდენიმე დალურჯებაც, რომელიც ძალიან ჰგავს ხელკეტის კვალს, აგრეთვე, დაცემის შედეგია. ვიდეორეგისტრატორი პოლიციელებს, ესოდენ მოულოდნელად, განყოფილებაში დარჩათ. **ისე, ეს „თვითონ წაიქცა“ როგორ ჰგავს ჩვენთვის ესოდენ ნაცნობ ფორმულირებებს: „დენმა დაარტყა“ და „კიბიდან გადმოვარდა“.**

„მე ახალი პოლიციელი ვარ, ძველი პოლიცია ფეხებს ვერ მომჭამს“, — ბღაოდა 30 წლის **ნიკოლოზ ო.**, რომელმაც 22 დეკემბერს ოდესაში ბარ-რესტორან „სკანდიში“ მთვრალმა დებოში მოაწყო. დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც სააკაშვილის პოლიციელებს აწუხებს, ჩვენთვის კარგად ნაცნობი თემაა, თუმცა აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ — **ოდესაში პარალელურად ფუნქციონირებს „ახალი“ (საპატრულო) და „ძველი“ პოლიცია, რომელსაც სააკაშვილის ექსპერიმენტები პრაქტიკულად არ შეხებია. მათ ერთმანეთთან საკმაოდ რთული, დაუბალანსებელი ურთიერთობა აქვთ.** ამასობაში, პოლიციის პოდპოლკოვნიკის — ვლადისლავ სერდიუკის ცნობით, **2015 წლის 11 თვის განმავლობაში ოდესაში რეგისტრირებულია 11 170 დანაშაული — 17,5%-ით მეტი, ვიდრე 2014-ში. ამავე დროს, 2194 ძარცვიდან გაიხსნა მხოლოდ 12,8%, მანქანის გატაცების 532 შემთხვევიდან კი — 17,5%. ოდესა, რომელიც ამ მხრივ ყოველთვის რთული ქალაქი იყო, ბოლო თვეებში ნამდვილ კრიმინალურ ჯოჯოხეთად გადაიქცა,** დამნაშავეები ძალიან ცინიკურად მოქმედებენ. მას ჰქონდა ყველა სახეობისა და ფერის უამრავი ტრანკვილიზატორი... ან არ ჰქონდა... ის ოდესაში დანაშაულთან ბრძოლაზე საუბრობდა.

საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინაში სააკაშვილი (ადეიშვილის მეშვეობით) სასამართლოს ვერ აკონტროლებს. უკრაინელმა ოლიგარქმა **იგორ კოლომოისკიმ** ცილისწამებისთვის უჩივლა და პროცესი მოიგო. ახლა ქიმიური ინდუსტრიის ფლაგმანის, „ოდესის პორტისპირა ქარხნის“ დირექცია აპირებს, სააკაშვილს საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის უჩივლოს. სააკაშვილი გამუდმებით საუბრობს იმაზე, რომ დირექცია უკანონობასა და კორუფციულ გარიგებებში ჩაეფლო, ნოემბერში კი მის კონტროლს დაქვემდებარებული ძალოვანები ქარხანაში შევარდნენ, თუმცა როგორც შევარდნენ, ისე გამოვარდნენ. დღეს ოდესის გუბერნატორის რესურსი აშკარად არასაკმარისია იმისთვის, რომ ამ გზით ქარხანა დაიმორჩილოს ან (მაგალითად) ოდესის მერის არჩევნების შედეგები შეცვალოს, რის გაკეთებაც, აგრეთვე, ძალოვანების გამოყენებით სცადა, თუმცა მალევე შეაჩერეს (სააკაშვილის კანდიდატი პირველსავე ტურში დიდი სხვაობით დამარცხდა). **უკრაინული მედია ხშირად წერს, რომ ქარხნის გარშემო ატეხილ სკანდალში სააკაშვილი რუსი ოლიგარქის — ვიქტორ ვექსელბერგის ინტერესებს ემსახურება.** რაღა უნდა ვთქვათ ამაზე — ვიღაცას ჰქონდა ტეკილა, რომი, ერთი ყუთი ლუდი, ერთი პინტი ნედლი ეთერი და ამილნიტრიტი... ვიღაც არჩევნების გაყალბებასა და ქიმიურ მრეწველობაში სამართლიანობის აღდგენაზე საუბრობდა.

საერთოდ, **ძებნილი სააკაშვილი ოდესის გუბერნატორობას, სავარაუდოდ, ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც იუსტიციის მინისტრობას საქართველოში, მას ერთგვარ ტრამპლინად განიხილავს და ცდილობს, ანტიკორუფციული რიტორიკის ხარჯზე ქულები მომავალი წინსვლისთვის დააგროვოს. ოდესაში დიდხანს დარჩენა მისთვის შეიძლება სერიოზულ პრობლემებს დაუკავშირდეს – რეალური წინსვლა არც ერთი მიმართულებით არ აქვს, ფასადური რეფორმებიდან ვერც ერთი ბოლომდე ვერ მიჰყავს.** ცხოვრება მძიმდება, ოდესელების გაღიზიანება იზრდება და მას ვერ აბათილებს ვერც სააკაშვილის მონოლოგები აგენტებსა და ოლიგარქებზე, ვერც საგანგებოდ დადგმული ტელედაჭერები და ეს კარგად ეტყობა ადგილობრივ სოციალურ ქსელებსა და მედიას. **სააკაშვილის რადიკალი მხარდამჭერები ოდესაში, ისევე, როგორც თავის დროზე საქართველოში, უკვე ძალიან დაემსგავსნენ ვიწრო, ისტერიულ და საკმაოდ სასტიკ ტოტალიტარულ სექტას.**

დიდი ალბათობით, სააკაშვილის „ანტიკორუფციული ფორუმები“ მალე პოლიტიკური მოძრაობის დაფუძნებით დასრულდება, რომლის გამოყენებით შეეცდება, უკრაინული პოლიტიკის პოზიციები გაიფართოვოს — ჯერ, როგორც პეტრე პოროშენკოს ინსტრუმენტი, არსენი იაცენიუკისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ, შემდეგ... „შემდეგ შეჩერება რთული ხდება“, როგორც ამბობდა ჯონი დეპის გმირი ზემოთ ნახსენებ ფილმში. **სააკაშვილის გუბერნატორობას ოდესაში, სავარაუდოდ, მხოლოდ უკრაინელი სამართალდამცავები გაიხსენებენ, როდესაც მისი საქმიანობის დეტალურ შესწავლას დაიწყებენ. ოდესის მეხსიერებიდან კი ის, ალბათ, მალევე წაიშლება, რადგან, ამ ქალაქმა რომ დაგიმახსოვროს, ჭკვიანიც უნდა იყო და გამბედავიც. ამასთანავე, ოდესა ბევრ სხვა ქალაქზე უკეთ გრძნობს სიყალბეს.**

ქართველი საზოგადოების ნაწილი ოდესის მოვლენებს უყურებს, როგორც ერთგვარ სახალისო შოუს და (ცნობილ გამონათქვამს „ისტორია მეორდება...“ თუ გავიხსენებთ) იმას, რაც საქართველოში განიცადა, როგორც ტრაგედია, ახლა ოდესის დეკორაციებში ფარსად აღიქვამს. ეს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, გასაგებია, მაგრამ, ალბათ, მაინც უსამართლო. სასაცილო ამაში (თითქმის) არაფერია და ოდესის მკვიდრთ, რომლებსაც სერიოზული პრობლემები დაატყდათ, მათი სასწრაფო დაძლევა უნდა ვუსურვოთ.

„ხელისუფლებამ თამამად უნდა იმოქმედოს და გააღრმავოს სავაჭრო-ეკონომიკური, ენერგეტიკული, კულტურულ-ჰუმანიტარული და სხვა სახის კავშირები რუსეთთან, რათა საბოლოოდ მივიდეთ ამ ქვეყანასთან იმგვარ პოლიტიკურ ურთიერთობამდე, რომელიც განაპირობებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სადაც რუსეთი განიხილება როგორც ერთგვარი გარანტი აფხაზებისა და ოსებისათვის, რადგან რუსეთის ჩაურევლად „მათი დათანხმება საქართველოში ინტეგრაციაზე შეუძლებელი იქნება“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ჯუმბერ კირვალიძე:

# ეს ხალხი «ნაცრეჟიმის» ნამსხვრევებისა და მათი ოდესელი სანჩო-გუბერნატორის დაკვეთას ასრულებს

**რამდენიმე დღეა, საზოგადოების ყურადღება „გაზპრომთან“ დაკავშირებული მოლაპარაკებების გარშემო ატეხილ აყალ-მაყალს უსმენს და უყურებს. „არა გაზპრომს“ — ამ მოწოდებით აქცია გამართეს „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერმა მომღერლებმა, მსახიობებმა, მწერლებმა და პოეტებმა. უფრო მეტიც, ზამთრის ცივ ღამეს „მეფის“ სახელით ცნობილი მომღერლის თითქმის შიშველმა მეუღლემ, ქეთათომ, სიმღერით გააპროტესტა „გაზპრომის“ საქართველოში სავარაუდო „შემოსვლა“. არადა, ეკონომისტებისა და პოლიტოლოგების უმრავლესობა თვლის, რომ ეს მოლაპარაკებები საქართველოსთვის ხელსაყრელი და მისაღებია ბევრი მიზეზითა და თვალსაზრისით. თემაზე, თუ რატომ არის „გაზპრომი“ საქართველოსთვის ხელსაყრელი და მისაღები, პოლიტოლოგი ჯუმბერ კირვალიძეს ვესაუბრეთ.**



**— ბატონო ჯუმბერ, როდიდან და რა ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „გაზპრომთან“ საქართველოს?**

— როგორც ვიცი, საქართველოს ხელისუფლებას 2003 წელს აქვს ხელშეკრულება გაფორმებული „გაზპრომთან“. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ენერგეტიკის სფეროში საქართველო მუდამ თანამშრომლობდა რუსეთთან, მაშინაც კი, როცა საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ჩვენს ტერიტორიაზე. მაგალითად, აფხაზეთში, სადაც ენგურჰესის მიმართ, დროებით მაინც, კომპრომისულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, მიუხედავად პოლიტიკური კონტექსტისა, რომელიც ნაკარნახევი იყო რეგიონის ენერგეტიკული უზრუნველყოფის აუცილებლობით. ეს დღესაც ასეა. თუმცა იყო დივერსიული აქტების არაერთი შემთხვევა, თუნდაც 2006 წლის ზამთარში მომხდარი ფაქტი, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში ააფეთქეს „გაზპრომის“ კუთვნილი მაგისტრალური გაზსადენი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის გავლით ამარაგებს სომხეთს ბუნებრივი აირით.

**— ბევრს საუბრობენ, „გაზპრომი“ სანდო პარტნიორი არ არის და მისი ბუნებრივი აირი ძვირიაო, თუმცა რუსული ბუნებრივი აირი იაფად ჰქონდა საქართველოს მოსახლეობას...**

— ჩვენს შემთხვევაში იმდენად „გაზპრომის“ სანდოობაზე არ არის საუბარი (ნახევარი ევროპა „გაზპრომის“ კლიენტურაა), რამდენადაც საქართველოსა და რუსეთს შორის არარსებულ ურთიერთობაზე, რომელიც, ლამის მეოთხედი საუკუნეა, კონფრონტაციულ ხასიათს ატარებს. რაც შეეხება ტარიფებს ბუნებრივ აირზე, იგი ცვალებადია და დიდწილად მიბმულია მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე, რომლითაც რუსეთი და სხვა ნავთობ და გაზმომპოვებელი სახელმწიფოები მუდამ სარგებლობენ.

**— რუსული ბუნებრივი აირის გარდა გვაქვს სხვა ალტერნატივა, რათა შევავსოთ დანაკლისი, რომელზეც მთავრობა საუბრობს?**

— ეტყობა, რომ ამ ეტაპზე სხვა ალტერნატივა საქართველოს არ აქვს, თორემ ძირითადი მომწოდებლისგან, აზერბაიჯანისგან, შეიძენდა და შეავსებდა დეფიციტს. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ საქართველო და, საერთოდ, **ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ფიქრობს და ზრუნავს თავის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობაზე, უნდა ეწეოდეს ენერგოსექტორის დივერსიფიკაციას და არ უნდა იყოს დამოკიდებული ენერგიის მხოლოდ ერთ მიმწოდებელზე.** დარწმუნებული ვარ, საქართველოსთვის მომგებიანი იქნება, თუ ამ პრინციპს დაეყრდნობა და საკუთარ ბაზარზე კონკურენტულ გარემოს შეუქმნის როგორც აზერბაიჯანულ და რუსულ, ისე ირანულ ენერგომატარებლებს — ბუნებრივ აირსა და ნავთობპროდუქტებს.

**— ვინ და რატომ აპროტესტებს „გაზპრომთან“ თანამშრომლობას? ასრულებენ თუ არა ისინი ვინმეს დაკვეთას?**

— **სხვათა შორის, აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მიესალმება ენერგეტიკის დივერსიფიკაციის გამოვლინებას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან და ამ საკითხში უფრო „მეტი გამჭვირვალობისკენ“ მოუწოდა მას.** რაც შეეხება იმათ, ვინც „აპროტესტებს „გაზპრომთან“ ურთიერთობას, **ეს ის ხალხია, რომელიც ტაშს უკრავდა სააკაშვილის „ნაცრეჟიმს“, როდესაც იგი რუსეთის კომპანიებზე „უპრაგონოდ“ ჰყიდდა საქართველოს ენერგოსექტორის სიმძლავრეებს 2008 წლის ომის შემდეგაც კი... აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ეს ხალხი ასრულებს „ნაცრეჟიმის“ ნამსხვრევებისა და მათი ოდესელი სანჩო-გუბერნატორის დაკვეთას.**

**— რამდენიმე წლის წინანდელი დივერსიული აქტი, რომლის შედეგადაც თანამშრომლობა შევწყვიტეთ „გაზპრომთან“, როგორ ფიქრობთ, ვისი მოწყობილი იყო?**

— ძნელია ამის თქმა, რადგან, გარდა ოფიციალური ვერსიისა, სადაც რუსეთია დასახელებული, ამ დივერსიული აქტის მოწყობით დაინტერესებული შეიძლება ყოფილიყო ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი არაერთი ექსტრემისტულ-სეპარატისტული დაჯგუფება, რომელთაც სურდათ სიტუაციის დესტაბილიზაცია კავკასიაში. ყოველ შემთხვევაში, ამ დივერსიული აქტის შედეგად მისმა დამგეგმავებმა მიაღწიეს რუსულ-ქართული ურთიერთობების ისე დაძაბვას, რომ შეიძლება იგი ჩაითვალოს ათვლის წერტილად, რომელიც დინამიკურად და შეუქცევადად განვითარდა და საბოლოოდ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი მოიტანა.

**— ამბობენ, „სოკარში“ ბევრი „ნაციონალი“ მუშაობსო, მათ შორის, ყოფილი ენერგეტიკის მინისტრი ხეთაგური. ფიქრობთ, რომ ეს ხმაური და აჟიოტაჟი მათი დაწყებულია, რადგან ფინანსების დაკარგვას ვერ ეგუებიან?**

— ამ საკითხში, როგორც ხელისუფლებას, ისე საქართველოს მოქალაქეებს სიფრთხილე გვმართებს. ვინც უნდა მუშაობდეს „სოკარში“, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის — აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია, რომელიც არაერთხელ დაგვხმარებია რთულ პერიოდებში. ახლაც, თუ არ ვცდები, საქართველო „სოკარისგან“ შეღავათიან ფასად ყიდულობს მოსახლეობისათვის ე.წ. სოციალურ გაზს, თუმცა ე.წ. კომერციული გაზის ფასი საკმაოდ მაღალია. ამიტომაა, რომ, როგორც ზევით ვთქვი, ქვეყანა არ უნდა იყოს დამოკიდებული ერთ მომწოდებელზე არათუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ ნებისმიერ სხვა სფეროში. აუცილებელია, ეკონომიკის სრული დივერსიფიცირება.

„მიშისტებმა“ „იმიშაონ“, სახელმწიფოს მაღალჩინოსნებმა კი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე აკეთონ.

# «მიშისტებმა» «იმიშაონ», სახელმწიფოს მაღალჩინოსნებმა კი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე აკეთონ»

**— დადებითად აფასებთ საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯს „გაზპრომთან“ ურთიერთობის საქმეში?**

— რა თქმა უნდა, მეტიც: მიმაჩნია, რომ, თუ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას სურს, როგორც იგი ამას სამი წლის წინათ აცხადებდა, დაალაგოს და გააუმჯობესოს ურთიერთობა რუსეთთან, მაშინ ასე არ უნდა აფრთხობდეს „ნაცმოძის“ აქტივისტების ყოველი შემოტევა, როგორიც ახლა ვიხილეთ „გაზპრომის“ მიმართ. პირიქით — **ხელისუფლებამ თამამად უნდა იმოქმედოს და გააღრმავოს სავაჭრო-ეკონომიკური, ენერგეტიკული, კულტურულ-ჰუმანიტარული და სხვა სახის კავშირები რუსეთთან, რათა საბოლოოდ მივიდეთ ამ ქვეყანასთან იმგვარ პოლიტიკურ ურთიერთობამდე, რომელიც განაპირობებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სადაც რუსეთი განიხილება, როგორც ერთგვარი გარანტი აფხაზებისა და ოსებისათვის, რადგან რუსეთის ჩაურევლად „მათი დათანხმება საქართველოში ინტეგრაციაზე შეუძლებელი იქნება“.** აი, ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ხელისუფლებამ, როცა საუბარია რუსეთთან ან რუსულ კომპანიებთან ურთიერთობებზე. არსებულ სიტუაციაში, როცა სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილია, ნებისმიერ კონტაქტს თუ კონტრაქტს ენიჭება დიდი მნიშვნელობა. პოლიტიკაში ცნობილი ფორმულაა: „სადაც ვაჭრობენ, იქ არ ომობენ“, ამიტომ საქართველოს ხელისუფლების ამოცანა უნდა იყოს ის, რომ დღევანდელი ოკუპანტი ხვალ პარტნიორად აქციოს, ანუ ყველა საშუალება გამოიყენოს, რათა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს და, ამასთანავე, ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტი შეინარჩუნოს. დროული იქნება, თუ ახალი პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გამოვა ინიციატივით და მოითხოვს აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაფართოებას, სადაც, ამ ორი დიპლომატის გარდა, ორივე სახელმწიფო შეიყვანს თავის წარმომადგენლებს, რომლებიც ეკონომიკის საკითხებით დაკავდებიან, მათ შორის, ენერგეტიკითაც. აქამდეც რომ ყოფილიყო ასე, არც „გაზპრომთან“ ურთიერთობა გახდებოდა მავანისთვის „თავსატეხი“ და მისი „გამჭვირვალობის“ თემაც არ დადგებოდა დღის წესრიგში.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## თურქეთში ტერორიზმის პროპაგანდის ბრალდებით 18 მეცნიერი დააკავეს

**დაკავებულებმა, სხვა ასობით თურქ მეცნიერთან და ინტელექტუალთან ერთად, ხელი მოაწერეს პეტიციას, რომელიც შეიცავს მოწოდებას თურქეთის მთავრობისადმი, შეწყვიტოს ძალისმიერი ოპერაცია ქურთების წინააღმდეგ.** ხელისუფლების მოსაზრებით, მეცნიერებს ამ პეტიციაზე ხელმოწერით პასუხისმგებლობა დაეკისრათ იმ დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რომლებიც თურქეთში აკრძალული „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ მომხრეებმა ჩაიდინეს. ამას გარდა, თურქეთის ხელისუფლებამ დაიწყო გამოძიება 90 უნივერსიტეტის 1 200 ლექტორის წინააღმდეგ, რომლებსაც „სახელწმიფოს შეურაცხყოფაში“ ადანაშაულებენ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის — ჯონ კირბის განცხადებით, თურქეთის ხელისუფლება ქვეყანაში ლეგიტიმური პოლიტიკური დისკუსიის ჩახშობის მიზნით, პოლიციასა და იუსტიციის ორგანოებს იყენებს.

მეცნიერთა დაკავებასთან დაკავშირებით შეშფოთება ევროპის საბჭომაც გამოთქვა.



ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხომ წარმოგიდგენიათ, რა ჩიტს დაიჭერდა ჭორვილელი პინოკიო, თავის წინასაარჩევნო მიტინგებზე რომ გამხილა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი რომ იქნებოდა, თავდაცვის მინისტრი — უსუფაშვილის „კნეინა“, ხოლო რამდენიმე მინისტრი — რესპების წარმომადგენელი?!

**ბავშვობაში ყველა ნორმალურ ყმაწვილს წაკითხული გვქონდა „პინოკიოს თავგადასავალი“. ვისაც წიგნის კითხვა მაინცდამაინც არ უყვარდა, ამ ზღაპრის მიხედვით გადაღებული ანიმაციური ფილმი მაინც ექნება ნანახი, სადაც ვხედავდით, ყოველი ტყუილის თქმისას სიცრუის როგორი პირდაპირპროპორციულობით ეზრდებოდა ცხვირი ცრუპენტელა პინოქიოს.**



# ბიძოკიო

ქვემოთ „ქართული ოცნების“ (წაიკითხე, ბიძინა ივანიშვილის) წინასაარჩევნო დაპირებებს წარმოგიდგენთ, რათა თვითონ განსაზღვროთ, პინოკიოს მსგავსად, მის ჭორვილელ კოლეგა ბიძოკიოს რა სიგრძის ცხვირი უნდა ჰქონდეს, ზღაპარი სინამდვილედ რომ იქცეს...

**ბიძოკიოს დაპირებები:**

**დაპირება №1: ათიათასობით სამუშაო ადგილი**

„ჩვენი გეგმა თავიდანვე ითვალისწინებს, რომ უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები და ის ჩვენს ქვეყანაში ათეულობით ათასი იქნება“.

**დაპირება №2: თითოეული მოქალაქე იპოვის საკუთარი გამოცდილების ადეკვატურ სამუშაოს**

„ჩემს გუნდთან ერთად, თქვენთან ერთად, გავაკეთებთ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შესაძლებელია. რეალური პოლიტიკა, რეალური ნაბიჯები, რასაც გპირდებით ჩვენ და აუცილებლად შევძლებთ კიდეც“.

**დაპირება №3: გამარჯვებისთანავე ღირსეული დასაქმება ყველას**

„ჩვენ ვიცით, რეალურად როგორ შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები. ჩვენ ვიცით, როგორ ავიხდინოთ ქართული ოცნება. ხელისუფლება ხალხს უნდა ემსახურებოდეს და არა — ხალხი ხელისუფლებას“.

**დაპირება №4: დაიწევს ფასი კომუნალურ გადასახადებზე**

„გპირდებით, რომ ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას. გპირდებით, რომ ჩვენ შევამცირებთ გაუმართლებლად მაღალ კომუნალურ გადასახადებს“.

**დაპირება №5: გაზის საფასური შემცირდება 3-ჯერ**

„ჩვენ ძალიან დიდი რაოდენობის გაზი გვეკუთვნის უფასოდ, რამდენადაც ეს ,,ტრუბა“ გადის ჩვენს ტერიტორიაზე. მესამედი გამოვა დღევანდელი გადასახადის გაზის გადასახადი“.

**დაპირება №6: ბენზინზე დაიკლებს ფასი**

„ნახავთ, როგორ დაიწევს ფასი ძალიან ბევრ პროდუქტზე: პირველადი მოხმარების პროდუქტებზე, ბენზინზე, ელექტროენერგიაზე, სადაც ხელოვნურად აქვთ გაზრდილი ფასები და ფულს აკეთებენ“.

**დაპირება №7: ასობით და ათასობით საწარმო უნდა გაიხსნას და ეს იქნება რეალური. ყოველთვიურად ასობით საწარმო უნდა იხსნებოდეს**

**დაპირება № 8: წლის ბოლომდე, სულ ცოტა, 60 ქარხანა უნდა გვქონდეს**

**დაპირება №9: რეგიონებში შეიქმნება ათასობით საწარმო**

„გამარჯვებისთანავე საარჩევნო ბლოკი ,,ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება“ განახორციელებს პროგრამას „ღირსეული დასაქმება ყველას“.

**დაპირება №10: პენსიონერს არანაკლებ 220 ლარისა ექნება პენსია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ეს იქნება მინიმალური, ამას დაემატება წელთა ნამსახურეობა**

**დაპირება №11: გარდა ამისა ყველა ის საპენსიო დანამატი, რომელიც გააუქმეს ნაციონალებმა, დაემატება: ომის ვეტერანობის, ინვალიდობის, ობლობის და ასე შემდეგ დაახლოებით 250-300 ლარი გახდება პენსია**

**დაპირება №12: პენსია არ იქნება იმაზე ნაკლები, ვიდრე რეალური საარსებო მინიმუმია**

„ჩვენ დავადგენთ საარსებო მინიმუმის ახალ, რეალურ ზღვარს“.

**დაპირება №13: ექსპერტების გათვლებით, რეალური საარსებო მინიმუმი 200-220 ლარის ფარგლებშია**

„ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პენსია საარსებო მინიმუმის ტოლი იქნება. ექსპერტების გათვლებით, რეალური საარსებო მინიმუმი 30%-ით მეტია. სხვადასხვა გათვლებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს ციფრი 200-220 ლარის ფარგლებშია“.

**ამ 13 პუნქტიდან რომელი ერთი შეასრულა ბიძოკიომ? ამიტომ მხოლოდ თანავუგრძნობ ბატონ ბიძინას — ამ სიგრძის ცხვირის ზიდვა არ გინდა?!**

**ამ 13-პუნქტიანი ტყუილების დოკუმენტთან კონტრასტის დასანახავად შეგახსენებთ 2008 წლის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატის, ბადრი პატარკაციშვილის, წინასაარჩევნო დანაპირებების სულ რაღაც 7-პუნქტიან ჩამონათვალს:**

*** პირველი 18 თვის (წელიწად-ნახევრის — დ. მ.) განმავლობაში, პენსია — 120 ლარი, ვეტერანებს — 150 ლარი და უფასო სამედიცინო მომსახურება;**

*** მინიმალური ხელფასი — 300 ლარი;**

*** შემწეობა უმუშევართათვის — 300 ლარი;**

*** წყლის გადასახადისგან სრული გათავისუფლება;**

*** 100 კვ/სთ ელექტროენერგია და ამავე მოცულობის გაზის გადასახადისგან განთავისუფლება;**

*** დევნილებისა და მიწისძვრით დაზარალებულთათვის უფასო საცხოვრებელი ფართობი;**

*** პირველ შვილზე — 3000 ლარი, მეორეზე — 4000, მესამე და ყოველ მომდევნო შვილზე — 5000 ლარი.**

ახლა ვინმე შემედავება, რა, პატარკაციშვილი უეჭველად შეასრულებდა დანაპირებსო?

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის პატარკაციშვილის სიტყვას მეტი ფასი აქვს, ვიდრე ჭორვილელი პინოკიოსას, რომელმაც, ხელისუფლებაში მოსულმა, პირველი, რაც გააკეთა იყო ის, რომ თავისი 80 მილიონი დაიბრუნა. ამით დამთავრდა სამართლიანობის აღდგენა და დაიწყო კოჰაბიტაციის პროცესი.

სხვა მხრივ **დაპირებული სამართლიანობის აღდგენა არ მომხდარა: არავისთვის დაუბრუნებიათ წართმეული მილიონები კი არა, უბრალო „ბუტკაც“ კი. არ გამოუტანიათ განაჩენი არც ერთ გახმაურებულ მკვლელობაზე. ის კი არა, სამართლიანობის აღსადგენად მებრძოლი იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავს დააკლეს...**

ზემოთ ბიძოკიოს შეუსრულებელი დაპირებების გრძელი სია წარმოგიდგინეთ, რომელიც ფართო საზოგადოების (მინუს შემოქმედებითი ინტელიგენციის ის 3500-მდე ე.წ. წარმომადგენელი, რომლებსაც ბიძოკიო წლების განმავლობაში აფინანსებდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ) სამართლიანი უკმაყოფილების მიზეზია.

**თუმცა, უკმაყოფილება იქით იყოს და, არანაკლები აღშფოთების მიზეზი გახდა ის, რასაც ბიძინა არ დაგვპირებია, მაგრამ შეგვისრულა...**

***ანტიდისკრიმინაციული კანონის** (რომელსაც ჩვენმა უწმინდესმა პატრიარქმა საქართველოს დამღუპველი უწოდა) **ზარზეიმით მიღება პირადად ბიძინა ივანიშვილისა და რესპუბლიკელების სინდისზეა. დიახ, ბიძოკიოსა და რესპების, რადგან კოჰაბიტაციის ამაზრზენმა პროცესმა ისე დაუკავშირა ერთმანეთს ისინი, რომ ლენინისა და პარტიის ლოზუნგის პერიფრაზით ასე გამოვა: ვამბობთ ბიძინას — ვგულისხმობთ რესპებს, ვამბობთ რესპებს — ვგულისხმობთ ბიძინას!**

სწორედ ამ ტანდემმა გამოიწვია ის, რომ საქართველოში დღეს რესპუბლიკური პარტიის მმართველობის ნეოლიბერალური დიქტატურაა, რომელიც გაცილებით საშიშია საქართველოსთვის, ვიდრე იმავე იდეოლოგიის ნაცების დიქტატურა იყო.

**ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას კიდევ ერთ დაუპირებელ შესრულებულზე: ბიძოკიომ ცხონებული ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე განაცხადა, რომ თურმე საქართველოს უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქიც ჩვეულებრივი მოკვდავია და, რატომაც არა, მისი კრიტიკაც მოსულაო, რომლის შემდეგაც, კრიტიკას ვინღა დაეძებს, პატრიარქისა და დედაეკლესიის აღვირახსნილი ლანძღვა-განქიქების ახალი ეტაპი დაიწყო.**

წერილზე მუშაობისას ინტერნეტში ბიძოკიოს მიერ დაფინანსებულთა 3393-პერსონიანი სია მოვიძიე, რომელთა ფინანსური დახმარების ქვედა ზღვარი — 200, ხოლო ზედა 2000-3000 და 5000 ათასი ლარია. ახლა აქ ამ სიას არ მოვიყვან, რადგან დაინტერესებული მკითხველი თვითონ იპოვის ინტერნეტში მას და საჭირო დასკვნებსაც გააკეთებს... ვიტყვი მხოლოდ, რომ **სწორედ ამ სიის ზედა ზღვრის ბინადარნი იყვნენ იმ სუფრის მეინახენი და მდუმარედ გადაყლაპეს ბიძოკიოს მიერ პატრიარქის შეურაცხყოფა!** სწორედ ეს ადამიანები „უპრავებენ“ ბატონ ბიძინას დაპირებულ შეუსრულებელ თუ დაუპირებელ შესრულებულ ავკაცობებს.

მათივე მოგონილია ზღაპარი: რესპუბლიკელები ივანიშვილმა დასავლეთის თვალის ასახვევად მოიყვანა კოალიციაში და ეროვნული ბიძინა დღეს-ხვალ ანტიეროვნულ რესპებს სანაგვეზე მოისვრისო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ბიძინამ, რესპებისთვის ხელისუფლების ჩაბარებით ქართველ ხალხს თვალები, აგვიხვია კი არა, დაგვთხარა.

**ხომ წარმოგიდგენიათ, რა ჩიტს დაიჭერდა ჭორვილელი პინოკიო, თავის წინასაარჩევნო მიტინგებზე რომ გამხილა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი რომ იქნებოდა, თავდაცვის მინისტრი — უსუფაშვილის „კნეინა“, ხოლო რამდენიმე მინისტრი — რესპების წარმომადგენელი?!**

ძნელია, ბიძინას სიის მსხვერპლთათვის „ქველმოქმედების“ მარწუხებიდან თავის დაღწევა, რადგან ეს ინტელიგენციის მოსყიდვას უფრო ჰგავს, ვიდრე უანგარო ქველმოქმედებას... თუმცა, ზემოთ მოყვანილი არგუმენტების მიუხედავად, ამ ადამიანების უმრავლესობას ბიძინაზე აუგს ვერ დააცდენინებთ... **ახლა ახალი თეზა შემოაგდეს რესპებმა: ახალ საარჩევნო სიაში არც ერთი სპორტსმენი, მსახიობი არ დაგვანახვოთ, უნდა იყვნენ მხოლოდ პროფესიონალი პოლიტიკოსები, რომლებიც კანონებზე იმუშავებენო(?!).**

რა თქმა უნდა, **ლუკა კურტანიძე, სოსო ჟაჭვლიანი, ზაზა პაპუაშვილი, ზვიად ზვიადაური** და ა.შ. ჰყავთ მხედველობაში — ეს ადამიანები ნამდვილად არ არიან პროფესიონალი პოლიტიკოსები, სამაგიეროდ, იმ დონის „პროფესიონალი“ ქართველები არიან, რომ პედერასტულ, ერთნაირსქესიანთა ქორწინების კანონს, რომლის პროექტი უკვე არსებობს, ხელი არ აუწიონ ისევე, როგორცააწევინეს ანტიდისკრიმინაციული კანონის შემთხვევაში, რადგანაც უკვე ნახეს, რა შვილიც ბრძანდება სწორედ ამ პრინციპით ნაძალადევში „არჩეული“ **თამარ კორძაია** და რა იქნება საგარეჯოში „არჩეული“ **თამარ ხიდაშელი**, ესეც ცხადია!

თანაც, აღარც ბიძინას აქვს ისეთი შეუვალი ავტორიტეტი, როგორიც გუშინ ჰქონდა, რის გამოც საქართველოს პრეზიდენტი **მარგველაშვილია** და თბილისის მერი — **ნარმანია...**

რა თქმა უნდა, ბიძინას სრული უფლება აქვს, თავისი ფული, სადაც და რაშიც უნდა, იქ დახარჯოს და, ვისაც უნდა, იმას აჩუქოს, მაგრამ იურიდიულის გარდა, ზნეობრივი კოდექსიც ხომ არსებობს, რომელსაც სინდისსაც ეძახიან ხოლმე!..

ჰოდა, **საკითხავია, ზნეობრივია კი, ზებრებით, პინგვინებითა თუ ზვიგენებით ერთობოდე იმ ქვეყანაში, რომელშიც ამდენი გაჭირვებული, მათხოვარი, უსახლკარო, ნაგვის ურნებში მქექავი ქართველია?!** დავით აღმაშენებელს, დემეტრე თავდადებულს, გიორგი ბრწყინვალეს, სიმონ პირველ ქველს, ქეთევან წამებულსა და სამშობლოსთვის დამაშვრალ სხვა მრავალ გმირს, განებავთ, ქვეყნის დამაქცევარ ავგიორგ-შადიმანს, თიკუნები მაშინდელმა ინტელიგენციაარისტოკრატიამ კი არ მიანიჭა, არამედ ქართველმა ხალხმა დამსახურებების მიხედვით მიაგო პატივი თუ წყევლა-კრულვა!

ასე რომ, **პინოკიოს სიის წევრთა უმრავლესობა ტყუილად ცდილობს, მამამარჩენალის ყოველი ქმედება-უმოქმედობის გათეთრებას, მას ისტორია, ქართველი ერი გამოუტანს ვერდიქტს და საკითხავია, სამების აშენებაში, სხვა ისტორიულ-კულტურული კერების აღდგენა-რესტავრაციაში დახარჯული ფული გადაწონის თუ რესპუბლიკელების ანტიქართული ძალისთვის ხელისუფლების ჩაბარება, რომელიც ქართული სულიერების ოკუპაციის ტოლფასია.**

„თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველოც დაძაბუნდა“, — ბრძანა მარაბდის ომის წინ ამ ბრძოლის ერთ-ერთმა გმირმა **ბაადურ ციციშვილმა.**

დღეს „გლეხი კაცი“ უბრალო, რიგითი ქართველის სინონიმია, რომელთა უმეტესობა ან აქ ნაგვის ბუნკერში იქექება, ან საზღვარგარეთ არის გადახვეწილი. სწორედ ამიტომ არის დღეს საქართველო დაძაბუნებული, რომ „გლეხი კაცი“ ლამის ამოწყდა. არადა, ის არის ერის დვრიტა, საძირკველი თუ დუღაბი ქართულ მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან ერთად და არა ე.წ. შემოქმედებით-უმოქმედო ინტელიგენციის ნაწილი.

პინოკიოს სიის ბინადარნი ბიძინას მოქმედებას ასე ამართლებენ; რა ქნას, ისე რომ არ მოიქცეს, როგორც იქცევა, ამერიკელები მილიარდებს გაუნულებენო... ჰოდა, რა ვქნათ ახლა — ივანიშვილის მილიარდებს გადავაყოლოთ ქვეყანა?

**ბატონო ბიძინა, თუ წახვედით, მართლა წადით თქვენი მილიარდებით, ზებრებითა და ზვიგენებით. მარიამის წილხვედრი საქართველო თქვენამდეც არსებობდა და თქვენ შემდეგაც იარსებებს!**

**დავით მხეიძე**

„საქართველოს ბოლო წლების სამივე ხელისუფლება მხოლოდ შეერთებული შტატების ინტერესების გატარებით იყო დაკავებული. ამ მხრივ სააკაშვილის ხელისუფლება ყველაზე წარმატებული იყო. იგი არის „ძაღლისშვილი“, მაგრამ ამერიკელთა „ძაღლისშვილი“, ისინი კი თავიანთ „ძაღლისშვილებს“ ყოველთვის იცავენ. ის უსამართლო პოლიტიკური სისტემა, რომლის ფორმირება საქართველოში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოხდა, ამერიკელების შექმნილია“.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ირაკლი უბილავა: დარწმუნებული ვიყავი, რომ ივანიშვილი დაპირებებს ვერ შეასრულებდა

**არასოდეს გაგჩენიათ კითხვა — როდემდე უნდა მიბაძონ ქართველმა პოლიტიკოსებმა იტალიელი მწერლის პერსონაჟს — პინოკიოს, რომელიც რეგულარულად იტყუება და ყოველი ტყუილის შემდეგ ეზრდება ცხვირი? მიბაძვაცაა და მიბაძვაცო, იტყვის მავანი, მაგრამ მაშინ ოქროს გასაღები სადღაა, რომლითაც რძისა და თაფლის მდინარეებს გვპირდებოდნენ რამდენიმე წლის წინათ? აღსანიშნავია ერთი ფაქტი, პინოკიოს დაუდგეს ძეგლი, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „უკვდავ პინოკიოს. მადლიერი მკითხველი (ოთხიდან შვიდ წლამდე)“. განსხვავებაც სწორედ ისაა, რომ ტყუილად ელიან ქართული პოლიტიკის „გმირები“ ასეთ პატივს. ისინი საბოლოოდ დაკარგავენ იმ გასაღებს, რომლითაც წინასაარჩევნოდ მოიმადლიერეს მოსახლეობა.**

## «ქართული ოცნება» «ქართული ბლეფი» აღმოჩნდა

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართული ოცნება“ მოსახლეობას ჰპირდებოდა:

**1. „აუცილებლად აღვადგენთ სამართლიანობას“.**

ეს დაპირება არ შესრულდა. ქართველი ამომრჩეველი დღემდე ელის კომპენსაციას მორალური ზიანისა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაუმსახურებლად მიადგა; ელის იმ პირების დასჯას, რომლებმაც ახალგაზრდები ქუჩაში დახოცეს, დაანგრიეს განათლების სისტემა, მეცნიერება და ადამიანებს ქონება და ბიზნესი წაართვეს.

**2. „ჩვენი მოსვლისთანავე გადასახადები გაგინახევრდებათ“.**

ეს დაპირება არ შესრულდა. გადასახადები შემცირდა კი არა, მოქალაქეებს პრობლემები ექმნებათ გადასახადების მატების გამო.

„დავადგენთ საარსებო მინიმუმის ზღვარს, რომელიც 220 ლარი იქნება“.

ეს დაპირებაც არ შესრულდა. დღეს პენსია 160 ლარია, რომელიც პენსიონერებს ტრანსპორტით გადაადგილებასა და პროდუქტების შესაძენადაც არ ჰყოფნით.

**3. „გავხსნით 1000-ზე მეტ საწარმოს, რომლებიც უმუშევრობის პრობლემას შეამცირებს“.**

ეს დაპირება შესრულდა კი არა, ამ რაოდენობის ნახევარი საწარმოც არ გახსნილა.

ფაქტია, ნატვრად გვექცა დაპირებები, რომლებსაც იმედის თვალით უყურებდა საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. ამოსვრილები ვართ ლაფში, საიდანაც, კაცმა არ იცის, როდის ამოვალთ. **დროთა განმავლობაში ჩვენი „ქართული ოცნება“ იქცა „აუხდენელ ოცნებად“, რომელსაც შეიძლება ოქროს გასაღებმაც ველარ უშველოს.**

ოცნებად გვექცა „აყვავების წლები“, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი მოსვლის დღიდან გვპირდებოდა. მან თქვა, რომ პირველი წელი იქნებოდა რთული მომდევნო წლებთან შედარებით. სინამდვილეში ეკონომიკური ვითარება მძიმდება ლარის კურსის დაცემის გამო. ბატონი ბიძინა ასევე ამბობდა, რომ **არ ჩაერეოდა პოლიტიკაში**, თუმცა გვაქვს საპირისპიროდ მოქცევის არაერთი მაგალითი. ჯერ იყო და ქართველ ამომრჩეველს განუცხადა, აუცილებლად მარგველაშვილი აირჩიეთ პრეზიდენტადო, უფრო მეტიც, 60%-ზე მეტი ხმა თუ არ მიიღო, პოლიტიკიდან წავალო, მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ მარგველაშვილის საქციელით შეცბუნებულმა განაცხადა, შევცდიო. ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის „ჩაურევლობამ“ გავლენა იქონია ღარიბაშვილის გადაწყვეტილებაზე, როდესაც ის ივანიშვილისა და აშშ-ის ელჩის — რიჩარდ ნორლანდის შეხვედრისა და „ყავის სმის“ შემდეგ აიძულეს, ორპროცენტიანი რეიტინგის მქონე რესპუბლიკელების წარმომადგენელი თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად დაენიშნა.

**ზემოაღნიშნულ პრობლემებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგთა კლუბის ხელმძღვანელ ირაკლი უბილავას.**

**— ბატონო ირაკლი, როგორ შეასრულა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებები ოთხი წლის განმავლობაში?**

— შევარდნაძიდან მოყოლებული, სააკაშვილით გაგრძელებული და დღევანდელი ხელისუფლებით დამთავრებული, ყველა ხელისუფალი თითქმის ერთი და იმავე ლოზუნგებითა და საარჩევნო დაპირებებით მოდის ხელისუფლებაში, მაგრამ წინსვლა არც ერთ სფეროში არ ჩანს. აქედან დასკვნა: პრობლემა არა პოლიტიკურ ფიგურებში, არამედ იმ კურსშია, რომელიც აირჩიეს ჩვენმა პოლიტიკურმა ელიტებმა. **დღეს არსებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის პირობებში და მისი გაგრძელების შემთხვევაში, მერწმუნეთ, ვინც უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების სათავეში, ქვეყანას არ ექნება არავითარი წარმატება** და მინდა ვუთხრა ამომრჩეველს, რასაც დაჰპირდებიან, მათ არ უნდა დაუჯერონ.

რაც შეეხება, კოალიცია „ქართულ ოცნებას“, პოლიტიკაში მისი გამოჩენის პირველივე დღიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ ივანიშვილი დაპირებებს ვერ შეასრულებდა, თუ არ ჩავთვლით სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილებას. მახსოვს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც პარლამენტში მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის ვოტუმის მინიჭების საკითხი იხილებოდა, პრემიერობის იმჟამინდელი კანდიდატის, ბატონი ივანიშვილის დაახლოებით 30-სიტყვიან საპროგრამო გამოსვლაში წინადადებებს შორის ბმა სრულიად მოკლებული იყო ლოგიკას. **თუ ერთ შემთხვევაში, მისი პრემიერობის დაახლოებით 4-წლიან ვადაში, სხვადასხვა სფეროს განვითარებას ჰპირდებოდა დეპუტატებს, რამდენიმე წინადადების შემდეგ აცხადებდა, რომ ერთ წელიწადში აპირებდა წასვლას.** პარლამენტში ივანიშვილის გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გამიმყარდა ეჭვი, რომ „ქართული ოცნება“ დაპირებების შესრულებას არ აპირებდა და სააკაშვილის ჩანაცვლება მხოლოდ გეოპოლიტიკური ფანდი იყო ამერიკელების მხრიდან და მეტი არაფერი.

**— ამომრჩევლის მთავარი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენა იყო, რომელიც დღემდე შეუსრულებელია.**

— ქართველი პოლიტიკოსების მიერ წარმოებული პოლიტიკის არსი ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებაა და არა საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ისტორიულად ფორმირებული ინტერესების დაცვა. საქართველოს ბოლო წლების სამივე ხელისუფლება მხოლოდ შეერთებული შტატების ინტერესების გატარებით იყო დაკავებული. ამ მხრივ სააკაშვილის ხელისუფლება ყველაზე წარმატებული იყო. იგი არის „ძაღლისშვილი“, მაგრამ ამერიკელთა „ძაღლისშვილი“, ისინი კი თავიანთ „ძაღლისშვილებს“ ყოველთვის იცავენ. ის უსამართლო პოლიტიკური სისტემა, რომლის ფორმირება მოხდა საქართველოში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ამერიკელების შექმნილია. მიხეილ სააკაშვილი და მისი თანაგუნდელები კი სისტემის ფორმირების პროცესში მხოლოდ ამერიკელთა დავალებებისა და დირექტივების შემსრულებლები იყვნენ, ამიტომ **ამერიკელების მოქმედების შედეგად დღევანდელმა ხელისუფლებამ მისი წინამორბედი დამნაშავე ხელისუფლების მიმართ არათუ კანონით გათვალისწინებული ზომები ვერ გაატარა, არამედ დამნაშავე პოლიტიკური ორგანიზაცია „ნაციონალური მოძრაობა“ ქართველ ხალხს თავზე დაასვა, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა,** მათი რამდენიმე ლიდერი კი ამერიკელებმა უკრაინაში გადასხეს ისეთივე პოლიტიკური სისტემის ფორმირებისთვის, როგორიც ჩვენთან ჩამოაყალიბეს. როგორც ჩანს, ამერიკელებმა ჩათვალეს, რომ მიხეილ სააკაშვილი მათი მარიონეტების უთვალავი რაოდენობიდან ყველაზე „გამოცდილი კადრია“, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს „გამოუცდელ“ უკრაინელ კოლეგებს.

ზემოთ ჩამოყალიბებული ფაქტების გათვალისწინებით, სამართლიანობის აღდგენა, რომელსაც ქართველი ხალხი დამნაშავე „ნაცმოძრაობის“ მიმართ სამართლებრივი ზომების გატარებას უკავშირებს, არ მოხდება. შეიძლება ვინმე მეორე ხარისხოვანი ფიგურების მიმართ გაატარონ სამართლებრივი ზომები, მაგრამ ესეც მეეჭვება. რაც შეეხება მერაბიშვილის, ახალაიასა და უგულავას დაკავებას, ეს, უბრალოდ, ხალხიდან წამოსული მინიმალური სოციალური დაკვეთის შესრულებაა. მაქსიმუმის, ანუ დანაშაულებრივი სისტემის ნგრევა კი არ მომხდარა და არც მოხდება, ვინაიდან არსებულის შენარჩუნებით ყველაზე მეტად ამერიკელები არიან დაინტერესებულნი. **სისტემის ნგრევა და სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხდება: თუ დაინგრევა შეერთებული შტატების მიერ სამხრეთ კავკასიაში დამყარებული წესრიგი, და მერწმუნეთ, სისტემის ნგრევის შემთხვევაში, სამართლიანობის აღდგენაც არ დააყოვნებს.**

**— რა მიგაჩნიათ დღევანდელი ხელისუფლების მთავარ შეცდომად?**

— ძნელია რომელიმე შეცდომის გამოყოფა. სიმართლე გითხრათ, არ მახსენდება რომელიმე ცალკე აღებული შემთხვევა, ალბათ, იმიტომ, რომ ვთვლი, მათი პოლიტიკა (როგორც საშინაო, ისე საგარეო) კომპლექსურ შეცდომებზეა აგებული და მერწმუნეთ, **თუ ასეთ პოლიტიკურ თამაშებს კვლავაც განაგრძობენ, საქართველოს ახლო მომავალში ბევრი უბედურება დაატყდება თავს.**

**— ივანიშვილმა განაცხადა, რომ აღარ დაბრუნდებოდა ხელისუფლებაში, თუმცა დღეს მზადაა, კიდევ ერთხელ ამოუდგეს მხარში კოალიციას. რამ განაპირობა ივანიშვილის დღევანდელი პოზიცია და რა შედეგები მოჰყვება მის გადაწყვეტილებას?**

— დღეს ბატონი ივანიშვილი პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნების შესახებ განცხადებებს რომ აკეთებს, განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ მის მიერ დატოვებული ხელისუფლების მიმართ მხარდაჭერა და ლეგიტიმაცია კრიტიკულ ზღვარს ქვემოთ ჩამოდის, ხოლო ლეგიტიმაციის დაცემა პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული გაცემული დაპირებების შეუსრულებლობაზე. **ბატონმა ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნებაზე გაკეთებული განცხადებით კიდევ ერთხელ ირიბად აღიარა, რომ მას და მის გუნდს არაფერი გაუკეთებიათ გაცემული დაპირებების შესასრულებლად. ამიტომაც ბატონი ივანიშვილი ცდილობს, ჯერ კიდევ არსებული ავტორიტეტიდან გამომდინარე, სათავეში ჩაუდგეს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და, როგორც 2012 წელს გააკეთა, არაფრის მომცემი პოლიტიკური ფიგურების ხელისუფლებაში ხელახლა აღსაზევებლად მეორედ შეასრულოს ერთგვარი ლოკომოტივის ფუნქცია.**

თუ იგი კვლავ შემოვიდა პოლიტიკურ სისტემაში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, „ქართულ ოცნებას“ არაფერი დაემუქრება და, დიდი ალბათობით, არჩევნების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოს კარს უმრავლესობის რანგში შეაღებს. მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, რის საფუძველსაც ქართულ პოლიტიკურ პროცესებზე დაკვირვება მაძლევს, ამის მიზეზი იქნება არა ივანიშვილის მაღალი ავტორიტეტი, რომელიც მას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ჰქონდა, არამედ პოლიტიკურ ველზე ალტერნატიული პოლიტიკური ძალის არარსებობა. ანუ, ელექტორატს არჩევანის გაკეთება მოუწევს ცუდსა და უფრო ცუდს შორის, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, **თუ „ქართული ოცნება“ იმავე პოლიტიკას განაგრძობს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, მერწმუნეთ, სავალალოდ დაასრულებს მოღვაწეობას.**

**— რა თვალსაზრისი გქონდათ ბიძინა ივანიშვილის მიმართ პოლიტიკაში მოსვლამდე და რას ფიქრობთ ახლა?**

— არსებული საერთაშორისო სისტემის პირობებში არც ერთი სერიოზული კაპიტალის მქონე პიროვნება არ არის დამოუკიდებელი. ისინი ყოველთვის იმ ქვეყნის ინტერესების დამცველები არიან, რომლებიც ამ სისტემის სათავეშია და ეს ქვეყანაა ამერიკის შეერთებული შტატები. ამიტომ ყოველთვის ვთვლიდი და დღესაც ვთვლი, რომ საქართველოს უნდა მართავდეს არა რომელიმე ქვეყნის დასმული და მათი ინტერესების გამტარებელი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, არამედ ისინი, ვინც ნებისმიერ დიდ მოთამაშესთან მხოლოდ საქართველოს ინტერესებით იხელმძღვანელებს.

**— რა სახელს შეურჩევდით „ქართულ ოცნებას“ განვლილი ოთხი წლის მოღვაწეობის შემდგომ?**

— ამ კითხვაზე პასუხს მოკლედ გავცემ: კოალიცია „ქართული ოცნება“ „ქართული ბლეფი“ აღმოჩნდა, ვინაიდან, როგორც აღვნიშნე, დაპირებები თითქმის არ შეუსრულებია და, რაც მთავარია, სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხები არ გადაუწყვეტია. მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ იმედგაცრუება კი 2-3 წელიწადში კიდევ უფრო მოიმატებს.

**მოამზადა ქრისტინე ტოგონიძემ**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოში დაარსებული ლუგარის ლაბორატორია აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის უოლტერ რიდის უნივერსიტეტთან. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ უნივერსიტეტს არა სამედიცინო, არამედ სამხედრო პროფილი აქვს“.**

# ჯეფრი სილვერმანი: ინფორმაცია მომაწოდეს საავადმყოფოს თანამშრომლებმა, მითხრეს, რომ დაემუქრნენ, ამ შემთხვევაზე არავისთვის ეთქვათ




**თბილისში, ე.წ. ალექსეევკის დასახლებაში, მოქმედი რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია დაარსების დღიდან საზოგადოების ვნებათაღელვას იწვევს. ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიოშიც“ არაერთი მასალა დაიბეჭდა, თუმცა რა ტიპის კვლევები ტარდება ლაბორატორიაში და, საერთოდ, რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს მისი არსებობა ქვეყნისთვის, კვლავ პასუხგაუცემელია.**

**აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიიდან მომდინარე საფრთხეზე საჯარო საუბარი პირველმა მიხეილ სააკაშვილის ყოფილმა მრჩეველმა, ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯეფრი სილვერმანმა დაიწყო. მან ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა, რომ დაახლოებით ორი წლის წინათ ლუგარის ლაბორატორიის თანამშრომლები მოიწამლნენ და ინფიცირებული პერსონალი გადაიყვანეს პირველ კლინიკურ (ე.წ. არამიანცის) საავადმყოფოში, მაგრამ ინფორმაცია დღემდე მკაცრადაა გასაიდუმლოებული.**

**დეტალებში გასარკვევად „საქართველო და მსოფლიო“ ჯეფრი სილვერმანს დაუკავშირდა.**

**— ბატონო ჯეფრი, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ დაახლოებით ორი წლის წინათ რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიაში რამდენიმე თანამშრომელი მოიწამლა. რა მოხდა მაშინ და, თუ შეგიძლიათ, ამ ადამიანების ვინაობა გაგვიმხილეთ?**

— ეს ინფორმაცია მომაწოდეს საავადმყოფოს თანამშრომლებმა. მათ მითხრეს, რომ დაემუქრნენ, ამ შემთხვევაზე არავისთვის ეთქვათ. რომც ვიცოდე ამ ადამიანების ვინაობა, მაინც არ გავამჟღავნებდი. შემიძლია ვთქვა მხოლოდ ის, რომ ლუგარის ლაბორატორიიდან რამდენიმე ადამიანი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ სუნთქვის პრობლემები ჰქონდათ, ვინაიდან ლაბორატორიის მილგაყვანილობიდან მოხდა გაჟონვა. მადლობა ღმერთს, ყველა ცოცხალი გადარჩა. საავადმყოფოს ხელმძღვანელობაც გააფრთხილეს ამ ამბის შესახებ არავისთან ესაუბრათ.

ერთი რამ კი შემიძლია გითხრათ: **ეს ლაბორატორია არ დაარსებულა იმისათვის, რომ ქართველებს ემართათ და იქ ქართველები ყოფილიყვნენ დასაქმებულები.**

**— როგორ ფიქრობთ, რატომ დამალა ხელისუფლებამ ეს ინფორმაცია, რის შეეშინდა?**

— შენობა რამდენიმეჯერ გადააკეთეს. ამერიკის შეერთებული შტატების სამშენებლო-საინჟინრო კომპანია „ბეტჩელ ნეიშენალი“ შეეცადა, გაეზარდა მოგება და ქვეკონტრაქტორად დაიქირავა თურქული კომპანია მასალების ეკონომისთვის. თურქებმა უხარისხოდ შეასრულეს სამუშაოები და ამით ყველამ დიდძალი ფული იშოვა. ბევრმა იქ თავისი ახლობლები და ნათესავები დაასაქმა. არადა, ხარჯების შემცირება პოტენციურად სასიკვდილოა არა მხოლოდ მათთვის, ვინც ლაბორატორიაში მუშაობს, არამედ სრულიად საქართველოსთვისაც და რეგიონისთვისაც.

**ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ლუგარის ლაბორატორიაზე ყოველწლიურად 12 მილიონ აშშ დოლარს ხარჯავს. სხვათა შორის, „ბეტჩელ ნეიშენალს“ მჭიდრო კავშირები აქვს ამერიკის მთავრობასთან, მას 1947-დან 1982 წლამდე აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ჯორჯ შულცი, ხელმძღვანელობდა.**

ვეჭვობ, საქართველოს ხელისუფლება სრულიად ვერ აცნობიერებს, რაც ამ ლაბორატორიაში ხდება.

**— იცით თუ არა, სად არიან ახლა მოწამლული ადამიანები?**

— ეს ადამიანები, სავარაუდოდ, კვლავ ლაბორატორიაში მუშაობენ, თუმცა, ჭკუა რომ ჰქონდეთ, საავადმყოფოს დატოვების შემდეგ ლაბორატორიაში სამუშაოდ აღარ უნდა დაბრუნებულიყვნენ.

**საქართველოს უშიროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია ამბობს, რომ ლაბორატორიის თანამშრომლების მოწამვლის შესახებ მასაც სმენია, თუმცა რა მოხდა სინამდვილეში, საზოგადოებისთვის უცნობია:**

„ლუგარის ლაბორატორია ისეთი ლეგენდებითაა მოცული, რომ იქ რეალურად რა ხდება, არავინ იცის. თუმცა ამ ლაბორატორიის მიმართ ეჭვებს ბევრი ფაქტორი განაპირობებს. ლაბორატორიის შექმნა, ჩამოყალიბება და მისი ფუნქციური დატვირთვა ისე ამოვარდნილია სივრციდან, რომ ეჭვს იწვევს.

**— რას გულისხმობთ?**

— საკითხავია, რისთვის სჭირდებათ ამერიკელებს ასეთი ლაბორატორია საქართველოში? ამას გარდა, არავინ იცის, რეალურად რა ხდება და რა კვლევები ტარდება ამ ლაბორატორიაში, ახალი შტამები გამოჰყავთ, ცდებს ატარებენ თუ არსებულ შტამებზე აწარმოებენ დაკვირვებას?! ამერიკელებს ერთი დოლარის ინვესტიციაც კი არ განუხორციელებიათ ქართულ ეკონომიკაში და, რადგან ლუგარის ლაბორატორიაში ამდენი თანხა დახარჯეს, ეს უკვე ნიშნავს, რომ მათ სერიოზული ინტერესი აქვთ.

**— ლაბორატორიის პერსონალის მოწამვლის შესახებ თუ გაქვთ ინფორმაცია?**

— დიახ, მოწამვლის ფაქტის შესახებ მეც მსმენია, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდა სინამდვილეში. ყველაზე მეტ კითხვას იწვევს ის, რატომ გადაიხადეს ამერიკელებმა ამ ლაბორატორიისთვის ამხელა თანხა, თორემ ლაბორატორიის, სამეცნიერი კვლევითი ცენტრისა და სასწავლო დაწესებულების დაფუძნებაში ცუდი არაფერია. უბრალოდ, როცა ლაბორატორიის საქმიანობა ამდენ ეჭვს იწვევს და ვერ ვხედავთ მისი საქმიანობის რეალურ პროდუქტს, ვერ ვხედავთ, რა სარგებლობა მოაქვს მას საქართველოსთვის და ისიც არ ვიცით, რა მიზნით აშენდა ეს ლაბორატორია, ბუნებრივია, ეს ყველაფერი საფუძვლიან ეჭვს აჩენს ქართველ საზოგადობაში“.

პირველი კლინიკური საავადმყოფოს ადმინისტრაციის თანამშრომლები აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებენ და ვერ იხსენებენ, მართლა მკურნალობდა თუ არა საავადმყოფოში ლუგარის ლაბორატორიის მოწამლული პერსონალი. „ორი წლის განმავლობაში, სამასი ათასამდე ავადმყოფმა იმკურნალა ჰოსპიტალში და მათი სახელებისა და გვარების დასახელების გარეშე ვერაფერს გეტყვით“, — განგვიცხადა პირველი კლინიკური საავადმყოფოს ხელმძღვანელმა **მამუკა ფრანგულაშვილმა.**

ინფორმაციას ლაბორატორიის მავნებლობაზე არ ადასტურებს არც **ლუგარის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე.** „ლუგარის ლაბორატორია არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, პირიქით — ასეთი დონის ლაბორატორია ქვეყნის სიმდიდრეა“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ 2015 წლის შემოდგმაზე, „ქორთიარდ მარიოტში“ არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების“ ცენტრის მიერ გამართულ საგანგებო კონფერენციაზე, რომელიც ლუგარის ლაბორატორიის ირგვლივ მიმდინარე მითქმა-მოთქმას ეხებოდა. ამ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა პოლიტოლოგი **გიორგი მდივანი**, რომელმაც „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში განაცხადა, რომ მსგავსი ლაბორატორიები, საქართველოს გარდა, არსებობს ტაილანდში, კენიაში, გვატემალაში, ყაზახეთში, ინდოეთში, სამხრეთ აფიკასა და ბანგლადეშში.

„ახლო აღმოსავლეთში არსებულ კონფლიქტის კერებთან ყველაზე ახლოს სწორედ ლუგარის ლაბორატორია მდებარეობს. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს უბრალო დამთხვევაა. 2011 წელს საქართველოში დიდი პომპეზურობით გაიხსნა რიჩარდ ლუგარის ლაბორატორია, რომლის გახსნის ცერემონიასაც საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ესწრებოდნენ. საქართველოში ამ ლაბორატორიის გასახსნელად და შემდგომში უკვე მის ასამუშავებლად 300 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა. ამხელა ინვესტიცია პენტაგონმა გაიღო. თვითონ ლუგარის ლაბორატორიის შესახებ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ან საერთოდ არ აქვს წარმოდგენა, ან მხოლოდ მინიმალურ დონეზე ფლობს ელემენტარულ ინფორმაციას. რეალურად კი, აქ ბევრი გარემოება იწვევს ინტერესს. მაგალითად, 2013 წელს ამ ლაბორატორიაში 50 ადამიანი მუშაობდა, მათგან 6 საქართველოს მოქალაქე. იმხანად ლაბორატორიის ხელმძღვანელი იყო **გიორგი მაღლაფერიძე**, რომელიც თავის დროზე ზოოვეტში სწავლობდა და მის მეცნიერულ ნამუშევრებზე ინფორმაცია არ მოიპოვება. ადრე ამ თანამდებობას საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ანა ჟვანია** იკავებდა. რა კავშირია მეცნიერულ ლაბორატორიასა და დაზვერვას შორის, ამერიკელებმა უკეთ იციან. შეგახსენებთ, **ეს ის ანა ჟვანიაა, რომელზეც აშშ-ის საელჩო საქართველოში საკმაოდ კარგ ნოტას აგზავნიდა სახელმწიფო დეპარტამენტში. ეს მიმოწერა „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა და ყველასთვის ხელმისაწვდომია.** დირექტორის მოადგილის თანამდებობას კი ვინმე **ვახტანგ ბერიაშვილი** იკავებდა, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. ლუგარის ლაბორატორიამდე ის ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოში“ მუშაობდა. კავშირი მის წინა და ახალ სამუშაო ადგილებს შორის ყველასთვის ნათელია. ყველა ქვეყანაში და მათ შორის **საქართველოში დაარსებული ლუგარის ლაბორატორია აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის უოლტერ რიდის უნივერსიტეტთან. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ უნივერსიტეტს არა სამედიცინო, არამედ სამხედრო პროფილი აქვს.** ინტერნეტში ამ უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაცია თითქმის არ მოიპოვება, მიუხედავად იმისა, რომ დღეს 21-ე საუკუნეში ყველაფერზე არსებობს მასალები. ეს კიდევ ერთი დამატებითი კითხვის ნიშანია ლუგარის ლაბორატორიის თემის გარშემო.

მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთმა მრჩეველმა ჯეფრი სილვერმანმა დასავლურ მედიასაშუალებებში სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა იმის შესახებ, რომ ამერიკელი სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით საქართველოში დაარსებულ ლუგარის ლაბორატორიაში, ბიოიარაღის შექმნის მიზნით, 2011 წლიდან ტარდება ექსპერიმენტები. ჯეფრი სილვერმანის აზრით, სამოქალაქო ჯანდაცვისა და კომერციული კუთხით ლუგარის ლაბორატორიას საქართველოსთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს; იდეაში ეს ლაბორატორია საფრთხეებს უნდა ებრძოდეს, მაგრამ არ არის გამორიცხული, თვითონ დაიწყოს ამ საფრთხეების შექმნა.

საკითხს თუ ჩავუღრმავდებით, ერთ ძალიან საინტერესო გარემობას წავაწყდებით — **2013 წლამდე ლუგარის ლაბორატორია იყო ავტონომიური და დამოუკიდებელი წარმონაქმნი და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში კი არ შედიოდა, არამედ უშუალოდ პენტაგონის დაქვემდებარებაში იყო. ეს საქართველოს სუვერენიტეტის უხეში დარღვევაა და გარკვეულწილად საფრთხის შემცველიცაა, როდესაც შენს ქვეყანაში არსებულ ლაბორატორიას ქვეყნის სამინისტრო ან დაავადებების კვლევის ცენტრი კი არა, უცხო ქვეყნის სამხედრო უწყება აკონტროლებს.**

მხოლოდ 2013 წელს, როდესაც ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილმა გადაიბარა, ლუგარის ლაბორატორია საქართველოს იურისდიქციაში მოექცა და საქართველოს დაავადებათა კვლევის ნაციონალურ ცენტრს გადაეცა.

პენტაგონის მიერ 300 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, ბევრი კითხვის ნიშანი, ბევრი საკითხის გასაიდუმლოება მთავარი მომენტებია. პირადად მე ამ ლაბორატორიას სკეპტიკურად ვუყურებ“, — აცხადებს გიორგი მდივანი.

**ლუგარის ლაბორატორიიდან რამდენიმე ადამიანი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ სუნთქვის პრობლემები ჰქონდათ, ვინაიდან ლაბორატორიის მილგაყვანილობიდან მოხდა გაჟონვა. მადლობა ღმერთს, ყველა ცოცხალი გადარჩა. საავადმყოფოს ხელმძღვანელობაც გააფრთხილეს, ამ ამბის შესახებ არავისთან ესაუბრათ**

**მოამზადა შორენა ციკქარაშვილმა**

„მუსლიმთათვის მიგრაცია სრულიად მისაღები პროცესია, ისინი სახლდებიან სხვადასხვა ქვეყანაში, იღებენ ყველა იმ სიკეთეს, რომლებსაც მათ სთავაზობს ევროპული ცივილიზაცია, ანუ ქრისტიანული ტოლერანტობა; ისინი ძლიერდებიან, მრავლდებიან, აშენებენ მეჩეთებს და შემდეგ ქმნიან ანკლავებს, სადაც აწესებენ შარიათის კანონებს. სწორედ ასეთი არაოფიციალური ანკლავები ყალიბდება ექსტრემისტების ფორპოსტებად და სწორედ ისინი უქმნიან შემდგომში პრობლემებს სახელმწიფო ინსტიტუტებს“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიმონ კოპაძე: ისლამური ექსტრემიზმის ნებისმიერი გააქტიურება საფრთხის შემცველია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად დასავლური, ანუ ქრისტიანული ცივილიზაციისთვის

**მსოფლიოს ყველაზე დიდი, მდიდარი და აგრესიული ტერორისტული ორგანიზაცია კავკასიაშიც ფართოვდება. „ისლამური სახელმწიფოს“ 5-წლიანი სამოქმედო გეგმა რაცშეიძლება მეტი ტერიტორიის დაპყრობას ითვალისწინებს, მათ შორის აღმოსავლეთის ყველა მუსლიმური სახელმწიფოს, ევროპისა და აფრიკის კონტინენტის. სუნიტი ისლამისტების რადიკალური ტერორი კონფესიური ომის ხასიათს ატარებს. რა საფრთხეებს შეიცავს ეს საქართველოსთვის და რა უნდა გააკეთოს ქვეყანამ ამ საფრთხეების პრევენციისთვის?**
**— ამ საკითხზე გვესაუბრება საქართველო-კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის პრორექტორი სიმონ კოპაძე.**



**— მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახვა, რომ ისლამური კულტურა არ დაექვემდებარა სხვა კულტურასთან ასიმილაციის პროცესს, ევროპული მულტიკულტურიზმის იდეამ კი კრახი განიცადა. რა არის ამის მიზეზი?**

— ევროპული მულტიკულტურიზმის იდეის მიზანი არ ყოფილა ისლამური კულტურის დაქვემდებარება და ასიმილირება, პირიქით — ამ იდეის უპირველესი დანიშნულება იყო, უზრუნველეყო სხვადასხვა კულტურისა და მრწამსის ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრება. პრობლემები ამ მიმართულებით შექმნა არა ევროპულმა იდეამ, არამედ ისლამური რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობამ. ამის საფუძველი კი მათ მრწამსში უნდა ვეძებოთ, რომელიც სრულიად განსხვავდება ქრისტიანული სწავლებებისგან. ამ საკითხის სრული ანალიზისთვის აუცილებელია რელიგიურ დოგმათა შესწავლა და მათი გათვალისწინება შემდგომ ურთიერთობებში.

**— მოგეხსენებათ, ე.წ არაბულმა გაზაფხულმა გამოიწვია პოლიტიკური ისლამის გააქტიურება. ყურადსაღებია ყოველივე ეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით — საქართველოსთვის, სადაც ისლამური თემი მრავალრიცხოვანია?**

— რელიგიური შემადგენელი ყოველთვის თან სდევდა პოლიტიკას, განსკუთრებით — ისლამური სახელმწიფოების პოლიტიკას, „არაბული გაზაფხული“ კი სხვა ფაქტორებმა გამოიწვია რიგ ქვეყნებში და მათი წარმოშობის მიზეზი სხვა გეოპოლიტიკურ ასპექტებში უნდა ვეძებოთ. შესაბამისად, ისლამური ექსტრემიზმის ნებისმიერი გააქტიურება საფრთხის შემცველია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად დასავლური, ანუ ქრისტიანული ცივილიზაციისთვის.

**— გასაკვირი არ არის, რომ „ისლამური სახელმწიფო“ შეეცდება, შეაღწიოს იმ რეგიონებში, რომლებშიც მეტ-ნაკლებად მოახერხებს თავისი ქსელის ჩამოყალიბებას. ეს არის, პირველ რიგში, ახლო სამეზობლო, კერძოდ, ჩრდილოეთი კავკასია, შემდეგ კი თავისთავად შეაღწევს სამხრეთ კავკასიაშიც. ისლამური ექსტრემიზმი შეუქმნის თუ არა საფრთხეს საქართველოს?**

— თუ ვსაუბრობთ იმ ისლამური ექსტრემიზმის საფრთხეზე, რომლის წინაშეც დგას ცივილიზებული სამყარო, შესაბამისად, ამ საფრთხის წინაშე დგას საქართველოც. მოდი გავაანალიზოთ, რა მეთოდებით იკიდებს ფეხს იგი ჩვენში და მთლიანად ევროპაში. უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ, რომ **მუსლიმანისთვის ეროვნებასა და სამშობლოს ისეთი დატვირთვა არ აქვს, როგორიც ჩვენთვის; მათთვის ყველგან სამშობლოა, სადაც ფრიალებს ალაჰის მწვანე დროშა; მათი ენაა ის, რა ენაზეც მეტყველებდა და წერდა მუჰამედი და ა.შ.** შესაბამისად, **მუსლიმთათვის მიგრაცია სრულიად მისაღები პროცესია, ისინი სახლდებიან სხვადასხვა ქვეყანაში, იღებენ ყველა იმ სიკეთეს, რომლებსაც მათ სთავაზობს ევროპული ცივილიზაცია, ანუ ქრისტიანული ტოლერანტობა;** ისინი ძლიერდებიან, მრავლდებიან, აშენებენ მეჩეთებს და შემდეგ ქმნიან ანკლავებს, სადაც აწესებენ შარიათის კანონებს. სწორედ ასეთი არაოფიციალური ანკლავები ყალიბდება ექსტრემისტების ფორპოსტებად და სწორედ ისინი უქმნიან შემდგომში პრობლემებს სახელმწიფო ინსტიტუტებს.

**— „ისლამური სახელწიფოს“ რუკაზე ე.წ. ხალიფატის საზღვრებში მოქცეულია საქართველოც. ვის შეუძლია დაგვიცვას ამ საფრთხისგან?**

— **„ისლამური სახელწიფოს“ მიზანია, მის საზღვრებში მოექცეს მთელი მსოფლიო, მათ შორის, საქართველო, სათავეში კი იქნება ხალიფა, წინასწარმეტყველ მუჰამედის პირდაპირი შთამომავალი, როგორც საერო და სულიერი ლიდერი.** მათი ამ მიზნისკენ სვლას მნიშვნელოვნად აფერხებს ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობად დაყოფა, კერძოდ: შიიტიზმი, სუნიტიზმი, ვაჰაბიზმი, გარკვეული სექტები: ისმაილიტები, ალავიტები, სუფისტები და სხვ. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ისლამური ექსტერმიზმი ისეთი გლობალური საფრთხეა, რომ მასთან დაპირისპირება ერთიანი კოორდინაციის გარეშე პრობლემურია ყველა დიდი თუ პატარა სახელმწიფოსთვის.

**— ისლამი საქართველოში სიდიდით და მნიშვნელობით მეორე რელიგიაა. ჩვენთან ისლამის მიმდევრად დაახლოებით 430-460 ათასი მოქალაქე მიიჩნევს თავს. რა გავლენა შეიძლება იქონიოს ახლო აღმოსავლეთში ე.წ. პოლიტიკური ისლამის გააქტიურებამ სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობის იდეოლოგიურ-პოლიტიკურ შეხედულებაზე, კერძოდ, საქართველოს მუსლიმებზე?**

— როგორც უკვე აღვნიშნე, ექსტრემისტული და ტერორისტული ორგანიზაციები დამოუკიდებლად, მით უფრო, სპონტანურად, არ მოქმედებენ; ტერორისტული აქტის დამკვეთი ერთია, დამგეგმავი — მეორე, მომმზადებელი — მესამე, განმხორციელებელი — მეოთხე, რაც თავის თავზე შეიძლება მეხუთემ დაიკისროს; სწორედ ამიტომ მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო ხაზგასმით, რომ **საჭიროა ჩვენი სპეცსამსახურების აქტიური და შეთანხმებული მუშაობა პარტნიორი ქვეყნების ანალოგიურ უწყებებთან.**

**აუცილებელია საზოგადოების, მედიისა და ეკლესიის მუშაობის გააქტიურება, რათა თავიდან იქნას აცილებული რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებული ნებისმიერი სახის დაპირისპირება.**

**— შეცდა თუ არა დასავლეთი ისლამის შეფასებისას, როცა გადაწყვიტა, ისლამური ცივილიზაცია და კულტურა დაექვემდებარებინა დასავლური ფასეულობებისთვის?**

— დასავლეთს არც უცდია ისლამის დაქვემდებარება დასავლურ ფასეულობებთან, პირიქით, მან დანაშაულებრივად ფართოდ გაუღო კარი ისლამურ ცივილიზაციას ევროპაში. ამის შედეგია ამხელა მუსლიმანური თემებისა და ანკლავების არსებობა, რომლებიც ნოყიერი ნიადაგია ექსტრემიზმის აღმოსაცენებლად.

**— საქართველოში „ისლამური სახელწიფოს“ ქსელების ჩამოყალიბების ხელისშემწყობ ფაქტორებად რა შეიძლება მივიჩნიოთ?**

— ამგვარ ფაქტორებად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივიჩნიოთ ქვეყნის ხელისუფლების (არ აქვს მნიშვნელობა, ძველის თუ ახლის) უნიათობა, რომელიც დღეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება.

თუ არ არსებობს ეროვნული იდეა, ვერ იქნება მოქმედების პროგრამა; თუ არ იქნა ეროვნული სტრატეგია, შესაბამისად, სათანადოდ ვერ იმუშავებს ვერც ერთი სახელმწიფო უწყება — სწორედ ეს და ამგვარი მიდგომა ქმნის ხელშემწყობ პირობებს სხვადასხვა ქსელისა და მეხუთე კოლონის შესაქმნელად.

**— ისლამიზაციის პროცესში ის ქვეყნები, რომლებსაც არ აქვთ ურთიერთდახმარების სამხედრო შეთანხმება გავლენიან სახელმწიფოებთან, შესაძლოა, გახდნენ გარე ჩარევის მსხვერპლნი. არსებობს თუ არა ანარქიისა და სამოქალაქო დესტაბილიზაციის საფრთხე ჩვენს ქვეყანაში?**

— „ისლამური სახელწიფოსთვის“ ეს მრავალწახნაგოვანი პროცესია. იგი ეძებს საშუალებებს, დაუპირისპიროს ეს ინტერესები ერთმანეთს. სწორედ ამისთვის იყენებს მუსლიმურ ანკლავებში შექმნილ ექსტრემისტების ფართო ქსელს.

როგორც უკვე აღვნიშნე, **თუ სათანადო ზომები არ გატარდა, არ გადაიხედა და არ გადახალისდა ქვეყნის მართვის პრინციპები, სისტემა და ინსტიტუტები, საქართველოში ყველანაირი საფრთხე არსებობს.**

ესაუბრა **ნატა ხორავა**

**«თუ სათანადო ზომები არ გატარდა, არ გადაიხედა და არ გადახალისდა ქვეყნის მართვის პრინციპები, სისტემა და ინსტიტუტები, საქართველოში ყველანაირი საფრთხე არსებობს»**

**«ისლამური სახელწიფოს» მიზანია, მის საზღვრებში მოექცეს მთელი მსოფლიო, მათ შორის, საქართველო, სათავეში კი იქნება ხალიფა, წინასწარმეტყველ მუჰამედის პირდაპირი შთამომავალი, როგორც საერო და სულიერი ლიდერი»**

მოკლედ



## სირიაში საქართველოს ორი მოქალაქე დაიღუპა

**პანკისის ხეობის მოსახლეობის განცხადებით, სირიაში საქართველოს ორი მოქალაქე დაიღუპა — სოფელ ბირკიანის მკვიდრი, 24 წლის რამზან ფარეულიძე და სოფელ ომალოს მკვიდრი, 22 წლის მუხმად თურქოშვილი.** ფარეულიძე და თურქოშვილი „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იბრძოდნენ. ორივე დაახლოებით ერთი წლის წინათ წავიდა სირიაში.



განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ქართველმა ხალხმა დაკარგა უძველესი ტრადიციები და ეროვნული ღირებულებები, მაშინ წყალსაც წაუღია ის კავშირი, რომელშიც ჩვენი ინტერესები არ იქნება გათვალისწინებული! სიდუხჭირეში 25-წლიანმა ყოფნამ ჩამოაყალიბა მოსახლეობის გარკვეული ფენა, რომელიც ვერ ათვითცნობიერებს წარსულის ფასეულობებს და, აწმყოს მძიმე პირობებით შეშფოთებული, ეფემერული „ნათელი მომავლით“ ცხოვრობს.**

# «ევროკავშირი» თუ «ევრაზიული კავშირი»?



**უკვე 25 წელი გავიდა, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ეს ოფიციალურად, თორემ სინამდვილეში... სიტყვა „დამოუკიდებელი“ არასწორად მიმაჩნია და, თუ ფხიზელი თვალით შევხედავთ რეალობას, აუცილებლად დავინახავთ, რომ რუსეთი გავცვალეთ ამერიკა-ევროპაზე და სწორედ მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური „რეცეპტებით“ გვიწევს ცხოვრება. მაშასადამე, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ვერ ჩაითვლება.**

როდესაც ვსაუბრობთ ნამდვილ დამოუკიდებლობაზე, რიგი გარემოებების გათვალისწინებაა საჭირო, მაგალითად, გვაქვს კი რესურსი ქვეყნის ღირსეული არსებობისთვის? ვაღიაროთ, რომ არა. დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ქვეყანას უნდა ჰქონდეს განვითარებული და, შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დარგები: **სოფლის მეურნეობა** საირიგაციო სისტემებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, საკონსერვო და მეორადი პროდუქციის გადამამუშავებელი ქარხნებით და სხვ. **ინდუსტრიულადაც** განვითარებული უნდა ვიყოთ. დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აუცილებელია მძიმე და მსუბუქი მრეწველობა და ა.შ. სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არც საკუთარი სოფლის მეურნეობა სურს და არც ფაბრიკა-ქარხნები ეხატება გულზე — აბა, ეს რა მათი საკადრისია. **ხალხის ეს კატეგორია სულდგმულობს ამერიკა-ევროპის დახმარების იმედით. მათი ცხოვრების საზრისია ცეკვა-თამაში, სატელევიზიო სერიალები, პოლიტიკური „თოქშოუები“ (უმეტეს შემთხვევაში, უაზრო და ზოგჯერ ამაზრზენიც კი), ტელეთამაშები და უამრავი სხვა, თავისი არსით, „სალეჭი რეზინი“ ტვინისთვის. ქვეყნის „შოუმენიზაცია“ — აი, რა არის ჩვენი უბედურება.** თუ სახელმწიფოს არ აქვს შესაბამისი რესურსი — ეს, ბუნებრივია, მას კარგ მომავალს არ უქადის. სწორედ ამიტომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ლუკმაპურის საშოვნელად გადახვეწილია უცხოეთში, სადაც მონური შრომა უწევს. სამწუხაროდ, ბედნიერი ცხოვრება, რომელიც 1990 წლამდე გვქონდა, უბედურებაში გავცვალეთ.

„დამოუკიდებელი“ საქართველოს ყველა ხელისუფლებას ევროპისკენ ჰქონდა აღებული გეზი. უკვე მრავალი წელია „გვაბოლებენ“ „ევროკავშირის“ სავარაუდო წევრობით, ევროპული ინვესტიციებით, ვითომდა, მერე ავღორძინდებითო. ასეთი „აღორძინების“ აბსურდულობაზე, ფაქტიურად, საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრაზე ორი წლის წინ ჩვენს გაზეთში პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია** წერდა:

**„თუ საუბარია ინვესტიციებზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მაშინ უნდა ითქვას, რომ საქართველოს შიგა ბაზარი ძალიან მცირეა იმისთვის, რათა მსხვილი ინვესტორები დააინტერესოს. მსხვილი ინვესტიციებისთვის საჭიროა გასაღების მასშტაბური ბაზარი, ქართული პროდუქციისთვის კი ასეთი ბაზარი მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს. უფრო მეტიც, მსხვილი ინვესტიციების განხორციელება მხოლოდ რუსულ კაპიტალს შეუძლია, რომელიც თვითონვე უზრუნველყოფს პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გასაღებას. ქართულ წარმოებაში ფულს სხვა არავინ ჩადებს. რუსული კაპიტალის მოსაზიდად კი საჭიროა რუსეთთან სრულფასოვანი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების აღდგენა, რაც, ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის კურსის გათვალისწინებით, უბრალოდ, გამორიცხულია.**

გგონიათ, სააკაშვილს არ უნდოდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვა? უნდოდა, მაგრამ არავინ დებდა. დასავლეთს არ სჭირდება საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ამდენად, ამ სფეროებში დასავლური კაპიტალი ინვესტიციას არ ჩადებს. სწორედ ამიტომ შევარდნაძეც და სააკაშვილიც დასავლეთისგან მხოლოდ კრედიტებს იღებდნენ, ანუ ფულს სესხულობდნენ. დღეს საქართველოს საგარეო ვალი, თუ არ ვცდები, 13 თუ 14 მილიარდი დოლარია. საკუთარი ეკონომიკის არარსებობის პირობებში, ამ ვალის მხოლოდ პროცენტების გადასახდელად ახალ-ახალი კრედიტები უნდა ავიღოთ. ეს კაბალაა.

**შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ „პატარა შვეიცარიად“ ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ „მეორე სინგაპური“ გავხდებოდით, ივანიშვილი კი „მეორე დუბაიდ“ გადაქცევას გვპირდება. მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არც ერთი ამ ორიენტირთაგანი ჩვენთვის პრინციპულად ვერ იქნება რეალური მიზანი. და, მადლობა ღმერთს, რომ ვერ იქნება. ამ ადამიანებმა ვერა და ვერ გაიგეს, რომ ჩვენ გვსურს, ვიყოთ საქართველო და მხოლოდ საქართველო.** მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც ჩვენს მმართველებს არ გააჩნიათ არც ქვეყნის აღორძინების რეალური პროგრამა, არც მკაფიო წარმოდგენა საქართველოს მომავალზე, ცდილობენ, საზოგადოებას თავს მოახვიონ ფანტასტიკური მიზნები და იმედოვნებენ, ამით ადამიანებს გონება დაუბინდონ. გულწრფელად გითხრათ, **არ მოველოდი, რომ ივანიშვილის „ქართული ოცნება“ ასე სწრაფად გადაიქცეოდა მორიგ ფუყე „ქართულ ფანტაზიად“.** („საქართველო და მსოფლიო“, 18-24 სექტემბერი, 2013 წ.)

მართლაც, დავფიქრდეთ, რისთვის სჭირდება “ევროკავშირს” და, საერთოდ, დასავლეთს მის მიერვე მოშლილი და გაღატაკებული საქართველო, ან, თუნდაც, ფეთქებადი კავკასიის რეგიონი? მინდა, თანამემამულეებს შევახსენო რუსეთის ხელისუფალთა მიერ არაერთხელ განცხადებული: **„სჯობს, დავთმოთ კრემლი, ვიდრე კავკასია“. ახლა კი, როდესაც რუსეთი ფეხზე წამოდგა, გაოგნებულ დასავლეთს „ჩვეულ რეჟიმში“ პანღური ამოჰკრა და დააჩოქა კიდეც (ევროპული სანქციების მიუხედავად), ზემოთ მოყვანილი სიტყვები კარგად უნდა დავიმახსოვროთ, რათა 2008 წლის აგვისტო არ განმეორდეს.**

ევროკავშირს მომავალი რომ არ უწერია, კარგად ჩანს, თუნდაც საბერძნეთის, რუმინეთის, ბულგარეთის და, წარმოიდგინეთ, განვითარებული იტალიის მაგალითზე. ამ ქვეყნებმა ნათლად წარმოიდგინეს საკუთარი არასახარბიელო მომავალი და უკმაყოფილების განწყობაც ჩამოუყალიბდათ. ზოგიერთი სახელმწიფო ევროკავშირის დატოვებაზე სერიოზულად ამიტომაც დაფიქრდა და ამის თაობაზე საჯაროდ განაცხადა, მაგალითად, ინგლისმა. **ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ბოლო ორი-სამი თვის განმავლობაში დატრიალებულმა მოვლენებმა, ვგულისხმობ არაბთა ახალ შემოსევას ევროპაზე, დაგვიდასტურა, რომ გამამათმავლებულ და გადედათმავლებულ ევროპას აღარ ჰყავს კარლ მარტელი, მაშასადამე, ახალი „პუატიე“ (ევროპული „დიდგორი“) არ შედგება.**

მაშ, რა ვქნათ? ჩვენ ხომ არ გვაქვს საარსებო რესურსი. საჭიროა მოკავშირე ქვეყნების მოძებნა, რომელთა მეშვეობით შევძლებთ ფეხზე წამოდგომას. ჩვენ ვდგავართ ისტორიული არჩევანის წინაშე — ევროკავშირი თუ ევროაზიული კავშირი? 25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში შრომითი საქმიანობა შეწყდა. **ერთ დროს უმდიდრესი რესპუბლიკა, რომელშიც განვითარებული იყო ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა, სპორტი, დღეს სულს ღაფავს. ვითარების გამოსწორება კი უნდა დაიწყოს საორგანიზაციო ჯგუფის შექმნით, რომლის შემადგენლობაში იქნებიან საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და დამსახურება ქვეყნის მშენებლობაში.** შეიძლება რეფერენდუმის გამართვაც, მაგრამ, რეალობიდან გამომდინარე, რეფერენდუმი ჩვენთვის მიუღებელია, ამისთვის შესაბამისი ცოდნა-გამოცდილებაა საჭირო. წარსულის, აწმყოსა და მომავლის განსაზღვრა მხოლოდ და მხოლოდ იმ პიროვნებებს შეუძლიათ, რომლებიც თავის დროზე ქვეყნის აღმშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ და გამსჭვალულნი არიან ეროვნული ინტერესებით. რისთვის იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები და რისთვის იღვრებოდა სისხლი? **თუ ქართველმა ხალხმა დაკარგა უძველესი ტრადიციები და ეროვნული ღირებულებები, მაშინ წყალსაც წაუღია ის კავშირი, რომელშიც ჩვენი ინტერესები არ იქნება გათვალისწინებული! სიდუხჭირეში 25-წლიანმა ყოფნამ ჩამოაყალიბა მოსახლეობის გარკვეული ფენა, რომელიც ვერ ათვითცნობიერებს წარსულის ფასეულობებს და, აწმყოს მძიმე პირობებით შეშფოთებული, ეფემერული „ნათელი მომავლით“ ცხოვრობს.** ასეთი ადამიანები, დარწმუნებული ვარ, არასწორ არჩევანს გააკეთებენ. **მეფე ერეკლემ მრავალჯერ სცადა დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მაგრამ ვერ შეძლო. ბოლოს, დიდი ფიქრისა და მსჯელობის შემდეგ, მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელმაც ქართველობა გადაარჩინა ფიზიკურ განადგურებას.** თუ ვინმეს ეს საეჭვოდ ან არასწორად მიაჩნია, ვთხოვ, გადაიკითხოს საქართველოს ისტორია და გადახედოს დოკუმენტურ მასალებს. ბოლოს და ბოლოს, ურწმუნოებს მივუთითებ ილია ჭავჭავაძის ნაშრომზე **„ასის წლის წინათ“.** ვფიქრობ, უხერხულია, ჩათვალო, რომ ილიაზე დიდი პატრიოტი და მოაზროვნე ხარ.

დასასრულ, **ამ ყოფნა-არყოფნის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას, პირველ რიგში, ჩვენ მიერ გასათვალისწინებელია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, მისი უწმინდესი სინოდისა და პატრიარქის, ილია მეორის თვალსაზრისი.**

**გიორგი კორძაძე**

**«დამოუკიდებელი» საქართველოს ყველა ხელისუფლებას ევროპისკენ ჰქონდა აღებული გეზი. საქართველოს შიგა ბაზარი კი ძალიან პატარაა იმისთვის, ინვესტორები რომ დააინტერესოს. მსხვილი ინვესტიციებისთვის საჭიროა გასაღების მასშტაბური ბაზარი, ქართული პროდუქციისთვის კი ასეთი ბაზარი მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს. უფრო მეტიც, მსხვილი ინვესტიციების განხორციელება მხოლოდ რუსულ კაპიტალს შეუძლია, რომელიც თვითონვე უზრუნველყოფს პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გასაღებას. ქართულ წარმოებაში ფულს სხვა არავინ ჩადებს. რუსული კაპიტალის მოსაზიდად კი საჭიროა რუსეთთან სრულფასოვანი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების აღდგენა, რომელიც, ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის კურსის გათვალისწინებით, უბრალოდ, გამორიცხულია**

**როგორც კი ღარიბაშვილის მთავრობამ რუსეთში ქართული პროდუქციის გატანას დაუფარავად დაუჭირა მხარი, ვაიუშველებელი ატეხეს „ნაციონალებმა“. ისინი რუსული „გაზპრომის“ წინააღმდეგაც გამოვიდნენ, არადა საყოველთაოდ აღიარებულია, ენერგოშემცველთა ერთადერთ წყაროზე ქვეყნის ჩამოკიდების დამღუპველობა, მაგრამ ეს „ნაციონალ-პატრიოტების“ ფინანსურ ინტერესებს შეეხო, ანუ „სოკარს“, რომელიც მათი დამპურებელი და „მამა-მარჩენალია“ დღემდე. ასეთ არეულობას კი ისეთი არალოგიკური შედეგი მოჰყვა, როგორიც ირაკლი ღარიბაშვილის „საკუთარი ნებით“ გადადგომა იყო.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნაპოლეონ ქარქაშაძე: გონიერი მმართველი რუსეთის ბაზარს არ დაკარგავს

**საახალწლოდ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ნაპოლეონ ქარქაშაძე გვესაუბრება:**

— ახალი წლის დადგომის წინ პირველი იყო გაოცება, გაოცება პრემიერმინისტრის გადადგომის გამო. ახალი წლის წინ აკადემიაში მოგვივიდა მოლოცვა მისი ხელმოწერით(!). ამიტომ გაგვიკვირდა ყველას, რადგან ჩვენს საზოგადოებრივ სივრცეში არ არსებობდა რაიმე იმის მიმანიშნებელი, რომ მას თანამდებობა უნდა დაეტოვებინა, თანაც „საკუთარი სურვილით“.

პირიქით — იმ ანგარიშის მიხედვით, რომლითაც იგი საზოგადოებრიობის წინაშე წარდგა, პრემიერი მადლობის ღირსი უნდა ყოფილიყო.

მე რომ მკითხოთ, **სწორედ ირაკლი ღარიბაშვილმა შემოიტანა საქართველოს მთავრობაში მმართველობის ვაჟკაცური სტილი. სააკაშვილი თავხედი იყო — გაბედული თავხედი. ღარიბაშვილის გაბედულება კი მართალი საქმიდან მომდინარეობდა, ამბობდა იმას, რაც სიმართლედ მიაჩნდა და არავისი ეშინოდა.**

ამ ახალგაზრდა კაცს თავის დროზე ხელმძღვანელად ყოფნის გარკვეული საფეხურები რომ გაევლო, გამოცდილება რომ დაეგროვებინა 3-4 წლის განმავლობაში, მისთვისაც და საქვეყნო საქმისთვისაც უკეთესი იქნებოდა.

სამწუხაროა, რომ ვერც გამოცდილება დააგროვა, ვერც პროფესიონალ მოღვაწეთა გუნდი შემოიკრიბა. მთავარი ნიშანი მავანთა პარტიული კუთვნილება, ნაცნობობა და არჩევნების პერიოდში აქტიურობის გამოვლენა იყო.

სახელმწიფო ასე არ იმართება, მოგეხსენებათ. ხელმძღვანელს ადამიანის შეცნობის უნარი უნდა ჰქონდეს, ურთიერთობის ფსიქოლოგიას უნდა ფლობდეს, საფუძვლიანად უნდა იყოს გარკვეული ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში და ა.შ.

დიპლომატიც უნდა იყოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებთან საქმიანი კონტაქტების დროს. ხომ ფაქტია, რომ ჩვენთვის და უცხოეთის ქვეყნების ელიტისთვის აშკარად თვალშისაცემი იყო პრემიერისა და პრეზიდენტის დაპირისპირება, ეს ორივე მხარეს უხერხულად წარმოაჩენდა, ძალიან ცუდად ჩანდა.

**— გამოუცდელი ახალგაზრდებისთვის ხელისუფლების ჩაბარება, როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია?**

— მიზეზი ბევრია. მე მხოლოდ ერთს დაგისახელებთ. მთავარი მიზეზი არცთუ შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ, კადრების მომზადების იმდროინდელი სისტემის სრულ უგულებელყოფაში. **ჩვენს „რევოლუციურ“ დროშას წავაწერეთ დევიზი — რაც საბჭოურია, დასაგმობია!**

უგულებელყოფის ასეთი აჩემებით ზოგჯერ საქმე სრულ აბსურდამდე მიდის. ამ დღეებში ერთ-ერთ ტელეარხზე მუსიკის ხელოვნებაზე მოსაუბრე ორი წამყვანი ისე გაერთო საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების კრიტიკით, რომ განაცხადეს (ერთმა თქვა, მეორემ დაუდასტურა): კომუნისტების დროს ფორტეპიანოზე დაკვრა თითების ვარჯიში იყო და სხვა არაფერიო!

უნდა გენახათ, როგორი თავდაჯერებულები და თვითკმაყოფილები იყვნენ ეს ახალგაზრდა „აქსაკალები“.

თემას თუ დავუბრუნდებით, გავიხსენებ, რომ ჩვენ დროს საპასუხისმგებლო თანამდებობებისთვის გათვალისწინებულ ახალგაზრდა კადრებს საგანგებოდ ამზადებდნენ სხვადასხვა დონის უმაღლეს კურსებზე და, წარმოიდგინეთ, აკადემიებშიც კი. გვასწავლიდნენ (ჩემი გამოცდილებით გიდასტურებთ) ისეთ საგნებს, როგორიც იყო, მაგალითად, მართვის ფილოსოფია, მართვის ფსიქოლოგიური ასპექტები, ადამიანების შეცნობის უნარი, კოლექტივთან ხელმძღვანელის ურთიერთობის საფუძვლები და ა.შ.

საბჭოთა კავშირის 134 უმაღლესი სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის ყველა რექტორს პერიოდულად გვიწვევდნენ მმართველობის საკითხების ათვისების სპეციალურ კურსებზე.

თქვენ გსმენიათ, რომ დღევანდელ საქართველოში მინისტრებისთვის, მათი მოადგილეებისთვის, რექტორებისთვის და სხვა უწყებათა ხელმძღვანელებისთვის არსებობს ამგვარი კურსები?

**— არა, არ მსმენია. სამაგიეროდ მახსენდება გასული საუკუნის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში გავრცელებული მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მართვა შეუძლია ნებისმიერ „კუხარკას“. იგივე მიდგომა დაამკვიდრა „ვარდების რევოლუციამ“ საქართველოში. უვიცების ხელისუფლება დაგვასვეს თავზე, რომელსაც ამერიკელი „სპეცები“ თავიანთ „ხოშზე“ მართავდნენ... ძველი თბილისური სიტყვისთვის ბოდიშს ვიხდი...**

— მე მგონი, **საქართველოში დღეს ცოტას თუ სჯერა, რომ სააკაშვილის თავაწყვეტილობის ხანაში ჩვენი ქვეყანა მართლა იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. გსმენიათ როდესმე იმდროინდელი ლიდერებისგან არგუმენტირებული დასაბუთება რომელიმე სახელმწიფო აქტის? ყველაფერი დემაგოგიაზე იყო აგებული, რომელსაც ძალოვანი სტრუქტურების ძალადობრივი სისტემა ამყარებდა.**



**«კვირიკაშვილს ვურჩევ, დაეყრდნოს ინტელექტუალებს, ჭეშმარიტ პროფესიონალებს და არა ტელევიზიით გამომსვლელი ე.წ. ექსპერტების, ამ ერთი და იმავე სახეების თავდაჯერებულ «ყოვლისმცოდნეობას»**

შიშიანობა იყო, ლეკიანობაზე უარესი და საძაგელი რამ, რომელიც ჩვენს თანამოქალაქეებს თრგუნავდა, უწინარეს ყოვლისა, სულიერად, ძალას აცლიდა, ადვილად სამართავს ხდიდა.

აშშ-ის ინტერესებზე რომ ვიყავით ყველა დარგში აქცენტირებული, ფაქტია. მე, როგორც ჩემი დარგის ერთ-ერთ წარმომადგენელს, რომელსაც არაერთი მონოგრაფია მაქვს დაწერილი მსოფლიოს სოფლის მეურნეობის პრობლემებზე, მითქვამს და ვიმეორებ, რომ **ერთ-ერთი ქვეყანა, რომლის ბაზარიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ათვისებული, არის რუსეთი. ყოფილი ხელისუფლების პირობებში ამ ბაზრისკენ გახედვაც კი აკრძალული გვქონდა, არადა, ეს აუცილებელი და მომგებიანი იყო ჩვენთან წარმოებული პროდუქციის გასაყიდად. ევროპის ბაზარში შესვლა და დამკვიდრება კი ჩვენს პროდუქციას ძალიან უჭირს. შედეგად საქართველოს ბაზრიდან თანდათან განიდევნა ქართული ნაწარმი და უმთავრესად თურქულით ჩაენაცვლა.**

ამის გამკეთებელი გონიერი მმართველი რომ არ იქნებოდა, ცხადია. **ჩვენი ყოფილი ხელისუფლება კი სხვისი ინტერესების დასაცავად ყველაფერზე წამსვლელი რომ იყო, უდავო ფაქტია, სხვათა შორის, არცთუ უანგაროდ.**

საცოდავი მარიონეტები!

როგორც კი ღარიბაშვილის მთავრობამ რუსეთში ქართული პროდუქციის გატანას დაუფარავად დაუჭირა მხარი, ვაიუშველებელი ატეხეს „ნაციონალებმა“.

ისინი რუსული „გაზპრომის“ წინააღმდეგაც გამოვიდნენ, არადა საყოველთაოდ აღიარებულია, ენერგოშემცველთა ერთადერთ წყაროზე ქვეყნის „ჩამოკიდების“ დამღუპველობა, მაგრამ ეს „ნაციონალ-პატრიოტების“ ფინანსურ ინტერესებს შეეხო, ანუ „სოკარს“, რომელიც მათი დამპურებელი და „მამა-მარჩენალია“ დღემდე.

ამათ მიერ ინსპირირებულ არეულობას კი ისეთი არალოგიკური შედეგი მოჰყვა, როგორიც ირაკლი ღარიბაშვილის „საკუთარი ნებით“ გადადგომა იყო.

**უპერსპექტივო ვითარებაში აღმოვჩნდით: ევროკავშირში ბოლოს და ბოლოს, ალბათ, შევალთ, მაგრამ ჩვენს პროდუქციას ვერ შევიტანთ ან, თუ შევიტანთ, ვერ გავყიდით. ევროკავშირის მიერ დაწუნებულ საქონელს კი ჩვენ დაგვაყრიან თავზე ისე, როგორც ბოლო დროს — თურქულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, რომლებიც რუსეთთან კონფლიქტის გამო მის ბაზარზე ველარ შეაქვთ.**

**გონიერი მმართველი რუსეთის ბაზარს, რასაკვირველია, არ დაკარგავს.**

ეს მხოლოდ საბაზრო (პირდაპირი გაგებით) ურთიერთობის პრობლემა არ არის. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკას. საზოგადოებამ, ხალხმა სარგებელი უნდა ნახოს. ამ სარგებლის მიმცემი ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკაა, ამიტომ სახელმწიფომ სწორედ ამ პრინციპზე აგებული პოლიტიკა უნდა განახორციელოს.

კვლავ ხელაღებით რომ დავიწყოთ რუსეთის ლანძღვა, ისევ ისეთ წამგებიან სიტუაციაში აღმოვჩნდებით, როგორშიც სააკაშვილის მმართველობის დროს ვიყავით.

**აფხაზეთის, სადაც წლების განმავლობაში ვმუშაობდი, მათ შორის, კონფლიქტის ურთულეს პერიოდში, დაბრუნების უმტკივნეულეს საკითხზე ჩემი თვალსაზრისი არაერთხელ გამომითქვამს, მაგრამ არც ყოფილი ხელისუფლების დროს, არც ივანიშვილისა და ღარიბაშვილის პერიოდში არავინ დაინტერესებულა იმ პრაქტიკული საკითხებით, რომლებსაც ვაყენებდი ჩვენი და აფხაზების ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, და აქედან, საბოლოო, საერთო მიზნის მისაღწევად.**

რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მით უფრო მეტად სჭირდება ჭკვიანი ხელისუფლება; რაც უფრო სუსტია მსოფლიო გიგანტებთან შედარებით, მით უფრო ყველასთან დაბალანსებული ურთიერთობის განხორციელებაა მისთვის აუცილებელი.

**— თქვენი ეს სურვილები აშკარად მთავრობის ახალი ხელმძღვანელისკენაა მიმართული.**

— დიახ. ამ ადამიანს კარგი ბიოგრაფია აქვს. ეკონომიკასა და ფინანსებში გარკვეულ პროფესიონალს, მგონი, არ უნდა გაუჭირდეს მართვა. ღარიბაშვილის წასვლის გამო გული დამწყდა, მაგრამ ვთვლი, რომ კვირიკაშვილი უფრო მოერგება ამ თანამდებობას.

**— რას უსურვებთ?**

**— კვირიკაშვილს ვურჩევ, დაეყრდნოს ინტელექტუალებს, ჭეშმარიტ პროფესიონალებს და არა ტელევიზიით გამომსვლელი ე.წ. ექსპერტების, ამ ერთი და იმავე სახეების თავდაჯერებულ „ყოვლისმცოდნეობას“.** არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ნამდვილი მეცნიერი თავისი ნებით ეკრანზე არ გამოკეკლუცდება. აი, ასეთი ადამიანები უნდა მოძებნონ, შეამჩნიონ, მიიწვიონ და რჩევაც ჰკითხონ, მოუსმინონ, ბოლოს და ბოლოს.

ეს კი არა, რამდენი საქმიანი წერილი ღერბიან ქაღალდზე დაბეჭდილი გავაგზავნე ხელისუფლებაში, არა კერძო, არამედ სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე და იცით, რა პასუხები გამომიგზავნეს? მივიღეთ, წავიკითხეთ და კარგად იყავითო. პრემიერის კანცელარიის თანამშრომელმა, თუ უკეთ იცის, როგორ უნდა მოევლოს სოფლის მეურნეობის პრობლემებს, ვიდრე ჩვენი აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, მაშინ ცუდად ყოფილა საქმე ან მთავრობაში, ან აკადემიაში **(აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძეს ირონიულად ელიმება).**

ხომ ცნობილია, რომ ხელისუფლების მწვერვალის დაპყრობა გმირობის ტოლფასია, მაგრამ იქიდან უხიფათოდ დაშვება ბედნიერებაა. ამასაც ვუსურვებ ახალ ხელმძღვანელს.

**«პრემიერის კანცელარიის თანამშრომელმა თუ უკეთ იცის, ვიდრე ჩვენი აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, როგორ უნდა მოევლოს სოფლის მეურნეობის პრობლემებს, მაშინ ცუდად ყოფილა საქმე ან მთავრობაში, ან აკადემიაში»**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ძალი ძალის ტყავს არ დახევს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2006 წლის 2 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში, კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩატარებული სპეცოპერაციისას ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი ჩაცხრილეს. 9 წლის შემდეგ კი, 2015 წლის 20 იანვარს, ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი, რომელიც 8 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დამნაშავეებს ეძებდა და ყოფილ თუ ახალ ხელისუფლებას დამნაშავე პოლიციელების დაწინაურებაში ამხელდა, შვილის საფლავზე ააფეთქეს.**

# კოაბიტაციას შეწირულები

## ანუ გაუხსნელი კრიმინალური საქმეების ქრონიკა

**„ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანმა მმართველობამ უამრავი გაუხსნელი სისხლის სამართლის საქმე, დაუსჯელი დამნაშავე, უსამართლოდ დასჯილი ადამიანი და უსამართლობის განცდა დაუტოვა ქართველ საზოგადოებას. სამწუხაროდ, დაპირებული სამართლიანობის აღდგენა ვერც ახალი ხელისუფლების მოსვლიდან სამი წლის შემდეგ მოხერხდა. გახმაურებული მკვლელობების საქმეები, რომლებმაც თავის დროზე საქართველო შეძრა, დღემდე ლოგიკურ დასასრულამდე ვერ მივიდა. არადა, დრო გამოძიების სასარგებლოდ ნამდვილად არ მუშაობს. დანაშაულში ეჭვმიტანილმა რამდენიმე პირმა უკვე დატოვა ქვეყანა და თავი უცხოეთს შეაფარა, დაღუპულთა ოჯახები კი, წლებია, სამართალს უშედეგოდ ეძებენ...**



*** ხელისუფლების სათავეში ნაციონალების მოსვლიდან ერთ წელიწადში, 2004 წლის 23 ნოემბერს, 19 წლის ბუტა რობაქიძე დიდუბის ეკლესიასთან ჩატარებული სპეცოპერაციისას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. საპატრულო პოლიციის იმიჯის გადასარჩენად, მოწმეების მტკიცებით, შემთხვევის ადგილზე იარაღი მიიტანეს და მტკიცებულებები გააყალბეს. ყველაფერი ისე მოაწყვეს, თითქოს პოლიციამ შეიარაღებული ყაჩაღური დაჯგუფების წევრი წინააღმდეგობის გაწევის მომენტში მოკლა. როგორც ბუტა რობაქიძის საქმის გამოძიების მასალებიდან გაირკვა, მას მანქანიდან გადმოსვლის მომენტში ესროლეს, როდესაც ხელები აწეული ჰქონდა. დანაშაულის დაფარვის საქმეში შს სამინისტროსა და პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ.**

**სოსო რობაქიძე, ბუტა რობაქიძის მამა:**

— უკვე სამი წელია, განახლებული სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. საქმე, პირველ ეტაპზე, ავად თუ კარგად, გამოიძიეს, მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს პროცესი და ორ-სამ თვეში დარსულდეს საქმე, მაგრამ მოსამართლე დროს შეგნებულად აჭიანურებს. შეიძლება მოსამართლე ხუთ თვეში ერთხელ ნიშნავდეს პროცესს?! **უნდობლობას ვუცხადებ მოსამართლე მგელიაშვილს და მის აცილებას ვითხოვ, რათა სასამართლო ნორმალურად ჩატარდეს.** სასამართლო პროცესზეც კი აშკარად ჩანს, ვის მხარეზეა მოსამართლე.

*** საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებამ იმთავითვე გააჩინა უამრავი კითხვა, რომლებიც დღემდე პასუხგაუცემელია. 2005 წლის 3 თებერვალს ზურაბ ჟვანია რაულ იუსუპოვთან ერთად საბურთალოზე მდებარე ერთ-ერთ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, პრემიერის სიკვდილის მიზეზი უბედური შემთხვევა გახდა — ბუნებრივი აირის გაჟონვა, მაგრამ ამ ვერსიას ოჯახი დღემდე კატეგორიულად ემიჯნება და აცხადებს, რომ პრემიერის გარდაცვალება ინსცენირებული იყო. ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის ხელახალი გამოძიება 2012 წელს დაიწყო — ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ. და, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერის დაცვის წევრებს 2014 წელს მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო ბრალი წარუდგინეს, დღემდე გაურკვეველია, რა მოხდა სინამდვილეში 2005 წლის თებერვალში.**

**გოგლა ჟვანია, ზურაბ ჟვანიას ძმა:**

— ახალს ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, გამოძიება მიმდინარეობს, საინტერესო დეტალები იკვეთება და იმედი მაქვს, მალე პროკურატურა დასკვნას გაასაჯაროებს.

**— აქამდე რატომ ვერ მივიდა საქმე ლოგიკურ დასასრულამდე?**

— ჯერ ერთი, საქმე უკვე დიდი ხნის წინათ მომხდარ შემთხვევას უკავშირდება. ამ დროის განმავლობაში კი ბევრი მასალა გააყალბეს, ეს, ბუნებრივია, გამოძიების პროცესს აფერხებს, თუმცა სიმართლის დადგენას შეუძლებელს არ ხდის. მიმაჩნია, რომ დღეს ამ საქმის გახსნის ყველა წინაპირობა არსებობს. ვიმედოვნებ, მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება.





*** ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მომხდარი მკვლელობებიდან ყველაზე ხმაურიანი იყო სანდრო გირგვლიანის მკვლელობა. ამ შემთხვევამ, დემოკრატიისა და სამართლიანობის დამცველის სახელით მოსულ „ნაციონალების“ ხელისუფლებას სერიოზულად შეურყია ავტორიტეტი და ხელისუფლების მაღალჩინოსნების თავგასულობა გამოააშკარავა. 2006 წლის 28 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებმა, შარდენის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის გამო, სანდრო გირგვლიანსა და მის მეგობარს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და განსაკუთრებული სისასტიკით აწამეს. 28 წლის ახალგაზრდის ნაწამები სხეული ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს. შვილის სიკვდილს დედის — ირინა ენუქიძის სიცოცხლეც შეეწირა. დედისა, რომელიც დაუღალავად ითხოვდა დამნაშავეების დასჯას. რამდენიმე დღეში სანდრო გირგვლიანის ტრაგიკულად დაღუპვიდან 10 წელი შესრულდება, ხელისუფლებაში „ნაციონალები“ აღარ არიან, მაგრამ საქმე კვლავ დაუსრულებელია...**

**გურამ გირგვლიანი, სანდრო გირგვლიანის მამა:**

— სანდროს საქმე რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი, ოქროყანის ეპიზოდი ცალკეა გამოყოფილი, ამიტომ ჯერჯერობით ამ საქმეზე რამის თქმა, ვფიქრობ, ნაადრევია. გამოძიება მიმდინარეობს და ველოდებით მის დასრულებას. წინა ხელისუფლების დროს გამოძიება სულ სხვა კუთხით წარიმართა, ვინაიდან მისი მიზანი იყო, იმ ცნობილი სუფრის წევრებიდან არავინ დასჯილიყო. მაგრამ **მელნიკოვმა უკვე ორჯერ აღიარა, რომ სანდროს წამების შეკვეთა სწორედ იმ სუფრიდან და პირადად თაკო სალაყაისგან მოდიოდა.** მოგეხსენებათ, ყოფილი შს მინისტრი, ვანო მერაბიშვილი, უკვე სცნეს ბრალდებულად. ახლა ველოდებით დათა ახალაიას სასამართლო პროცესს და **მოვითხოვთ, დაისაჯოს მთავარი დამნაშავე — თაკო სალაყაია, რომელიც მელნიკოვმა ღიად დაადანაშაულა.**



*** 2006 წლის 2 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში, კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩატარებული სპეცოპერაციისას ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი ჩაცხრილეს. 9 წლის შემდეგ კი, 2015 წლის 20 იანვარს, ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი, რომელიც 8 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დამნაშავეებს ეძებდა და ყოფილ თუ ახალ ხელისუფლებას დამნაშავე პოლიციელების დაწინაურებაში ამხელდა, შვილის საფლავზე ააფეთქეს.**

*** აკადემიკოს გურამ შარაძეს 2007 წლის 20 მაისს თბილისის ცენტრში, მელიქიშვილის გამზირზე, ზურგში ხუთი ტყვია ესროლეს. გამოძიების პირველადი ვერსიით, მკვლელობა ვინმე გიორგი ბარათელმა ჩაიდინა, მაგრამ აკადემიკოსის ოჯახი გამოძიების თავდაპირველ ვერსიას არ დაეთანხმა და წელიწად-ნახევრის წინათ საქმის ხელახალი გამოძიება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის მაისში საქმე ყოფილმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა პირად კონტროლზე აიყვანა, გურამ შარაძის მკვლელობის საქმეც დღემდე გამოუძიებელია.**

**რუსუდან შარაძე, გურამ შარაძის ქალიშვილი:**

— გურამ შარაძის მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიება ოფიციალურად 2014 წლის ივლისში დაიწყო. როგორც აღმოჩნდა, საკმარისი ყოფილა ის მტკიცებულებები, რომლებიც ჩვენ არჩილ კბილაშვილის პროკურორობისას წარვადგინეთ, ახალაღმოჩენილ გარემოებებად ჩათვლილიყო. მიუხედავად ამისა, არჩილ კბილაშვილის პროკურატურამ თითქმის ორი წელი დაგვაკარგვინა.

მკვლელობიდან დიდი დრო გავიდა და ბევრმა მოწმემ — დანაშაულის შემსრულებელმა თუ თანამონაწილემ — ქვეყანა დატოვა. **ქვეყნიდან გაიქცნენ არა მხოლოდ ისეთი „ჭანჭიკები“, როგორებიც იყვნენ მეგის ქარდავა, კოხტა თოდუა და სხვები, არამედ მთავარი დამნაშავეები და მკვლელობის ორგანიზატორებიც კი სააკაშვილისა და დათა ახალაიას მეთაურობით.** რაც შეეხება მოწმეებს, ისინი საკმაოდ ჰყავს ამ საქმეს, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დღემდე იმალება და სიმართლეს არ ამბობს.

**— ხელისუფლება ხომ შეიცვალა, როგორ ფიქრობთ, რისი ეშინიათ ამ ადამიანებს?**

— დიახ, ხელისუფლება შეიცვალა და, წესით, ამ მოწმეებს არ უნდა ეშინოდეთ. ზოგჯერ ძალიან ვბრაზდები და ასეთი საქციელი უპასუხისმგებლობად მიმაჩნია, მაგრამ, მეორე მხრივ, არსებულ სიტუაციაში მათიც მესმის. მაშინ, როდესაც **იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე ააფეთქეს, ბიზნესმენი ბესიკ ხარძიანი საკუთარ სახლთან მოკლეს, ახლახან კი, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორი ვახტანგ ქირია მოკლული იპოვეს, მათი შიში გასაგებია,** მაგრამ მე მათ ადგილზე მაინც სხვანაირად მოვიქცეოდი. მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვუწოდო მათ,

„მართალია, ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოფილი ხელისუფლების ნარჩენები ისევ არიან სხვადასხვა თანამდებობაზე. ფაქტია, საქმე გაჩერებულია და წინსვლა არ ჩანს. ერთი წლის წინათ ხელმეორედ მივმართე პროკურატურას, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. გამომძიებლის აცილებაც მოვითხოვეთ, მაგრამ არანაირი პასუხი არ მიგვიღია... ძალიან კარგად იციან, ვინ არის მკვლელობის შემკვეთიცა და შემსრულებელიც, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი ადამიანია ამ ამბავში გარეული და სიმართლის დადგენა ვიღაცებს ხელს არ აძლევთ“.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვინც გამოძიებასთან თანამშრომლობისგან დღემდე თავს იკავებს, მოვიდნენ, მათი ვინაობა კონფიდენციალური დარჩება. თუ ვინმეს ეშინია, რომ დანაშაულის დაფარვისთვის დაისჯება ან იმისთვის, რომ მინიმალურად მაინც მონაწილეობდა ამ საქმეში, ვპირდები, ოღონდ სიმართლე თქვან და ყველაფერს გავაკეთებ, რომ არ დაისაჯონ.

**— ყოფილმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა გურამ შარაძის მკვლელობის საქმე პირად კონტროლზე აიყვანა, ამის მიუხედავად, ამდენი ხნის განმავლობაში რატომ ვერ მივიდა გამოძიება ლოგიკურ დასასრულამდე?**

— ვერ ვიტყვი, რომ გამოძიება წინ არ მიდის, მაგრამ საქმეს რამდენიმე ფაქტორი აფერხებს: ერთი, როგორც გითხარით, არის მოწმეების დუმილი, მეორე — სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ შეგნებულად თუ შეუგნებლად მალავს გარკვეულ ინფორმაციას და ამას ემატება პროკურატურის დაბნეულობა, კბილაშვილის მოღალატეობრივი საქციელი, ათასი ჩანერგილი არაპროფესიონალი და, ბუნებრივია, ამ ყველაფერმა გამოძიებაზე გავლენა იქონია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მკვლელობიდან დიდი დრო გავიდა. მიუხედავად ამისა, აქტიურად მუშაობენ გამომძიებლები. მე ინტენსიურად ვხვდები მთავარ პროკურორ **ირაკლი შოთაძეს;** არის სიახლეები, უბრალოდ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამაზე საუბრის უფლება ჯერჯერობით არ მაქვს, მაგრამ იმედიანად ვარ განწყობილი და ვფიქრობ, სიმართლე ადრე თუ გვიან აუცილებლად გაირკვევა.

*** 2008 წელს 31 წლის გიორგი გამცემლიძე საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა სიცოცხლეს გამოასალმა. პოლიციის ვერსიით, გარდაცვლილი შეიარაღებული იყო, მაგრამ ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ იარაღზე გამცემლიძის თითის ანაბეჭდები არ აღმოჩნდა. მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელი ვახტანგ აბუაშვილი გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობისთვის (116-ე მუხლით) გაასამართლეს და ორი წელი მიუსაჯეს. დაღუპულის ოჯახი განზრახ მკვლელობის ვერსიაზე საუბრობს და საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს.**




**ჯამბულ გამცემლიძე, გიორგი გამცემლიძის მამა:**

— ჩემი შვილის საქმეში ფიგურირებდა იარაღი, რომლის წარმომავლობაც ვერაფრით დაადგინეს. სისხლის სამართლის საქმე უსასრულოდ გაჭიანურდა და როდის დასრულდება, უფალმა უწყის. შარშან ამ დროს, როდესაც იური ვაზაგაშვილი დაიღუპა, ვინაიდან ჩვენ მეგობრები ვიყავით და ერთად ჩამოვაყალიბეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლე“, პროკურატურაში დამიბარეს. პირადად შევხვდი ყოფილ და ახლანდელ პროკურორებს — გიორგი ბადაშვილსა და ირაკლი შოთაძეს. ძალიან კარგად შემხვდნენ და პროკურატურიდან დაიმედებული წამოვედი, ვიფიქრე, ჩემი შვილის საქმე მალე დასრულდებოდა და სიმართლე გაირკვეოდა, მაგრამ ვითარება დღემდე არ შეცვლილა.

**— რა არის ამის მიზეზი?**

— ვფიქრობ, შესაბამისი პოლიტიკური ნება არ არსებობს. თუმცა, ვის არ აქვს ეს ნება და კონკრეტულად ვის არ სურს ამ საქმის ობიექტური გამოძიება, არ ვიცი. ფაქტია, რომ საქმე არ სრულდება, არადა, ორ კვირაში შეიძლება სიმართლის გარკვევა, რადგან ეს საქმე თავიდანვე „თეთრი ძაფით“ იყო შეკერილი. ფაქტობრივად, ყველაფერი იმთავითვე ცხადი იყო — მკვლელმა, უბრალოდ, აიღო იარაღი და მოკლა ჩემი შვილი.

**— მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელი უკვე თავისუფალია?**

— დიახ, ორი წელი იჯდა ციხეში და ახლა საქართველოდან წასულია, როგორც შევიტყვე, ცოლიც შეურთავს და პოლონეთში სეირნობს. ჩემი გიორგის გარდაცვალებიდან კი 8 მაისს უკვე რვა წელი სრულდება...



**გულიკო გამცემლიძე, გიორგი გამცემლიძის დედა:**

— გამოძიება კარგად მიმდინარეობდა, კმაყოფილი ვიყავით, მაგრამ მოულოდნელად ზაფხულში გამომძიებელი დააწინაურეს და საქმე გადაეცა ახალ გამომძიებელს, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობდით. შევხვდით ახალ გამომძიებელსაც, მაგრამ ზაფხულის შემდეგ საქმეში სიახლე არაფერია.

სხვათა შორის, უარი განვაცხადეთ „ახალგაზრდა იურისტების“ ადვოკატზე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღარც მედიას ვაძლევდით კომენტარს და სრული თავისუფლება მივეცით პროკურატურას; მაინტერესებდა, როგორ იმოქმედებდა გამოძიება, მაგრამ შეიძლება ითქვას, ჯერჯერობით საქმე ძალიან მდორედ მიმდინარეობს.

***2012 წელს ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაღუპული არჩილ ჩოხელის ოჯახი სიმართლის გარკვევასა და დამნაშავეების დასჯას დღემდე უშედეგოდ მოითხოვს. საქმეში არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო დეტალების გამო, დაღუპული სპეცრაზმელის ახლობლები ეჭვობენ, რომ არჩილ ჩოხელი მოკლულია. ოჯახი პასუხისმგებლობას მიხეილ სააკაშვილს, ვანო მერაბიშვილსა და დათა ახალაიას აკისრებდა და, მიუხედავად იმისა, რომ, საქმის გამოძიების მიზნით, საქართველოს პარლამენტსა თუ სახალხო დამცველის ოფისში სპეციალური საგამოძიებო კომისიებიც კი შეიქმნა, ზემოთ ჩამოთვლილი საქმეების მსგავსად, გარდაცვლილი ახალგაზრდა სპეცრაზმელის საქმე დღემდე ბურუსითაა მოცული.**

**ხათუნა ჩოხელი, არჩილ ჩოხელის და:**

— საქმეში სიახლე არაფერია. გვეუბნებიან, მიმდინარეობს გამოძიებაო. რით ვერ გამოიძიეს საქმე, როცა უკვე მეოთხე წელი დაიწყო, გაუგებარია. ჯერჯერობით ოჯახს ჩემი ძმის გარდაცვალების ექსპერტიზის დასკვნაც არ გვაქვს.

**— ხელისუფლება შეიცვალა, რატომ არ მიდის საქმე წინ?**

— ვერ გეტყვით. მართალია, ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოფილი ხელისუფლების ნარჩენები ისევ არიან სხვადასხვა თანამდებობაზე. ფაქტია, საქმე გაჩერებულია და წინსვლა არ ჩანს. ერთი წლის წინათ ხელმეორედ მივმართე პროკურატურას, მაგრამ შედეგი ისევ არ მოჰყოლია. გამომძიებლის აცილებაც მოვითხოვეთ, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია.

თავდაპირველად სიმართლის გარკვევის დიდი იმედი გვქონდა, მაგრამ უკვე ეს იმედიც თითქმის გადაგვეწურა, რომ ამ საქმეს ოდესმე ნათელი მოეფინება. ძალიან კარგად იციან, ვინ არის მკვლელობის შემკვეთიცა და შემსრულებელიც, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი ადამიანია ამ ამბავში გარეული და სიმართლის დადგენა ვიღაცებს ხელს არ აძლევთ.

მოამზადა **შორენა ციქარაშვილმა**

**«მელნიკოვმა უკვე ორჯერ აღიარა, რომ სანდროს წამების შეკვეთა სწორედ იმ სუფრიდან და პირადად თაკო სალაყაიასგან მოდიოდა. მოგეხსენებათ, ყოფილი შს მინისტრი, ვანო მერაბიშვილი, უკვე სცნეს ბრალდებულად, ახლა ველოდებით დათა ახალაიას სასამართლო პროცესს და მოვითხოვთ, დაისაჯოს მთავარი დამნაშავე — თაკო სალაყაია, რომელიც მელნიკოვმა ლიად დაადანაშაულა»**



# ხელისუფლებამ «მწვანე შუქი» აგვინთოს

**თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ვარ. განსაკუთრებით მომწონს პუბლიკაციები, რომელთა ავტორები არიან: ვალერი კვარაცხელია, სოსო ცინცაძე, ალექსანდრე ჭაჭია, გრიშა ონიანი, დავით მხეიძე, თამარ კიკნაძე და სხვა პატრიოტი ადამიანები.**

„მთას დავუბრუნოთ მთიელი“ — ამ ძველი ლოზუნგის აღდგენამ ძალიან გამახარა: მეც ხომ იქაური ვარ, გუდამაყრელი. დიდხანს ვიყავი გორის უნივერსიტეტის ლექტორი, დაწერილი მაქვს მეცნიერული ნაშრომები ეკონომიკის საკითხებზე.

**საქართველოს გადარჩენისა და ეკონომიკური წარმატების გზები, მე, როგორც მკითხველს, ასე მესახება:**

*** მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან — ნეიტრალიტეტი;**

*** რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა;**

*** მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე;**

*** ი. სტალინის უმართებულო კრიტიკის აღკვეთა, მისი ძეგლის დადგმა გორის სახლ-მუზეუმთან;**

*** ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაუშვებლობა;**

*** ქართული მიწების უცხოელებისთვის მიყიდვის აკრძალვა;**

*** ანტიკორუფციული სამსახურის აღდგენა;**

*** მოძმე მეზობელ სახელმწიფოებთან ვაჭრობის აღდგენა ძველი „ცეკავშირის“ მსგავსად;**

*** ელექტროსადგურების მშენებლობა სახელმწიფო სახსრებით (სხვანაირად დენი არ გაიაფდება);**

*** საქართველოს მთიანეთის აღორძინება არის უბრწყინვალესი გეგმა, რომელიც ჩვენს ქვეყანას გამოიყვანს ეკონომიკური კრიზისიდან;**

*** ამასთანავე, უნდა გააქტიურდეს საქართველოს ფუნქცია, როგორც ისტორიული „აბრეშუმის გზის“ საკვანძო ქვეყნის. უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ტურიზმს ზამთარ-ზაფხულის განმავლობაში, მისი შემოსავლები საგრძნობლად შეავსებს ბიუჯეტს;**

*** ბოლოს და ბოლოს, უნდა შევქმნათ სუფთა წყლის ინდუსტრია, წყლისა, რომლის ფასი მსოფლიოში თანდათან იმატებს, როგორც დეფიციტური საქონლის.**

**წყლის რესურსების ეფექტიანად ათვისება და რეალიზაცია საქართველოსთვის დიდი შემოსავლის წყარო გახდება.**

ორიოდე სიტყვა მთიანეთის ათვისების შესახებ:

მთაში დაბრუნების მსურველთათვის საჭიროა, ადგილობრივ ხელმძღვანელობებში სასწრაფოდ შეიქმნას ე.წ. მიმღები ჯგუფები, რომლებიც აღრიცხავენ მოსულებს და დაეხმარებიან ნორმალურად დაბინავებაში, კერძოდ: კრედიტით მისცემენ სანაშენოდ საქონელს, ფუტკარს და ა.შ. უნდა მისცენ სამკურნალო წყლის ჩამოსხმის უფლება. მთის წყაროები აურაცხელია გუდამაყრის, ხანდო-ჭართლის, მთიულეთის, ფშავ-ხევსურეთის, ხევის, თუშეთის, სვანეთის მიტოვებულ სოფლებში. ბიზნესმენებმა, რომელთა ხელშიცაა, მაგალითად, ბორჯომ-ბაკურიანის ხეობის მინერალური წყლების დამუშავება, უნდა დაიოკონ მადა, მთაში დაბრუნებას კი შეუქმნან პირობები მცირე ბიზნესის გასავითარებლად. ამ საქმის განსახორციელებლად ასათვისებელია რუსული ბაზარი, რადგან, ჯერ ერთი, იგი ჩვენთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოა, მეორე — იქაურებს ჯერ არ დავიწყებიათ ჩვენი პროდუქტების გემო და სისუფთავე; მიჩვეულნი არიან ქართული ღვინის, ხილის, ციტრუსების მოხმარებას. ჩემს თანამემამულეებს მოვუწოდებ, დაბრუნდნენ მიტოვებულ სახლებში. ხომ ხედავთ, ხელისუფლებამ „მწვანე შუქი“ აგვინთო!

**ტრისტან ბედუკაძე**

**მთაში დაბრუნების მსურველთათვის საჭიროა, ადგილობრივ ხელმძღვანელობებში სასწრაფოდ შეიქმნას ე.წ. მიმღები ჯგუფები, რომლებიც აღრიცხავენ მოსულებს და დაეხმარებიან ნორმალურად დაბინავებაში, კერძოდ: კრედიტით მისცემენ სანაშენოდ საქონელს, ფუტკარს და ა.შ. უნდა მისცენ სამკურნალო წყლის ჩამოსხმის უფლება**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**არათუ გლობალურ სტრატეგიულ საკითხებს, არამედ გაზი ვისგან ვიყიდოთ, ზამთარში რომ არ გავიყინოთ, ანდა ამნისტია რომელ წვრილმან ხულიგანს უნდა შეეხოს და რომელს არა, ამერიკის ელჩს ვუთანხმებთ და რატომ უნდა დაგვბომბონ, ნეტა?! აი, თუკი მათ რაიმე სერიოზულ ინტერესს „გადავკვეთთ“, მერე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, 2008 წლის აგვისტო „ბავშვურ გართობად“ მოგეჩვენებათ იმასთან შედარებით, რაზეც იანკები არიან წამსვლელნი!**

# სტრატეგიული მასხარები, ანუ ოპა, ოპა, ამერიკა-ევროპა!

**როგორც ჩანს, ამ ოცდაათიოდე წლის წინათ ერთ რუს „ჩასტუშკების“ მომღერალს ენამ უყივლა. თუ გახსოვთ, ცნობილი უხამსი რუსული „ჩასტუშკების“ ყოველი სტროფი ასეთი მისამღერით მთავრდებოდა:**
**— „ოპა, ოპა, ამერიკა, ევროპა, აზია, ევრაზია, ჩტოჟ ზა ბეზაბრაზია?“.**




სიტყვა „ბეზაბრაზია“-ს ზუსტი ქართული შესატყვისი ვერ მოვუნახე. „უწესრიგობა“, „არეულობა“, „დომხალი“, „ქაოსი“, „ჯანდაბა“ და „დოზანაა“ მისი შესატყვისი... ამიტომ შევთანხმდეთ: სადაც დამჭირდება მისი გამოყენება, როგორც იტყვიან ხოლმე „ოკუპანტების“ ენაზე, პირდაპირ „ბეზაბრაზიეს“ გამოვიყენებ და ქართველმა „ზეპატრიოტებმა“ ეცადონ, როგორმე არ დამძრახონ...

სიტყვამაც მოიტანა და მეც სწორედ, აი, ამ ქართველ „ზე პატრიოტებზე“ ვაპირებდი დაწერას. ბარემ პირდაპირ სათქმელზე გადავალ: გასული კვირის განსაკუთრებით აქტიური თემა ქართველი კალათბურთელის — **ზაზა ფაჩულიას** ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ლიგის „ყველა ვარსკვლავის“ გუნდში მოხვედრისთვის გაჩაღებული კამპანია იყო. აღარ დავიწყებ იმის დაწვრილებით ახსნას, რას ნიშნავს „ენბიეი ვოუთ ზაზა ფაჩულია“, რადგან ეს ამბავი ყველა ქართველმა უკვე კარგად იცის.

მოკლედ ვიტყვი, მათთვის, თუკი ვინმეს რაღაც სასწაულით გამორჩა, რომ ასეთი ხერხით ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ლიგა — „ენბიეი“ გულშემატკივარს აძლევს შანსს, შეარჩიოს მისთვის სასურველი სამი კალათბურთელი, რომელიც „ყველა ვარსკვლავის“, ანუ „ოლ სტარის“ მატჩში მიიღებს მონაწილეობას მწვრთნელების მიერ შერჩეულ დანარჩენ 12-თან ერთად. ამისთვის საჭიროა, სოციალურ ქსელებში ჩავსვათ ზევით მოყვანილი „თაგი“ და ჩვენი ხმა ზაზა ფაჩულიას მიუვა.

რა თქმა უნდა, შეიძლება არსებობდეს ეჭვები, რომ ეს ყველაფერი დადგმულია, სინამდვილეში მაინც თავად აარჩევენ სამეულს და ეს „ხმის მიცემები“ მხოლოდ „ოლ სტარის“ მატჩის რეკლამირებისთვის არის მოგონილი, მაგრამ, ასეა თუ ისე, ჩვენგან შეუძლებელს არავინ არაფერს ითხოვდა და, თუ ჩვენი მიცემული ხმა ზაზას არ შეემატებოდა, არც ჩვენ დაგვაკლდებოდა ამით რამე.

ამიტომაც, გვჯეროდა თუ არა, უამრავმა, ვიტყოდი, **უდიდესმა პროცენტმა ქართველებისა, რა თქმა უნდა, მივეცით ხმა თანამემამულეს. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ „გამორჩეული“ ქართველებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც ამის გამო ერის ლანძღვას მიჰყვეს ხელი და ქართველებს „მეტიჩარა ერი“ უწოდეს, აქაოდა, ფაჩულიას „ყველა ვარსკვლავის“ გუნდში თამაში არ ეკუთვნის და ქართველები ძალით „ვტენითო“. ამაზე ადეკვატური რეაქციაც ბევრ ჩვენგანს ჰქონდა და ეს ამბავიც ჩაცხრა...**

თუმცა მოულოდნელად ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორის“, ამერიკის შეერთებული შტატების, მოქალაქეების მხრიდან ისეთი საშინელი რეაქცია მივიღეთ, ბევრი მართლა რომ არ ელოდა.

დიახ, „ბევრი“ არ ელოდა, თორემ, მე ზუსტად ვიცი, **საქართველოში, საბედნიეროდ, ჯერაც არსებობენ ადამიანები, რომლებმაც ზუსტად იციან, რეალურად რას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები და მისი საზოგადოება.**

მოდი, ჯერ გეტყვით, რაშია საქმე: **ერთ-ერთმა ამერიკულმა სატირულმა ტელეშოუმ, სახელწოდებით „სტარტერები“, ზაზა ფაჩულიას „გაქაჩვის“ გამო ისე სასტიკად დასცინა ქართველებს, ჩემნაირ ადამიანებსაც კი დააღებინა პირი.**

**„ჩემნაირებში“ იმათ ვგულისხმობ, ვისაც გულუბრყვილოდ არასოდეს ეგონათ, რომ ჩვენი „მტრები“ მხოლოდ რუსები არიან, ხოლო ამერიკელი საზოგადოება დღე და ღამე ასწორებს „მეგობარ“ ქართველებზე ფიქრით და აღარ იცის, რით გვასიამოვნოს და როგორ მოიგოს ჩვენი გული.**

აი, ჩემნაირებსაც კი **ლამის გულები დაგვიხეთქა ამერიკელთა ასეთმა თავხედობამ, ცინიზმმა და უპატივცემულობამ. რა თქმა უნდა, ერთი კონკრეტული კალათბურთელის გაშაყირება, რა ეროვნებისაც უნდა იყოს, ყველას შეუძლია და ამაზე ერთი ამბავის ატეხვა არც ღირს.**

საქმე ის არის, რომ **„სტარტერების“ მიერ წარმოდგენილ ვიდეორგოლში უშვერად არის გათახსირებული საქართველო, როგორც სახელმწიფო. თავხედური ყბისმოქცევა ქართულ გვარებზე (ფაჩულია, მარგველაშვილი) გადადის თავითონ საქართველოს, როგორც ქვეყნის გაქილიკებაში იმ კონტექსტით, რომ, საერთოდ, „ვინ მიგდია“ ეს ქვეყანა მსოფლიო რუკაზე და რა რაოდენობის მოსახლეობა ჰყავს მას, რომ თავიანთი კალათბურთელი „ოლ სტარში“ მოახვედრონ. „საერთოდ, ვინ არის ეს ხალხი და რატომ აქვს ამხელა ამბიცია მსოფლიოს ამ ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელს?“ — აი, ეს შინაარსი გასდევს მთელ სიუჟეტს, რომელსაც ფონად ადევს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი და ერთ მომენტში სამიდან ერთი წამყვანი ყბისმოქცევით „ღიღინებს“ კიდეც მას!**

სხვათა შორის, საკმაოდ გაქილიკებულია „მსოფლიო ინტერნაციონალურ მისიებში ყველაზე დიდი კონტრიბუციისთვის“ ამერიკელებისგან არაერთხელ ნაქები ქართული ჯარიც, მხოლოდ იმისთვის, რომ მათ „მოიცალეს“ და ზაზა ფაჩულიას მხარი დაუჭირეს „ფლეშ-მობ“ აქციით...

**მოკლედ, ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები“ აშკარად „სტრატეგიულ მასხარებად“ მოგვევლინენ და ისე გაგვათახსირეს, არც ერთ რუსს რომ არ უკადრებია არც ბოლშევიკების, არც ნიკოლოზის, არც ეკატერინე მეორის და არც ივანე მეოთხის დროს!**

სწორედ ეს ფიქრი ამეკვიატა თავდაპირველად ამ ვიდეოს ნახვისას — **ასეთი რამ რომელიმე რუსულ ტელეარხს ან ინტერნეტსაიტს რომ გაეკეთებინა, ხომ იქნებოდა ახლა „აფეთქებული“ როგორც ინტერნეტი, ასევე რეალური სივრცე ფრაზებით: „აი, თქვენი რუსები! ამათ ეთაყვანებით?“, „აი, როგორი თვალით გვიყურებს სინამდვილეში რუსი ერი!“, „აგერ თქვენი რუსეთთან დაახლოება! ამათ გინდათ დაუახლოვდეთ, მოღალატეებო?“, „აგერ, ამის შემდეგაც იტყვით, რომ რუს ხალხთან ურთიერთობა შესაძლებელია?“ და სხვა „ზეპატრიოტული აღშფოთებები“, როგორიც არაერთხელ გვინახავს ხოლმე, როდესაც რომელიმე რუსმა ჟურნალისტმა ან იუმორისტმა, ასე თუ ისე, „წაკბინა“ საქართველოს...**

იმასაც დაკვირვებული ვარ, ასეთ დროს „რუსეთუმეებად“ წოდებული ქართველებიც „შეებმებიან“ ხოლმე რუსებს და მათ კეთილგონიერების გამოჩენისკენ მოუწოდებენ.

და რა მოხდა, როდესაც, ანალოგიურად კი არა, მილიონჯერ უარესად შეურაცხყვეს ქართველი ხალხი ამერიკელებმა? გგონიათ, ქართველმა „ამერიკანელებმა“ ამის გამო აღშფოთება გამოხატეს? არა, ისინი შეეცადნენ ნამუსი მოეწმინდათ ჩვენი „სტრატეგიული მასხარებისთვის“ და გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს მათ ბოდიში მოიხადეს ჩადენილი საქციელის გამო... არადა, ხსენებული ვიდეორგოლი დღესაც დევს „სტარტერების“ საიტზე და „ფეისბუქ გვერდზე.“

ხომ მაგარია? შეიგნო რომ დააშავე, ბოდიში მოიხადო და აზრადაც კი არ გაივლო იმის წაშლა, რისთვისაც იხდი ბოდიშს... აი, წმინდა ამერიკული „პარტნიორობა“. ისე, სულ „სქიუზმი-სქიუზმის“ ძახილით დაბომბეს ბელგრადიც, თუ გახსოვთ...

იქნებ, ვინმე იმას ფიქრობს, — რა მოხდა მერე, სამიოდე გამოშტერებულმა ამერიკელმა იღლაბუცა, ეს ხომ ამერიკელი ხალხის საქართველოსადმი დამოკიდებულება არ არისო?! მინდა, ასეთ ადამიანებს შევახსენო, რომ **ამერიკული შოუები მარკეტინგული კვლევების გარეშე ნახევარ ნაბიჯსაც არ დგამენ და, რადგან ამ პოპულარულმა შოუმ ეს ნაბიჯი გადადგა, ესე იგი, ზუსტად იცოდა, რა დამოკიდებულებაც ჰქონდათ რიგით ამერიკელებს ზაზა ფაჩულიას სამშობლოს მიმართ!**

**ამა თუ იმ ქვეყნისადმი დამოკიდებულება მხოლოდ საელჩოს თანამშრომლების მიერ თვალთმაქცურად შესრულებულ საახალწლო „მრავალჟამიერში“ ნამდვილად არ აისახება(!), თორემ ეგრე არც რუსებისგან გვაკლდა „მრავალჟამიერი“, „ჩიტო-გვრიტო“ და „ბაკაკი ცქალში კიკინებს“!**

პუბლიკაციის ბოლოსკენ გავიდივართ და წინასწარ მინდა, ვთქვა, რომ ზუსტად ვიცი, რა კომენტარები შეიძლება მოჰყვეს ჩემს ამ წერილს: „ჩვენს მტრებს აქებთ? დაგავიწყდათ, რა გვიქნეს რუსებმა 2008 წელს?“, „რას მისტირით ამ საბჭოთა კავშირს? საბჭოთა კავშირი მაინც აღარ აღდგება!“.

აი, ის გავრცელებული და უაზროდ დამკვიდრებული „კლიშეები“, რომლებსაც მუდმივად გაიძახიან ხოლმე გარკვეული ტიპის „ზე პატრიოტები“ ასეთი შინაარსის პუბლიკაციების წაკითხვისას.

ამიტომ წინასწარვე ვუპასუხებ — თუ ვინმე სადმე ოდესმე მანახვებს ჩემ მიერ თუნდაც ერთხელ დაწერილ ფრაზას, რომ „რუსები არიან ჩვენი ძმები და კეთილის მსურველი მეგობრები“, იმწამს საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს!

რაც შეეხება დანარჩენს — არც საბჭოთა კავშირი რომ აღარ აღდგება და არც საქართველო გადაიჭიმება ნიკოფსიით-დარუბანდამდე, ეგ ნებისმიერ ასეთ უტვინო „ზეპატრიოტზე“ უკეთ ვიცი!

რუსები რაც არიან და სპარსელები და ყიზილბაშ-სელჩუკ-ოსმალ-თურქები, ეგეც ძალიან კარგად ვიცით! საქმე ის არის, **მილიონებით დაფინანსებული შესაბამისი პროპაგანდის წყალობით, ბევრს ამერიკელები რუსებისგან განსხვავებული, არააგრესორი, მეგობარი, ტკბილი და მურაბა ხალხი რომ ჰგონია!** ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ასე გაგრძელდა და ასე ბოლომდე დაგვადებილეს, ეს თავის შედეგს აუცილებლად მოიტანს და მერე ძალიან გვიანი იქნება „იდაყვზე კბენა“!

რაც შეეხება იმას, რომ თურმე რუსებმა დაგვბომბეს და ამერიკელებს არ დავუბომბივართ, ასეთ სიდებილეზე პასუხის გაცემაც კი უხერხულია, მაგრამ, რადგან გვაიძულებენ, უნდა ვთქვათ — **ამ ზესახემწიფოებიდან და მსოფლიო აგრესიული მონსტრებიდან დაგბომბავს ის, რომლის სტრატეგიულ ინტერესებსაც შენ კონკრეტულ და სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევ! ტერიტორიებსაც ის წაგართმევს და შენს ჯარისკაცებსაც სწორედ ის დახოცავს.** 2008 წელს ასეთი იყო რუსეთი, მანამდე — სხვადასხვა დამპყრობელი. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მისთვის ჯერ არაფერში გაგვიწევია ოდნავი წინააღმდეგობაც კი: **არათუ გლობალურ სტრატეგიულ საკითხებს, არამედ გაზი ვისგან ვიყიდოთ, ზამთარში რომ არ გავიყინოთ, ანდა ამნისტია რომელ წვრილმან ხულიგანს უნდა შეეხოს და რომელს არა, ამერიკის ელჩს ვუთანხმებთ და რატომ უნდა დაგვბომბონ, ნეტა?!**

**აი, თუკი მათ რაიმე სერიოზულ ინტერესს „გადავკვეთთ“, მერე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, 2008 წლის აგვისტო „ბავშვურ გართობად“ მოგეჩვენებათ იმასთან შედარებით, რაზეც იანკები არიან წამსვლელნი!**

სხვათა შორის, ამ „მეგობრობა-არმეგობრობის“ ბავშვურ თემებს სწორედ რუსეთის პრეზიდენტმა უპასუხა ღიად და „არადიპლომატიურად“, როდესაც პუტინს ევროპისა და რუსეთის „დაქორწინებაზე“ დაუსვეს კითხვა.

**„მე არც სიძე ვარ, არც პატარძალი და არც მაყარი! მე ვარ დიდი და სერიოზული სახელმწიფოს, რუსეთის, პრეზიდენტი და ჩემი სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად ვმოქმედებ“!** — ამ პასუხმა, მგონი, მართლა ყველას თავისი ათამაშებული უკანალი უნდა დააყენებინოს და ეს ტუტუცურ-ბავშვური „ძმობა-მეგობრობის“ ვითომ „დიპლომატიური“ გართობაც დაასრულოს.

ხოლო, თუ ვინმე კვლავ „ჩასტუშკების“ ხასიათზეა, ამ წერილის შესავალშიც აღვნიშნეთ, რომ იმ რუს მომღერალს ნამდვილად ენამ უყივლა! შუაგულ ევროპაში საშობაო-საახალწლოდ მომხდარი არეულობები უკვე ნათლად მიანიშნებს, რომ „ამერიკა-ევროპამ“, უკვე დროა, საგანგაშო „ოპა!“ დაიძახონ და, თუკი ისინი და მათი „სტრატეგიული მასხარები“, საქართველოს მსგავსი ქვეყნების ხელისუფლებების სახით, ესოდენ სერიოზულ თემებს სრული სერიოზულობით არ მოეკიდებიან, ეს „ბეზაბრაზიე“ მთელ კონტინენტზე უკვე შეუქცევად ხასიათს მიიღებს.

**იწყება ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზის გადაკეთება. კერძოდ, იქ დაიშლება ერთმანეთზე მიჯრილი სკამები და მთელ დარბაზში გაკეთდება ხის მაღალი თეჯირებით ერთმანეთსგან გამოყოფილი „კუპეები“. აქ განთავსდება სხვადასხვა საპარლამენტო ფრაქცია და ყველა თავისთვის შეუზერავს. პარლამენტის სპიკერის ადგილზე დაჯდება „თამადა“, ხოლო მის გვერდით „მერიქიფეები“ განთავსდებიან.**

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 2016 წლის მოდიფიკაციის პარლამენტი — «ოცნების» სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში!




**მოგეხსენებათ, რამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია არჩევნებამდე მთელი 10 თვით ადრე პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიებმა. უფრო ზუსტად, აჟიოტაჟი იმან გამოიწვია, რა პროფესიის ადამიანები უნდა იყოს სიაში — იურისტები და მეცნიერები თუ მსახიობები, მომღერლები და ხელოვანები.**

როგორც ცნობილია, მთელი ეს განაწაწია საბოლოოდ „ოცნების“ ახლანდელი დეპუტატებისა და, აგრეთვე, პარტიის სხვა წევრების საერთოსარესტორნო ვახშმით დასრულდა. როგორც ამბობენ, სინამდვილეში ეს, ვახშამი კი არა, გვარიანი ქეიფი იყო ყანწების ტრიალით, ოღონდ კიდევ ის თავისებურება ახლდა, ყანწებთან ერთად მომავალი საპარლამენტო სიაც ატრიალესო.

**გამოვიდა ხმები, რომ 2016 წლის პარლამენტში მოსახვედრთა სიაში ის ადამიანები ჩაიწერებოდნენ, რომლებიც ხსენებული სუფრის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელ ბიძინა ივანიშვილის ახლოს იჯდა — მხარმარჯვნივ, მხარმარცხნივ თუ ცენტრში.**

მოკლედ, სუფრა ყოფილა კლასიკურ-ფრანგულ-პარლამენტური თავისი მემარჯვენეებით, მემარცხენეებითა და ცენტრისტებით.

სამწუხაროდ, ამ სუფრაზე შეპარულმა ჩვენმა არც ისე სანდო წყარომ ვერაფერი შეგვატყობინა, რადგან ბიძინასთან ძალიან ახლოს მოუწია ჯდომა და ისეთი მონდომებით შეეტენა მას და განსხვავებულით იმდენჯერ დალია „მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი მილიარდერის“ სადღეგრძელო, რომ საშინლად გამოტყვრა და მეორე დღეს აღარაფერი ახსოვდა.

სამაგიეროდ, პახმელიაზე სოლოლაკის შუშის სასახლეში გაეღვიძა და ბორჯომმოყუდებული ბიძინას ხმამაღალი სიტყვებიც საკუთარი ყურით გაიგონა იმ რამდენიმე ბედნიერთან ერთად, რომლებიც ხსენებულ სუფრაზე ბიძინას განსაკუთრებით მოსწონებია, და ჩასციებია — „აბა, აქედან ახლა ყველანი მივდივართ ჩემთან, დილამდე უნდა ვიქეიფოთ“-ო.

მოკლედ, პირდაპირი გაგებით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ის, რასაც ახლა გეტყვით, ჩვენმა არც ისე სანდო წყარომ, პახმელიაზე, თვითონ პირველი პირისგან შეიტყო!

„რა იყო, კაცო, ეს, ა? თითქოს რესტორანში ვიყავით, მაგრამ, ამ დროს პარლამენტში მეგონა თავი!“ – თვალის გახელის, ბორჯომის ბოთლის მოყუდებისა და პირველი ყლუპის გაკეთებისთანავე დაუწყია ფიქრი ბიძინას.

„მემარჯვენეები, მემარცხენეები, ცენტრისტები... წაიღეს ტვინი! აი, რესტორანში, ზოგიერთი კუპეში რომ იჯდა და ვერ ვხედავდი, ეგ უფრო მომეწონა... ვიდრე ის, ყველა თვალებში რომ მეჩხირებოდა... არა! არა! შესანიშნავი იდეაა! დღესვე უნდა დავიწყოთ პარლამენტის სხდომათა დარბაზის გადაკეთება. იქ რესტორნის სიტუაცია უნდა შევქმნათ და დეპუტატებიც უკეთ იგრძნობენ თავს, არც სხდომებს გააცდენენ მერე და, სპიკერს თუ არ უსმენენ და არ უჯერებენ, თამადას მაინც დაუჯერებენ! აღარც მუსიკოსები იქნება მერე გაუმართლებელი პარლამენტში და აღარც მსახიობები! მორჩა, გამოსავალი ნაპოვნია!“ — წამოიძახა საბოლოოდ ბიძინამ და სიხარულისგან „ბორჯომის“ ბოთლი ისეთი ძალით მოისროლა, საცოდავი ზებრა შიშისგან კინაღამ ბოტანიკური ბაღისკენ გადაშვებულ ჩანჩქერში გადაიჩეხა.

დანარჩენი განკარგულებები ბიძინამ ტელეფონით გასცა და ჩვენმა არც ისე სანდო წყარომ საკუთარი ყურით მოისმინა. ეს ყველაფერი გაბოროტებულმა ჩაგვიკაკლა, რადგან თურმე ოთხჯერ უთხოვია, — „ბორჯომი“ დამალევინე, საშინელ „პახმელიაზე“ ვარო, მაგრამ ბიძინა ისე ყოფილა თავისი იდეით გატაცებული, ყურადღებაც არ მიუქცევია მისთვის. საბოლოოდ მას „ბორჯომი“ რედაქციაში დავალევინეთ და მადლიერმა წყარომ ეს ამბები გაგვიმხილა:

ხვალიდანვე **იწყება ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზის გადაკეთება. კერძოდ, იქ დაიშლება ერთმანეთზე მიჯრილი სკამები და მთელ დარბაზში გაკეთდება ხის მაღალი თეჯირებით ერთმანეთსგან გამოყოფილი „კუპეები“. აქ განთავსდება სხვადასხვა საპარლამენტო ფრაქცია და ყველა თავისთვის შეუზერავს. პარლამენტის სპიკერის ადგილზე დაჯდება „თამადა“, ხოლო მის გვერდით „მერიქიფეები“ განთავსდებიან.**

2016 წლის მოდიფიკაციის პარლამენტში გამოყოფილი იქნება დამკვრელების ადგილი, ეს კი პარლამენტში მომღერლების მოხვედრის მოწინააღმდეგეებს საბოლოოდ დააშოშმინებს; ცალკე იქნება სცენაც, სადაც მსახიობები გამოვლენ ხოლმე, ანუ საპარლამენტო სიებში ვეღარც მათ მოხვედრას გაუწევს ვინმე წინააღმდეგობას.

როგორც ჩვენმა „პახმელიაზე“ მყოფმა წყარომ გაგვიმხილა, თურმე უკვე ფრაქციების სახელწოდებებიც ცნობილი ყოფილა — „მოსვლა ჩვენი ნება იყო, წასვლაც ჩვენი ნებაა!“, „დილამდე კი არა, კაი ოთხი წელიწადი არ ვიშლებით!“, „განსხვავებულებს არ ვართ!“, „ალავერდი ჩვენთანა ვარ!“ და ა. შ.

მართალია, ტრადიციული ქართული სუფრის „სლოგანები“ ცოტა ეგოისტურად არის შეცვლილი, მაგრამ ეს დეპუტატების ბუნებას შეესაბამებაო, — აცხადებს ჩვენი სანდო წყარო.

სხვათა შორის, **თურმე ჩაფიქრებულია ორიგინალური სერვისიც — „დეპუტატები სახლში მიყვანით!“, რომელიც განსაკუთრებით მაჟორიტარებს შეეხება, რადგან, მოგეხსენებათ, არჩევის შემდეგ, მათ ვერავინ პოულობს ხოლმე...**

**რაც მთავარია, პარლამენტარები უკვე სიამოვნებით ივლიან „სხდომებზე“ და დეპუტატების მიერ სამსახურის გაცდენის შემთხვევებიც ნულამდე დავა.**

**მახე აბარავა**

# სკანდალი: რა მოხდა «გაზპრომთან» მოლაპარაკებების ღამეს?

**უსკანდალურესი ინფორმაცია სულ ცოტა ხნის წინათ გახდა ცნობილი. როგორც ჩვენი კორესპონდენტის სპეციალური ჩიტი გვატყობინებს, მოლაპარაკებები მოსკოვის ერთ-ერთ მდიდრულ ვილაში გამართულა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ბიძინა (გვარი ნაცნობია), ეკა ბესელია, კახა კალაძე, მანანა კობახიძე და გუგული (გვარი უცნობია). გაზპრომის „ტრუბის“ ზომები პირადად ბიძინა ივანიშვილს საკუთარი მეტრიანით აუღია და პუტინისთვის უთქვამს, რამე მამაძაღლობას ადგილი არ ჰქონდეს, თორემ „ტაბულას“ დაგცემ თავზეო, რაზეც პუტინი შემცბარა და ღიმილით დაუქნევია თავი. იქვე ყოფილა გუგული ნორკის შუბით, „კოლიეთი“ და „ვიწებსკის“ ტახტზე მოუსვენებია ფეხები, — დამისივდა ამდენი სიარულისგანო.**




ვიდრე აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, ეკას და მანანას არბატზე გაუსეირნიათ და უშოპინგიათ, სელფები გადაუღიათ,— ჩერგოლეიშვილი, კილაძე და ხოშტარია გადავრიოთ და დავახრჩოთ ბოლმითო. ამ მოვლენებში კი ყველაზე სკანდალური იყო ის, რომ ხსენებულ პირებს ჩუმად გაჰყოლიან **ელისო კილაძე, ნანუკა ჟორჟოლიანი** და **თამარა ჩერგოლეიშვილი,** კონსპირაციის მიზნით კი, შენობის თავზე, სადაც მოლაპარაკება მიმდინარეობდა, კონსპირაციული კარავი გაუშლიათ.

წყაროს ცნობით, ელისო კილაძეს მოსასმენი აპარატურა დაუმონტაჟებია და ამისთვის მომსახურე პერსონალის როლიც კი მოურგია. ჩვენი ინფორმატორის ცნობით, კილაძეს დიდი შავი პარიკი გაუკეთებია და თეთრ „ფართუკში“ გამოწყობილს, ცოცხითა და მტვრის საწმენდი ბუმბულით შეუღწევია მოლაპარაკებების ოთახში. ნამდვილი დამლაგებელი კი თამარასა და ნანუკას გაუსკოჩიათ. მოჩვენებითი დალაგების შემდეგ ელისო იქვე მდგარ კარადაში სიმწრით დამალულა. როგორც ცნობილია, მოლაპარაკება საკმაოდ დიდხანს გაგრძელებულა. სუფრას კი ჩიტის რძე არ კლებია. წყარო ამბობს, რომ მხარეები პროექტის ყველა ნიუანსს დეტალურად განიხილავდნენ. ამ დროს ეკა და მანანაც მოსულან და გადაღლილებს, გუგულისთან ერთად, ტახტზე მოუსვენიათ. შეხვედრა საკმაოდ გაიწელა. თურმე, ნანუკა და თამარა გასკოჩილ დამლაგებელს ყოველ გამოფხიზლებაზე სახეში ურახუნებდნენ და ისევ თიშავდნენ. დრო გადიოდა, მოლაპარაკება კი არა და არ სრულდებოდა. ელისოს მოთმინების ფიალა ნელნელა ივსებოდა. შეგახსენებთ, ის ერთ პატარა კარადაში იყო შეყუჟული და ჰაერიც, ფაქტობრივად, არ ჰყოფნიდა. მოლაპარაკებების დასრულების დროც დამდგარა და სტუმრებს გადაუწყვეტიათ, ეს ამბავი ვისკით აღენიშნათ, რომელიც იმ კარადაში ინახებოდა, რომელშიც ელისო იმალებოდა. კარადის გამოსახსნელად ეკა ბესელია მიუგზავნიათ. კარის გაღება და მძინარე კილაძის დანახვაზე ეკას კივილი ერთი ყოფილა, რომელსაც სიცხისგან პარიკი მოეხსნა და დაღლილს ჩასძინებოდა. დიდი ამბავი ატეხილა იმ საღამოს მოსკოვში. ბიძინას უმალ დაუტოვებია შენობა და მისი თანმხლები ქალბატონებისთვის დაუვალებია, ამ ქალს მიმიხედეთო. მანანას და ეკას, ელისოსთვის თავზე საკუთარი წყარო გადაუსხიათ და ძლივს გამოუღვიძებიათ. ამ წიოკზე ნანუკა და თამარა ჩუმად გაპარულან დომოდედოვოში და საჩქაროდ გამოფრენილან თბილისს.

**ელიკო სილაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„მოსკოვის უმეტესი ნაწილი 8-10-სართულიანი სახლებით უნდა განაშენიანდეს. ქალაქის 25-30 % კი — 12-14-სართულიანით. ეს უფრო ეკონომიური იქნება, ვიდრე მოსკოვის 4-5-სართულიანი სახლებით განაშენიანება. მოსკოვში უნდა შეჩერდეს მრეწველობის განვითარება, ხოლო საწარმოები, რომლებიც ჰაერს აბინძურებს, ქალაქიდან უნდა გავიტანოთ“.

# შეხვედრები სტალინთან

## ვიაჩესლავ მალიშევი და სტალინი

### ნაწილი II

**„17 ივლისი, 1943 წელი**

დღეს ვიყავი ამხანაგ სტალინთან. პირველად ვნახე იგი მარშლის ფორმაში, ჩამოშვებული შარვლით. კიდევ ერთი ცვლილება შევნიშნე. მაგიდის თავზე ჩამოკიდებულია სუვოროვისა და კუტუზოვის შესანიშნავი პორტრეტები. საუბარი ახალ ტანკებს შეეხებოდა. ამხანაგმა სტალინმა დადებითად შეაფასა თვითმავალი საარტილერიო დანადგარი СУ-152 ტანკ KB-ს ბაზაზე. კითხვაზე: „ვინ არის ამ მანქანის კონსტრუქტორი?“ — ვუპასუხე, რომ ამხანაგი კოტინი. სტალინმა იკითხა კოტინის შესახებ: „საქმე ესმის ამ კონსტრუქტორს?“ ვუპასუხე, რომ ესმის და ნიჭიერი ადამიანია.

შემდგომ ვუამბე ახალ მძიმე ტანკ ИС-ზე 85-მმ-იანი ზარბაზნით. ამხანაგი სტალინი ყურადღებით გაეცნო ინფორმაციას და თქვა, რომ საჭიროა პროცესის დაჩქარება. აშკარა იყო, ტანკი მოეწონა. შემდეგ საუბარი შეეხო ტანკ T-34-ის ბაზაზე შექმნილ თვითმავალ დანადგარებს 122-მმ-იანი და 85-მმ-იანი ზარბაზნებით. სტალინმა თქვა, რომ, თუ 85-მმ-იანი ზარბაზნებით აღჭურვილი თვითმავალის გამოცდები წარმატებით დასრულდება, მაშინ უნდა დავამზადოთ მხოლოდ ასეთი თვითმავალები და შეწყდეს 122-მმ-იანი ზარბაზნებით აღჭურვილი თვითმავალთა წარმოება.

ტანკ ИС-ის განხილვისას სტალინმა იკითხა, საკმარისია თუ არა დიზელის ძრავის სიმძლავრეო. ვუპასუხე, რომ ტანკი უკეთესი იქნებოდა, უფრო მძლავრ ძრავას თუ დავუყენებდით — 750-800 ცხენის ძალით. ამხანაგმა სტალინმა დაავალა, სერიოზულად ემუშავათ მძლავრი დიზელების შექმნაზე. შემდგომ იკითხა: „გვჭირდება თუ არა ამჟამად მცირე ტანკები?“. ვუპასუხე, რომ მცირე რაოდენობით საჭიროა.

შემდგომ საუბარი შეეხო №183 ქარხნის საცდელ ტანკებს — T-43-ებს. მე ვუთხარი ამხანაგ სტალინს, რომ უარყოფითად ვარ განწყობილი ამ ტანკისადმი და წარუმატებელ პროექტად მიმაჩნია, მაგრამ ნება დავრთე ქარხანას, გამოეცადა ის 2000-კილომეტრიანი გარბენით. სტალინი დათანხმდა. ამას გარდა, სტალინს ნებართვა ვთხოვე, ტანკ T-70 ბაზაზე შექმნილი 76 მმ-იანი ზარბაზნის მქონე თვითმავალი დანადგარის წონა 1 ტონით შეგვემცირებინა. სტალინი დაგვთანხმდა.

სტალინი არ იყო ის კაცი, რომელიც საკითხს მხოლოდ ერთჯერადად და ერთ ჯგუფთან განიხილავდა. პოლიტბიუროს წევრების, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, სახალხო კომისრებისა და კონსტრუქტორების წინადადებებსა და რჩევებს ის აუცილებლად აანალიზებდა ბრძოლის ველიდან მოწვეულ სამხედროებსა და უშუალოდ მერძოლებთან ერთად, მხოლოდ ამის შემდეგ იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას. ასე იყო ამჯერადაც:

პოლიტბიუროს სხდომაზე საკითხი გამოაქვს **ვოროშილოვს**, რომელიც ხელში დადგენილების პროექტმომარჯვებული უმტკიცებს დამსწრეთ, თუ რაოდენ დიდ სარგებლობას მოუტანს სატანკო მშენებლობას ტანკზე დადგმული ქვემეხი, რომლის ლულაც არა შედუღების მეთოდით, არამედ ჩამოსხმით იქნა მიღებული. სტალინი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ვოროშილოვს და ხელიდან დადგენილების პროექტი გამოართვა. შიგ ჩაიხედა. გაიარ-გამოიარა და ჯავშანმრეწველობის სამმართველოს უფროსს — **ფედორენკოს** მიმართა:

— რა ტაქტიკურ-ტექნიკური მაჩვენებლებით ხასიათდება ქვემეხის ახალი ლულა?

— ამხანაგო სტალინ, ახალი ქვემეხის ლულა ჩამოსხმით კეთდება ჩამოსასხმელ საამქროში, ძველი ტიპის ლულები კი მძიმე წნეხებითა და შესადუღებელი აპარატით მზადდებოდა.

— ამხანაგო ფედორენკო, მე თქვენ გეკითხებით, რა ტექნიკურ-ტაქტიკური მახასიათებლები აქვს ახალ ლულას ძველთან შედარებით, თქვენ კი ლაპარაკობთ მისი დამზადების ტექნოლოგიაზე. უშუალოდ ვინ ხელმძღვანელობს თქვენთან იარაღის წარმოებას? — ჰკითხა სტალინმა.

ფედორენკომ გენერალი ლებედევი დაასახელა.

— აქ არის? — იკითხა სტალინმა.

გენერალი ლებედევი წამოდგა და მას სტალინმა ზუსტად იგივე კითხვა დაუსვა, რომელიც მის უფროსს — ფედერენკოს. ლებედევმაც ზუსტად ისევე უპასუხა, როგორც ფედერენკომ. სტალინმა ჩაახველა და ლებედევს მრისხანედ შეხედა.

— თქვენ, ამხანაგო, სად მსახურობთ — არმიაში თუ მრეწველობაში? მესამედ გეკითხებოით — რა ტექნიკურ-ტაქტიკური მაჩვენებლები აქვს ახალ ლულას ძველთან შედარებით. თქვენ კი მელაპარაკებით მისი ჩამოსხმის ტექნოლოგიაზე. თქვენთვის უმჯობესი ხომ არ იქნება, მრეწველობაში გადახვიდეთ?

გენერალი დუმდა. დუმდა სტალინიც. დადგენილების მიღების საკითხი საფრთხის წინაშე დადგა. მისი მიუღებლობა კი კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. ხელი ავწიე. სტალინმა გაბრაზებულმა შემომხედა. ვთხოვე, მოეცა ჩემთვის სიტყვა. მან გაღიზიანებულმა მითხრა:

— მე ვიკითხე ახალი ზარბაზნის ლულის ტაქტიკურ-ტექნიკურ მაჩვენებლებზე, თქვენ რა შუაში ხართ?

— სწორედ მაგაზე მინდა მოგახსენოთ, ამხანაგო სტალინ, — მიმართა ლეგენდარული ტანკის — T-34-ის კონსტრუქტორმა **კოშკინმა.**

— თქვენ რა, სამხედრო ხართ? — შეეკითხა სტალინი (ვითომ არ იცოდა).

— არა, — იყო პასუხი.

— რა გინდათ, თქვათ? — მომმართა გაბრაზებულმა სტალინმა.

კოშკინმა საქაღალდიდან ფურცლები ამოიღო, წამოდგა და სტალინისკენ გაემართა, წინ გაუჩერდა და მოახსენა:

— ძველი ქვემეხის ლულას, რომელიც შედუღებით კეთდებოდა, გლუვი ზედაპირი არ ჰქონდა და ეტყობოდა შედუღების ხაზები, ახალი კი მონოლითურია გლუვი ზედაპირით, ნაპრალების გარეშე და პოლიგონზე საუკეთესო შედეგები აჩვენა. აი ნახეთ, ამხანაგო სტალინ, პოლიგონზე სროლის შედეგები, როგორც ძველი, ისე ახალი ქვემეხის ლულიდან.

კოშკინმა ქაღალდები სტალინს გაუწოდა. სტალინმა ფურცლებს დახედა, ცოტა ხანს ჩაფიქრებული იდგა, შემდეგ კი კოშკინს მონაცემები უკანვე დაუბრუნა.

— ეს სერიოზული მაჩვენებლებია.

სტალინმა კაბინეტი გაიარა, შორეულ კუთხეში გაჩერდა, იქ მსხდომთ გადახედა და თქვა:



— როგორ იმოქმედებს ტანკის წონასწორობაზე მასზე დადგმული ახალი ქვემეხი? მანქანის კონსტრუქტორი აქ არის?

კონსტრუქტორი წამოდგა და განაცხადა:

— თუ იმოქმედებს, იმოქმედებს უმნიშვნელოდ, ამხანაგო სტალინ.

— უმნიშვნელოდ — ეს სიტყვა საინჟინრო ტერმინოლოგიაში არ გამოიყენება. თქვენ გაიანგარიშეთ? — ჩაეძია სტალინი.

— არა, არ გვიანგარიშია.

— რატომ, ეს ხომ საბრძოლო ტექნიკაა? — სტალინი თვალს არ აშორებს კონსტრუქტორს, — შეცვლილი სატანკო ქვემეხი როგორ იმოქმედებს ტანკის წინა ხიდზე? — არ ეშვება სტალინი.

კონსტრუქტორმა დაბალი ხმით უპასუხა:

— უმნიშვნელოდ.

გაცეცხლებული სტალინი ეუბნება:

— რას ჩააცივდი სიტყვა „უმნიშვნელოს“, სხვა სიტყვა არა იცი? გეკითხებით — გაიანგარიშეთ თუ არა?

— არა, ანგარიში არ გაგვიკეთებია.

— რატომ, რატომ? — იმეორებდა სტალინი. შემდეგ დადგენილების პროექტი მაგიდაზე დადო და განაცხადა:

— წინადადებით შემოვდივარ, ამ საკითხის განხილვა გადავდოთ მცირე ხნით, შევქმნათ კომისია შემდეგი შემადგენლობით: ფედორენკო, აკოფოვი და მალიშევი (თითით მიანიშნა ჩემზე).

სამი დღის შემდეგ პოლიტბიურომ ეს საკითხი სრულყოფილად ჩათვალა და მიიღო კიდეც.

**28 მარტი, 1945 წ.**

ვიყავი ამხანაგ სტალინთან ჩეხოსლოვაკების მიღებაზე. სადილზე სტალინი ორჯერ გამოვიდა და მეტად საინტერესო რამ თქვა.

სტუმართა მიერ წითელი არმიის პატივსაცემად შესმული მთელი რიგი სადღეგრძელოების შემდეგ ამხანაგმა სტალინმა განაცხადა:

— ყველა აქებს ჩვენს წითელ არმიას. დიახ, მან ეს დაიმსახურა, მაგრამ არ მინდა, რომ წითელი არმიით მოხიბლულ ჩვენს სტუმრებს მომავალში აზრი შეეცვალოთ. საქმე ის არის, რომ ახლა წითელ არმიაში დაახლოებით 12 მილიონი ადამიანია. ისინი, ცხადია, ანგელოზები არ არიან. ეს ხალხი გაუხეშდა ომის პერიოდში. ბევრმა მათგანმა სტალინგრადიდან ჩეხოსლოვაკიის შუაგულამდე ბრძოლით გაიარა 2 000 კილომეტრი. ბევრი უბედურება და მხეცობა ნახეს, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ზოგიერთი მათგანი თქვენს ქვეყანაში ისე არ მოიქცევა, როგორც საჭიროა. ჩვენ ვიცით, რომ ნაკლებად შეგნებული ჯარისკაცები აეკიდებიან და შეუარაცხყოფენ ქალიშვილებს და ქალებს, უწესოდ იქცევიან. ეს ახლავე უნდა იცოდნენ ჩვენმა მეგობრებმა, ჩეხოსლოვაკებმა, რათა ჩვენი წითელი არმიით მოხიბვლა არ შეიცვალოს იმედგაცრუებით.

სტალინის მეორე გამოსვლა სლავიანოფილებს შეეხებოდა: ახლა ბევრს საუბრობენ სლავიანოფილობასა და სლავიანოფილებზე. ხშირად გვადარებენ ძველ, ცარიზმისდროინდელ სლავიანოფილებს. ეს არ არის აწორი.

ძველი სლავიანოფილები, მაგალითად, აქსაკოვი და სხვები, მოითხოვდნენ ყველა სლავის გაერთიანებას რუსი მეფის ხელისუფლების ქვეშ. მათ არ ესმოდათ, რომ ეს მავნე, განუხორციელებელი იდეა იყო. სლავ ხალხებს სხვადასხვა საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიული ცხოვრების წესი აქვთ, განსხვავებული კულტურული დონე და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა. სლავ ხალხთა გეოგრაფიული მდებარეობა ასევე უშლის ხელს მათ გაერთიანებას.

ჩვენ, ახალი სლავიანოფილები, ბოლშევიკი სლავიანოფილები, კომუნისტები, მხარს ვუჭერთ არა გაერთიანებას, არამედ სლავი ხალხების კავშირს. მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიული სხვაობის მიუხედავად, ყველა სლავი კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან ჩვენი საერთო მტრის — გერმანელთა წინააღმდეგ.

**სლავების ცხოვრების ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენ კავშირი გვჭირდება სლავურობის დასაცავად (სწორედ ამას აცხადებს ამჟამად პუტინი, — გრ. ონიანი). ავიღოთ თუნდაც ბოლო ორი მსოფლიო ომი. რატომ დაიწყო ეს ომები? — სლავების გამო. გერმანელებს სლავების დამონება სურდათ. ვინ დაზარალდა ყველაზე მეტად ამ ომებში? როგორც პირველ, ასევე მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტად დაზარალდნენ სლავი ხალხები: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სერბები, ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები. განა ამ ომშიც იგივე არ ხდება, განა საფრანგეთი უფრო დაზარალდა? — არა. ფრანგებმა გაუხსნეს ფრონტი გერმანელებს.** ▶

**«სტალინი არ იყო ის კაცი, რომელიც საკითხს მხოლოდ ერთჯერადად და ერთ ჯგუფთან განიხილავდა. პოლიტბიუროს წევრების, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, სახალხო კომისრებისა და კონსტრუქტორების წინადადებებსა და რჩევებს ის აუცილებლად აანალიზებდა ბრძოლის ველიდან მოწვეულ სამხედროებსა და უშუალოდ მერძოლებთან ერთად და მხოლოდ ამის შემდეგ იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას»**

**„ჩვენ, ახალი სლავიანოფილები, ბოლშევიკი სლავიანოფილები, კომუნისტები, მხარს ვუჭერთ არა გაერთიანებას, არამედ სლავი ხალხების კავშირს. მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიული სხვაობის მიუხედავად, ყველა სლავი კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან ჩვენი საერთო მტრის — გერმანელთა წინააღმდეგ“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **მათ საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილის მსუბუქი ოკუპაცია მოახდინეს, სამხრეთ ნაწილს კი ხელი არ ახლეს. ბელგიამ და ჰოლანდიამაც თათები მყისვე მაღლა ასწიეს და დაუწვნენ გერმანელებს. ინგლისი მცირეოდენი ნგრევით გადარჩა. რა საშინლად დაზარალდა უკრაინა, ბელორუსია, რუსეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია?!** მახეში გაება ბულგარეთიც კი, რომელსაც თავის დაძვრენა უნდოდა. ესე იგი, გერმანელებისგან ყველაზე მეტად სლავები იტანჯებოდნენ. ახლა ჩვენ ძლიერად ვურტყამთ გერმანელებს და ბევრს ჰგონია, რომ ისინი ველარასოდეს დაგვემუქრებიან. არა, ეს ასე არ არის. **მე მძულს გერმანელები, მაგრამ სიძულვილმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი მათ ობიექტურ შეფასებაში. გერმანელები დიადი ერია, ძალიან კარგი ტექნიკოსები და ორგანიზატორები არიან, დაბადებიდანვე მამაცი ჯარისკაცები. გერმანელების განადგურება შეუძლებელია, ისინი დარჩებიან.**

ჩვენ ვურტყამთ გერმანელებს და საქმე დასასრულისკენ მიდის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოკავშირეები შეეცდებიან, გადაარჩინონ გერმანელები და მოელაპარაკონ მათ. ჩვენ დაუნდობლები ვიქნებით გერმანელთა მიმართ, ხოლო მოკავშირეები შეეცდებიან, რბილად მოექცნენ მათ. ამიტომ ჩვენ, სლავები, მზად უნდა ვიყოთ წინააღმდეგობისათვის, თუ გერმანელები ისევ დადგებიან ფეხზე და გამოვლენ სლავების წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ, ახალი სლავიანოფილები, მედგრად მოგიწოდებთ სლავი ხალხების კავშირისკენ. **ამბობენ, რომ ჩვენ გვსურს, სლავებს თავს მოვახვიოთ საბჭოთა წყობა. ეს ლიტონი სიტყვებია. ჩვენ ეს არ გვინდა, ვინაიდან ვიცით, რომ საბჭოთა წყობის სურვილისამებრ გატანა საზღვარგარეთ არ შეიძლება. ამისთვის საჭიროა შესაბამისი პირობები.**

**ჩვენ შეგვეძლო, ბულგარეთში დაგვემყარებინა საბჭოთა წყობა, იქ ეს უნდოდათ, მაგრამ არ წავედით ამაზე. ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ სლავურ ქვეყნებში, გვინდა, ჭეშმარიტად დემოკრატიული მთავრობა იყოს.**

**კავშირის შექმნით სლავები შეძლებენ ერთმანეთისათვის სამეურნეო და სამხედრო დახმარებას, ამჟამად ჩვენ წარმატებით შეგვიძლია ამის განხორციელება** (სტალინის დებულებები ერთი-ერთზეა გამეორებული პუტინის არაერთ გამოსვლაში. — გრ. ონიანი).

რა შესანიშნავი აზრებია, მთელი მრავალწლიანი პროგრამა. მე ისეთი აღელვებული და გაოცებული ვიყავი ამხანაგ სტალინის აზრების სიღრმით, რომ დიდხანს ვერ დავიძინე და დღესაც ამ სიტყვების შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ბრძენი ადამიანია ამხანაგი სტალინი“, — ასკვნის ვიაჩესლავ მალიშევი.

**«როგორც პირველ, ასევე მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტად დაზარალდნენ სლავი ხალხები: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სერბები, ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები. განა ამ ომშიც იგივე არ ხდება, განა საფრანგეთი უფრო დაზარალდა? — არა. ფრანგებმა გაუხსნეს ფრონტი გერმანელებს. მათ საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილის მსუბუქი ოკუპაცია მოახდინეს, სამხრეთ ნაწილს კი ხელი არ ახლეს. ბელგიამ და ჰოლანდიამაც თათები მყისვე მაღლა ასწიეს და დაუწვნენ გერმანელებს. ინგლისი მცირეოდენი ნგრევით გადარჩა, მაგრამ რა საშინლად დაზარალდა უკრაინა, ბელორუსია, რუსეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია?!»**

**23 იანვარი, 1947 წ.**

ამხანაგ სტალინთან ტარდებოდა თათბირი სამხედრო გემების მშენებლობის თაობაზე. თათბირი თითქმის 6 საათს გაგრძელდა.

მინდა, ჩავიწერო ამხანაგ სტალინის ყველაზე საინტერესო გამონათქვამები:

*** უფრო სწრაფად უნდა შენდებოდეს მსუბუქი კრეისერები. პირველი ხუთი გემის მთავარი ამოცანა ფლოტის პირადი შემადგენლობის მომზადებაა. ეს იქნება ნახევრად საცდელი გემები მეზღვაურთა მოსამზადებლად.**

*** სახაზო გემებს ჯერ არ ავაგებთ, ვინაიდან ოკეანეებში ცურვას არ ვაპირებთ, ვიცურებთ ნაპირიდან 800-1000 კმ-ზე.**

*** ჩვენ გვჭირდება რამდენიმე მძიმე კრეისერი. კარგი იქნებოდა, შავ ზღვაში გვყოლოდა 2 მძიმე კრეისერი 12-დუიმიანი ზარბაზნებით, მაშინ თურქები უფრო მეტად იკანკალებდნენ, ვიდრე ახლა.**

ამხანაგმა ვოზნესენსკიმ წინადადება შემოიტანა, ჩამოერთმიათ ჩემთვის მარიუპოლისა და იჟორის ქარხნები. მოტივაცია იყო ის, რომ მე გემების ჯავშანზე მუშაობის დრო არ მექნებოდა. მძაფრად შევეწინააღმდეგე და ვთქვი, რომ საკუთარ თავზე ვიღებ სამხედრო გემების მშენებლობის შეკვეთების შესრულებას, რაზეც ამხანაგმა ვოზნესენსკიმ რეპლიკა ისროლა, საეჭვოა, ამხანაგმა მალიშევმა დაპირება შეასრულოსო. სტალინმა კი თქვა: „ჩვენ ვიცნობთ მალიშევს, როგორც პატიოსან ადამიანს, რომელსაც ძალუძს თავისი დანაპირების შესრულება“.


ვიაჩესლავ მალიშევი

**«მე ისეთი აღელვებული და გაოცებული ვიყავი ამხანაგ სტალინის აზრების სიღრმით, რომ დიდხანს ვერ დავიძინე და დღესაც ამ სიტყვების შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ბრძენი ადამიანია ამხანაგი სტალინი»**

**„1 მაისი. 1949 წ.**

ვიყავი სადილზე ამხანაგ სტალინთან. ვისადილეთ ბაღში, სუფთა ჰაერზე.

მოსკოვის პარტიული კომიტეტის მდივნის, ამხანაგ პოპოვის სადღეგრძელოში სტალინმა თქვა: „ხანდახან სადილის დროსაც ვიხილავთ ხოლმე საქმეებს. აი, კიდევ მინდა გამოვთქვა ერთი სურვილი ამხანაგ პოპოვისადმი. მართალია, რომ მოსკოვში გაქრა საზოგადოებრივი ტუალეტები? ამბობენ, რომ ასეა. და თუ ასეა, აუცილებელია ამის სასწრაფოდ გამოსწორება. მოსკოვში უნდა მოეწყოს კარგი ტუალეტები საკმარისი რაოდენობით. ქალაქის ცენტრში ტუალეტები მიწის ქვეშ უნდა გაკეთდეს. წითელ მოედანზეც აუცილებელია კარგი ტუალეტები. აი, მაგალითად, ხომ არ შეუძლია ხალხს, 6-7 საათის განმავლობაში იდგეს მავზოლეუმის რიგში და არ განიტვირთოს. ეს ძნელია. ამიტომ ვუსურვოთ ამხანაგ პოპოვს, სწრაფად შესძინოს ქალაქს კარგი საზოგადოებრივი ტუალეტები. დღესასწაულებზე იქ, სადაც ხალხმრავლობაა, ცუდი არ იქნებოდა მოძრავი ტუალეტები ავტომობილებზე“.

შემდგომ ამხანაგმა სტალინმა შესვა ჩვენი პოლიტიკის სადღეგრძელო. მან თქვა: „XIII საუკუნეში რუსებმა დაკარგეს იმიერკარპატების უკრაინა და მას შემდეგ ყოველთვის ოცნებობდნენ მის დაბრუნებაზე. სწორი პოლიტიკის წყალობით, ჩვენ შევძელით ყველა სლავური (უკრაინული და ბელორუსული) მიწების დაბრუნება და ამით განვახორციელეთ რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების საუკუნოვანი ოცნება. შევსვათ ჩვენი სწორი პოლიტიკის სადღეგრძელო“.

**„4 ივნისი, 1949 წ.**

ვიყავი პოლიტბიუროს სხდომაზე. განიხილებოდა ტანკ T-54-ის საკითხი. ამხანაგმა სტალინმა კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ ტანკები, უპირველეს ყოვლისა, მანევრული და კარგი სვლის მქონე უნდა იყოს და, თუ ახალი შეიარაღება და ჯავშნის გასქელება ტანკების მანევრულობის დაქვეითებას იწვევს, მაშინ ჯავშნის გასქელებასა და ახალ შეიარაღებაზე უარის თქმაა საჭირო. თან დასძინა: ჩვენ მეზღვაურებსაც სულ ვუსწორებთ. ისინი გვექაჩებიან გემების ჯავშნისა და წყალწყვის გაზრდისკენ. არადა, გემი მოუქნელი ხდება და იქცევა სამიზნედ“.

ტანკ T-54-ზე ამხანაგმა სტალინმა თქვა: „ტანკები გვყავს, ბრძოლას არ ვაპირებთ. დრო გვაქვს, წარმოებამ კიდევ იმუშაოს და მოგვცეს უკეთესი ტანკი“.

**„17 ივლისი, 1949 წ.**

ტარდებოდა პოლიტბიუროს სხდომა მოსკოვის რეკონსტრუქციის 25-წლიანი გეგმის თაობაზე. ბოლოს გამოვიდა ამხანაგი სტალინი და თქვა დაახლოებით შემდეგი: „ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვაქვს ისე კარგად მოწყობილი დედაქალაქი, რომელიც სანიმუშო იქნებოდა. ავიღოთ პარიზი — ეს საყოველთაოდ აღიარებული დედაქალაქია. ჩვენ სანიმუშო დედაქალაქი გვჭირდება. ჩვენი სახელმწიფოს ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენში დიდი ხნის განმავლობაში არ ცნობდნენ დედაქალაქად პეტერბურგს. პეტრე პირველმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც პეტერბურგი გამოაცხადა დედაქალაქად. მართალია, ამას აქვს ახსნა — პეტრეს ეშინოდა ბოიარების მზაკვრობისა მოსკოვში და უნდოდა მათი ზეგავლენის აღკვეთა. ამბობენ, რომ გერმანელების სიახლოვემ პეტერბურგთან 1918 წელს აიძულა ლენინი, დედაქალაქი მოსკოვში გადაეტანა. არა. ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ფიქრობდა მოსკოვის დედაქალაქად გამოცხადებას. მოსკოვს პატივი რომ სცენ, როგორც დედაქალაქს, ის ლამაზი უნდა გახდეს. Uუნდა გახსოვდეთ, რომ დედაქალაქი აძლიერებს სახელმწიფოს.

ცხადია, შეცდომა დავუშვით, როდესაც მოსკოველებს განვითარების 25-წლიანი გეგმის შედგენის ნება დავრთეთ. შეუძლებელია ყველაფრის გათვალისწინება და წინასწარ განჭვრეტა ასეთი ხანგრძლივი ვადით. კერძოდ, შეუძლებელია ტექნიკის განვითარების გათვალისწინებაც. უარი უნდა ვთქვათ 25-წლიან გეგმაზე. უფრო გონივრული იქნება 10-წლიანი გეგმის შემუშავება.

ახლა რამდენიმე შენიშვნა პროექტის არსის შესახებ: მოსკოვის უმეტესი ნაწილი 8-10-სართულიანი სახლებით უნდა განაშენიანდეს. ქალაქის 25-30% კი — 12-14-სართულიანით. ეს უფრო ეკონომიური იქნება, ვიდრე მოსკოვის 4-5-სართულიანი სახლებით განაშენიანება. მოსკოვში უნდა შეჩერდეს მრეწველობის განვითარება, ხოლო საწარმოები, რომლებიც ჰაერს აბინძურებს, ქალაქიდან უნდა გავიტანოთ.

პროექტი გულისხმობს ბევრი ცარიელი შენობის მშენებლობას (კლუბების, სასახლეებისა და სხვ.). ეს არ არის სწორი. მთელი ძალისხმევა უნდა მოხმარდეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და გადაიჭრას ამ სფეროში არსებული კრიზისი.

ნუ გაგიტაცებთ ქალაქი-ბაღის გაშენების იდეა. ხალხის დასასვენებლად უნდა განვავითაროთ აგარაკების მშენებლობა მოსკოვიდან 30-40 კმ-ის ფარგლებში 100-200 ათას ადამიანზე. მდინარე მოსკოვის გასწვრივ 20 მეტრის სიგანის გზები უნდა გავიყვანოთ.

საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და საავადმყოფოების აშენებას უნდა მივაწვეთ“.

## პატივცემულ გრიგოლ ონიანს!

**მინდა, ულრმესი მადლობა გადაგიხადოთ!**
**ბარაქალა, თქვენს ვაჟკაცობას!**
**ბარაქალა, თქვენს ქართველობას!**
**ბარაქალა, თქვენს გვარიშვილობას!**

თუ ვინმე იტყვის, რატომ ვაქებ ბატონ გრიგოლ ონიანს, წაიკითხოს გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ან მოძებნოს ბატონი გრიგოლის მასალები www.geworld.ge-ზე და მიხვდება: ბატონმა გრიგოლმა მართალი ინფორმაცია მოიტანა მკითხველამდე იმ კაცის შესახებ, რომლის შედარება არ შეიძლება ვინმესთან დედამიწის ზურგზე! ლეგენდარული გმირები, რამდენიც გინდა, არსებობდნენ, მაგრამ სტალინისნაირი გენიოსი, ასეთი ფენომენი კაცობრიობას არ ჰყოლია.

ჩვენ ღმერთმა მოგვცა სტალინის დიდებით სარგებლობის უფლება. და რა, არ დავაფასოთ ეს კაცი, რომლის სახელითაც ქართველ ერს შეუძლია იამაყოს ყველა დროში?!

ყველა ქართველს შეუძლია თქვას: ბედნიერი ვარ, რომ სტალინი ქართველია!

ბატონო გრიგოლ, რამდენი შრომა, რამდენი ინფორმაციის მოძიება და ღამის თევა, რამდენი დროისა და სახსრების ხარჯვა დაგჭირდებოდათ, სწორი ცნობები რომ მოგეწოდებინათ მკითხველისთვის. თქვენ აკეთებთ საშვილიშვილო საქმეს და ღმერთს ვთხოვ, დიდხანს და ჯანმრთელი გაცოცხლოთ!

თქვენ კი, ბატონო გრიგოლ, დაუღალავი შრომით საკუთარ თავს მოუტანეთ დიდება.

**გ. გედენიძე**

**P.S. მე, ბატონო გრიგოლ, იმ ორი კაციდან ერთ-ერთი ვარ, 2015 წლის 2 სექტემბერს შინ რომ გესტუმრეთ ლენტეხის რაიონის სოფელ სასაშში — ქუთაისელი გედენიძე და მეძველია.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2015 წლის ივლისში გერმანული გამოცემა BILD-ი ვაშინგტონში გერმანიის საელჩოსა და აშშ-ის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს შორის ელექტრონულ მიმოწერაზე დაყრდნობით აზუსტებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხედრო სწავლებების დროს სასიკვდილო ციმბირის წყლულის სპორების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა და ის 2007, 2009 და 2010 წლებში უკვე გაიგზავნა გერმანიის ქალაქ ლანდშტულში.**

# სასიკვდილო საჩუქრები აშშ-დან

**რამდენიმე დღის წინათ The Wall Street Journal-ის მიერ გამოქვეყნებული ცნობა, რომ ევროპაში ნატოს სწავლებებისათვის განკუთვნილი რაკეტა Hellfire-ი 2014 წელს შეცდომით კუბაში ჩაიტანეს, ახალ ამბად ვერ ჩაითვლება. მთავარი ის კი არაა, თუ როდის მოხდა ეს, მთავარია, რომ მსოფლიო საზოგადოება უკვე ეჩვევა იმას, რომ აშშ-ის სამხედრო უწყება და სპეცსამსახურები მსოფლიოს ყველა კუთხეში „შეცდომით“ გზავნიან სასიკვდილო „საჩუქრებს“, თანაც გულუხვად.**



ზოგჯერ იმის მოწმენი ვხდებით, რომ ამერიკელმა სამხედროებმა საბრძოლო მასალები და იარაღი „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს „შეცდომით“ ჩაუყარეს.

**ზოგჯერ REUTERS-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან ვიგებთ, როგორ დაუგზავნა პენტაგონმა „შეცდომით“ თავის მოკავშირეებს სამხრეთ კორეაში, ავსტრალიაში, კანადასა და სხვა ქვეყნებში, ასევე აშშ-ში მდებარე ათობით ბიოლაბორატორიას ციმბირის წყლულის ცოცხალი სპორების ნიმუშები.**

2015 წლის ივლისში გერმანული გამოცემა Bild-ი ვაშინგტონში გერმანიის საელჩოსა და აშშ-ის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს შორის ელექტრონულ მიმოწერაზე დაყრდნობით აზუსტებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხედრო სწავლებების დროს სასიკვდილო ციმბირის წყლულის სპორების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა და ის 2007, 2009 და 2010 წლებში უკვე გაიგზავნა გერმანიის ქალაქ ლანდშტულში. ამასთანავე, გამოცემამ დაადასტურა, რომ სპორების წინასწარი ნეიტრალიზაციის პროცესში ადგილი ჰქონდა რაღაც „გაუმართაობებს“, რის შედეგადაც „ზოგიერთი სპორა შესაძლოა ისევ აქტიური დარჩა“.

ამგვარი **„სასიკვდილო საჩუქრები“ შეიძლება იმ მრავალი ქვეყნისა და რეგიონის მცხოვრებლებმა მიიღონ, რომლებიც პენტაგონმა და ამერიკის სპეცსამსახურებმა მოიცვეს თავიანთი ბიოლაბორატორიების თანამშრომლობის საიდუმლო პროგრამებით. კერძოდ, 2006 წლის მდგომარეობით, მხოლოდ აშშ-ში ოფიციალურად 400-ზე მეტი ამგვარი ლაბორატორია მუშაობდა, რომლებიც ამ ქვეყნის გადასახადების გადამხდელთა ფულით არის შექმნილი.**

ამჟამად ამ პროგრამების მიმართულებით აშშ-ის პარტნიორები არიან სუვერენული სახელმწიფოები, მათ შორის უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, ყაზახეთი. გარდა ამისა, საუბარია ავღანეთზეც, უზბეკეთზეც, ყირგიზეთზეც, პაკისტანზეც, ბურუნდიზეც, კენიაზეც, უგანდაზეც, ინდოეთზეც, ერაყზეც, ტანზანიაზეც, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სხვებზეც.

აღნიშნული მიზნებისთვის პენტაგონის ხარჯებმა მხოლოდ 2012 წელს 60 მილიონ დოლარზე მეტი შეადგინა. ჩამოთვლილი ქვეყნების მოსახლეობა ინფორმირებული არაა მათ ქვეყანაში პენტაგონის ამ საიდუმლო პროექტების მუშაობის და იმის თაობაზე, რომ აშშ-ის „შეცდომის“ გამო ნებისმიერ დროს შეიძლება მიიღოს სასიკვდილო დაავადების აფეთქება.

**ლაბორატორიები სპეციალურადაა განთავსებული აშშ-ის ფარგლებს გარეთ, რათა გვერდი აუარონ ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციას. საქმე ისაა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება არ აქვს, განაგრძოს სახიფათო ბიოაგენტებთან დაკავშირებული კვლევები, თუკი ამ ბიოაგენტების გამოყენება შესაძლებელია ბიოლოგიური იარაღის სახით.**

ეს ყველაფერი სულაც არ უშლის ხელს არა მხოლოდ ბიოლოგიური იარაღის ადამიანებზე გამოცდის პენტაგონის შემდგომ სასიკვდილო ექსპერიმენტებს, არამედ არც მისი საიდუმლო ბიოლაბორატორიების ქსელის გაფართოებას აშშ-ის ფარგლებს გარეთ.

შემთხვევითი არ იყო Microsoft-ის დამაარსებლის, **ბილ გეითსის**, გამოსვლა 2010 წელს კალიფორნიაში, ლონგბიჩში TED2010 Conference-ის დახურულ კონფერენციაზე, სადაც მან აღნიშნა, რომ საჭიროა პლანეტის მოსახლეობის 10-15%-ით, ანუ დაახლოებით მილიარდი ადამიანით შემცირება ვაქცინაციისა და სხვა ინსტრუმენტების საშუალებით.

ამ კონფერენციიდან სულ რაღაც ხუთი წელი გავიდა და **2015 წლის 27 მაისს VOX-ში გამოჩნდა ბილ გეიტსის ახალი ინტერვიუ, რომელშიც მან ეპიდემიის გამო 33 მილიონი ადამიანის სიკვდილი იწინასწარმეტყველა. კერძოდ, გეითსმა განაცხადა, რომ შეკრიბა „მკვლევარების ჯგუფი“, რომელსაც შესაძლო ინფექციური კატასტროფის მოდელირება უნდა გაეკეთებინა. „მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ესპანური გრიპის მსგავსი დაავადების გავრცელების შემთხვევაში 250 დღის განმავლობაში მსოფლიოში 33 მილიონი ადამიანი დაიღუპება“.**



ცხადია, ძნელი წარმოსადგენია, რომ ამგვარი „ექსპერტთა ჯგუფები“ პენტაგონისა და აშშ-ის სპეცსამსახურების თვალისაგან დაფარულად იკრიბებიან. ასევე უსაფუძვლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამგვარი „კვლევა“ ამერიკელი მილიარდელის პირადი ახირებაა. აბსურდია, რომ ბილ გეიტსს ზემოხსენებული ჯგუფი ინტერვიუს დღეს შეეკრიბა და ადრე არ ემუშავა აღნიშნულ პრობლემაზე ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დავალებით გარკვეულიი დროის განმავლობაში. იგი ამერიკის მორიგი საიდუმლო პროგრამის აღმასრულებელი გახდა.

აშშ-ისგან სასიკვდილო საჩუქრებად შეიძლება იქცეს **ბირთვული ჭურვებიც,** რომლებითაც ბოლო დროს პენტაგონი აქტიურად ამარაგებს თავის სამხედრო ბაზებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ **50 წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით ამერიკის არმიამ „შემთხვევით დაკარგა“ არაერთი ათეული ატომური ბომბი. მაგალითად, ჯერ კიდევ 1968 წელს პენტაგონმა გამოაქვეყნა ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული ავარიების სია. ამ სიაში იყო 1950-დან 1968 წლამდე მომხდარი 13 სერიოზული კატასტროფა. დამატებითი სია გამოქვეყნდა 1980 წელს და მასში აღწერილი იყო 32 შემთხვევა.**

ინფორმაციის თავისუფლების აქტის შესაბამისად, იმავე პერიოდში იგივე დოკუმენტები გამოაქვეყნა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტმაც. ამ დოკუმენტებში 1965-დან 1977 წლამდე პერიოდში ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული 381 ინციდენტია ასახული.

როგორც გაირკვა, ატომური ბომბის „დაკარგვა“ არც ისე რთული საქმეა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ბირთვული შეიარაღებების ექსპერტი, ბერლინის „ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორი **ნასერი** აღნიშნავს, რომ ყველაზე მეტი ატომური ბომბი დაიკარგა იმ ავიაკატასტროფების შედეგად, რომლებიც ოკეანის თავზე მოხდა.

ნასერის თქმით, ოთხი ძირითადი მარშრუტი გადიოდა გრენლანდიის, ესპანეთის ხმელთაშუა ზღვისპირეთის, იაპონიისა და ალიასკის თავზე. როგორც ჩანს, სწორედ ამ ტერიტორიებზე ინახება პენტაგონის სასიკვდილო „საჩუქრები“ მომავალი თაობებისთვის.

აღნიშნულ პირობებში ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომაა, რომ აშშ-ს დღემდე დაუსჯელად შეუძლია, ამგვარი „სასიკვდილო საჩუქრები“ გზავნოს მთელ მსოფლიოში?

**«სასიკვდილო საჩუქრები» შეიძლება იმ მრავალი ქვეყნისა და რეგიონის მცხოვრებლებმა მიიღონ, რომლებიც პენტაგონმა და ამერიკის სპეცსამსახურებმა მოიცვეს თავიანთი ბიოლაბორატორიების თანამშრომლობის საიდუმლო პროგრამებით. კერძოდ, 2006 წლის მდგომარეობით, მხოლოდ აშშ-ში ოფიციალურად 400-ზე მეტი ამგვარი ლაბორატორია მუშაობდა, რომლებიც ამ ქვეყნის გადასახადების გადამხდელთა ფულით არის შექმნილი. ამჟამად ამ პროგრამების მიმართულებით აშშ-ის პარტნიორები არიან სუვერენული სახელმწიფოები, მათ შორის უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, ყაზახეთი**

ru.journal-neo.org



## ირანს 2005 წელს დაწესებული სანქციები მოეხსნა

**ეკონომიკური სანქციების მოხსნის შესახებ ბრძანებას ხელი აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უკვე მოაწერა.** ირანისთვის სანქციების მოხსნაზე არის საუბარი ევროკავშირის უმაღლესი კომისრის — ფედერიკა მოგერინისა და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის — მოჰამედ ჯავად ზარიფის ერთობლივ განცხადებაშიც. „გამომდინარე იქიდან, რომ ირანმა შეასრულა ვალდებულებები, მოეხსნა მრავალმხრივი ეკონომიკური და ფინანსური სანქციები, რომლებიც ირანის ბირთვულ პროგრამას უკავშირდებოდა“, — აღნიშნულია ერთობლივ დოკუმენტში. ირანისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის გადაწყვეტილება ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს დასკვნის შედეგად მიიღეს.



**2013 წელს ჩატარდა გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოს მასშტაბით ადამიანებს დაუსვეს კითხვა, რომელი ქვეყანა წარმოადგენდა ყველაზე მეტ საფრთხეს პლანეტაზე მშვიდობისთვის. რესპონდენტთა უმეტესობამ უპასუხა, რომ ეს ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებია.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელები უშიშარნი არიან, თუკი საუბარი არ ეხება ჩინეთს, რუსეთს, „ისლამურ სახელმწიფოს“, ამერიკაშივე გამოზრდილი რადიკალი ისლამისტების დაჯგუფებებს, ადგილობრივ ულტრამემარჯვენე ქრისტიან ტერორისტებს, ანტირელიგიურ ელიტებს, ხელისუფლებას, ეკონომიკას, კლიმატის ცვლილებებს, არალეგალ იმიგრანტებსა და სირიელ დევნილებს... ეს საკმაოდ გრძელი ჩამონათვალია, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი დადის იქამდე, რომ არსებობს შიში — ერთადერთი ზესახელმწიფოს გლობალური სტატუსი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერგო, შესაძლოა, სამუდამო არ აღმოჩნდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საუბარია შიშზე, ვაითუ ამერიკის შეერთებული შტატები ისევე დაემორჩილოს ისტორიულ პროცესებს, როგორც სხვა ნებისმიერი ქვეყანა.**

# შიში ამერიკულად

## შიშის პოლიტიკა

შიში ძლიერი სტიმულია, რომელიც ადამიანთა არჩევანზე ახდენს გავლენას. ეს ეხება პოლიტიკასა და პოლიტიკოსებს. **დონალდ ტრამპის** კამპანიამ ამომრჩევლებს შეახსენა, რომ მათ სირიელი დევნილებისა და ტერორისტების მოზღვავების უნდა ეშინოდეთ. ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის სხვა კანდიდატებმა მიანიშნეს რუსეთის აღორძინებასა და ჩინეთის ძლევამოსილების ზრდაზე.

ცხადია, შიშს ახასიათებს პარტიულობაც. მაგალითად, დემოკრატები, თავის მხრივ, ირწმუნებიან, რომ ამერიკელებს ტრამპის ფაშიზმისა და ავტომატური იარაღის სახით ნაციონალური მათრახისა უნდა ეშინოდეთ.

პარალელურად ცდილობენ, დაარწმუნონ ამერიკელები, რომ ჩინეთის გავლენის ზრდასა და რუსეთის გლობალური ამბიციების აღორძინებასთან, ასევე „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიის გავრცელებასთან დაკავშირებული მათი შიშები ილუზორულია, რომ ყველანი „საგარეო საფრთხის ფსიქოზის“ მსხვერპლნი არიან და ეს ფსიქოზი შეიძლება დაძლეულ იქნეს მხოლოდ საერთოეროვნული მსოფლმხედველობის შეცვლით.

სინამდვილეში კი, შესაძლოა, პრობლემა დაკავშირებული იყოს არა ნაციონალურ მსოფლმხედველობასთან, რომელიც მიმართულია შიშის წყაროს მუდმივი ძიებისკენ, არამედ მომდინარეობდეს იმ გლობალური კონტექსტიდან, რომელშიც დღეს აღმოჩნდნენ ამერიკელები. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ჯერ არასდროს ყოფილან ასე დაშინებულნი.

## ამერიკული შიშის მაჩვენებლების აღმასვლა და დაცემა

გელაპის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევისას ამერიკელებს ეკითხებოდნენ: „რამდენად გაწუხებთ, თქვენი ოჯახის წევრთაგან რომელიმე ტერორიზმის მსხვერპლი რომ გახდეს?“. ამ გამოკითხვის შედეგების შედარებამ ამა თუ იმ წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი რეალური ტერორისტული აქტების რაოდენობასთან კორელაციის უკიდურესად დაბალი დონე გამოავლინა.

**ტერაქტების რაოდენობამ მკვეთრად იმატა 1999 წელს, მაგრამ გელაპის ინსტიტუტის გამოკითხვებში რესპონდენტებს შორის შიშის ზრდა არ აღინიშნებოდა. ზუსტად ანალოგიურად 2008 და 2010 წლებში ტერორისტული გამოხდომების ზრდა არანაირად არ აისახა ტერორისტული საფრთხის წინაშე შიშის დონეზე რესპონდენტთა შორის.**

გამოკითხვების შედეგებმა აჩვენა შიშის საგრძნობი ჰიპერტროფირებული ზრდა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქების შემდეგ. ნიუ იორკის კატასტროფულ ნგრევებს ამერიკელებმა შიშის რეაქციით უპასუხეს. ისინი შიშობდნენ, ვაითუ მსგავსი ტერორისტული შეტევა მათ ქალაქებშიც მომხდარიყო.

## გეოპოლიტიკური საფრთხეები

2012 წელს **მიტ რომნიმ** CNN-ის ჟურნალისტ ვოლფ ბლიტცერთან ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთი აშშ-ის მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეა. იმ მომენტში იგი, უბრალოდ, სასაცილოდ გამოიყურებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაიწყო თავისი გავლენის გაფართოება, გაააქტიურა აგრესიული ქმედებები უკრაინაში, ჩრდილოეთ ევროპის საზღვაო რეგიონებში და სირიაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და პოლიტიკურ გამოსვლებში შიში საგრძნობლად გაიზარდა, რომნის გამონათქვამს კი უკვე ლამის წინასწარმეტყველებად აღიქვამენ.

მას შემდეგ დაიწყო ცნობილი „შემობრუნება აზიისაკენ“, რომელიც ამერიკის ხელმძღვანელობამ წამოიწყო და რომელიც ასახავს აშშ-ის შეშფოთებას ჩინეთის გავლენის ზრდისა და ამ ქვეყნის უნარის გამო, დაემუქროს აშშ-ის პარტნიორებს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში.

ბუნებრივად შეიძლება ჩაითვალოს ფაქტი, რომ **ამერიკელები შეშფოთებას გამოხატავენ იმ ორ ქვეყანასთან შესაძლო კონფლიქტის გამო, რომლებიც მსოფლიოში მეორე და მესამე ადგილს იკავებენ სამხედრო დანახარჯების მოცულობის სიდიდით.** მაგრამ, თუკი შევხედავთ საბაზო სტატისტიკურ მონაცემებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩინეთი თავისი 216 მილიარდი დოლარის სამხედრო ბიუჯეტითა და რუსეთი თავისი 84 მილიარდით ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდნენ.

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯების მოცულობა უტოლდებოდა მსოფლიოს იმ ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების ჯამურ მოცულობას, რომლებიც ამ ხარჯების სიდიდით ამერიკის შემდეგ იკავებს ადგილს მსოფლიოს სარეიტინგო სიაში.** დღეისათვის ამერიკის სამხედრო ხარჯების მოცულობა ისე შემცირდა, რომ უტოლდება მის შემდეგ მომავალი უდიდესი სამხედრო ბიუჯეტის მქონე მხოლოდ შვიდი ქვეყნის სამხედრო ხარჯების ჯამურ მოცულობას. ნუთუ ეს მდგომარეობა ამერიკელებს უფრო სუსტებს ხდის, ვიდრე ოდესმე იყვნენ?

მას შემდეგ, რაც ოდნავ ჩაცხრა ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის ირგვლივ გამეფებული შიში, გაჩნდა რწმენა, რომ დასავლეთმა (ანუ ამერიკამ) ცივ ომში გაიმარჯვა. და მრავალმა ქვეყანამ დაიწყო გამარჯვებულის იდეოლოგიით ცხოვრება, თუმცა, ცხადია, არა ყველა ასპექტში.



ჩინეთის ეკონომიკური აღმასვლისა და გავლენის ზრდის ფონზე გაისმა ხმები, რომლებიც ადიდებდნენ განვითარების ჩინურ მოდელს. ამასთანავე, რუსეთი მთელი ძალით ცდილობს, განამტკიცოს საკუთარი მოდელი, ეგრეთ წოდებული „მართვადი დემოკრატია“.

ბაზრების გახსნილობისა და გლობალური მსოფლიო ეკონომიკის გათვალისწინებით, სპეციალისტები სულ უფრო ხშირად საუბრობენ კონვერგენციაზე, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოს ყველაზე ლატაკი ქვეყნები მოახდენენ ზრდის უფრო მაღალი ტემპების დემონსტრირებას, ვიდრე განვითარებული ქვეყნები.

ეს თვალსაზრისი სამართლიანი აღმოჩნდა. მაგალითად, **სულ რაღაც ორი წლის წინათ ჩინეთის ეკონომიკის საერთო მოცულობა შეადგენდა აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 6%-ს, დღეისათვის კი ჩინეთმა გაუსწრო იაპონიას და მიაღწია ამერიკის საერთო შიგა პროდუქტის მოცულობის 59%-ს (საბაზრო ფასებში, აშშ-ის დოლარებში). თუკი გავითვალისწინებთ მსყიდველუნარიანობის პარიტეტსაც, საერთო შიგა პროდუქტის მოცულობით ჩინეთმა ამერიკას უკვე გაუსწრო.**

**ამერიკის შეერთებული შტატები შეშფოთებულია იმით, რომ საბჭოთა კავშირის განადგურების შემდეგ გამარჯვება, შესაძლოა, ილუზია იყო. ამერიკელებს, წარმოიდგენენ რა ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური უპირატესობის დაკარგვას, ეშინიათ კონვერგენციის, რადგან ის შეიძლება აღნიშნავდეს, რომ საჭიროა, მსოფლიო არენაზე სხვა სახელმწიფოებს დაუთმონ ამა თუ იმ დოზით ძალაუფლებაც და გავლენაც**



ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მუდმივად საუბრობენ, რომ პოლიტიკოსები ამომრჩევლებში შიშის პროვოცირებას ახდენენ, რათა შემდგომ ეს შიში საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ. მაგრამ შესაძლოა, პოლიტიკოსები ამ შიშს მხოლოდ საჭირო მიმართულებას აძლევენ.

შიშის ბუნება გაცილებით უფრო ღრმად უნდა ვეძებოთ. მის წყაროზე სამუელ ჰანტინგტონი წერდა თავის წიგნში „ცივილიზაციათა შეტაკება“: მსოფლიოში ძალთა ბალანსი ირევა და დასავლეთი ნელ-ნელა კარგავს გავლენას...“

**ამერიკის შეერთებული შტატები შეშფოთებულია იმით, რომ საბჭოთა კავშირის განადგურების შემდეგ გამარჯვება შესაძლოა, ილუზია იყო. ამერიკელებს, წარმოიდგენენ რა ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური უპირატესობის დაკარგვას, ეშინიათ კონვერგენციის, რადგან ის შეიძლება აღნიშნავდეს, რომ საჭიროა, მსოფლიო არენაზე სხვა სახელმწიფოებს დაუთმონ ამა თუ იმ დოზით ძალაუფლებაც და გავლენაც.**

ამ პროცესებმა განაპირობა საშინაო და საგარეო შიშების გაჩენა, შიშებისა, რომლებიც პოლიტიკაზე ახდენს გავლენას. ყველაზე მეტ განგაშს უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ეს შიშები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე. **2013 წელს ჩატარდა გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოს მასშტაბით ადამიანებს დაუსვეს კითხვა, თუ რომელი ქვეყანა წარმოადგენდა ყველაზე მეტ საფრთხეს პლანეტაზე მშვიდობისთვის. რესპონდენტთა უმეტესობამ უპასუხა, რომ ეს ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებია.**

შესაძლოა, კონვერგენციამ სინამდვილეში განაპირობოს ამერიკის მხრიდან ყოფილი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის დაკარგვა, მაგრამ ის ზომები, რომლებსაც ამერიკის ხელისუფლება მიმართავს ძალაუფლების შესანარჩუნებლად, გამორიცხული არაა, უარყოფითი საპასუხო რეაქციისა და აშშ-ში შიშის მატების საბაბი გახდეს.

დღეს ამერიკა უსაფრთხოდაა, მაგრამ, იმის მიხედვით, თუ რამდენად დაეწია მას სხვა მზარდი ეკონომიკები და რამდენად მცირდება ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობა, ის სიტუაციასთან ადაპტირებას უნდა ახდენდეს და არ უნდა ცდილობდეს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას სამხედრო ძალის გამოყენებით.

გრძელვადიან პერსპექტივაში ხსენებული საპასუხო რეაქცია მხოლოდ გაზრდის ამერიკის მიდრეკილებას პრობლემების საომარი გზით გადაჭრისადმი. უფრო მეტიც, მართალია, აშშ-ის შიში რეალურია, დღეს აბსოლუტურად შეუფერებელი დროა მათზე აყოლისთვის და თავის მოსაჩვენებლად, თითქოს ამერიკის, როგორც პლანეტაზე ერთადერთი ზე სახელმწიფოს, მდგომარეობა უხსოვარი დროიდან მოდიოდეს.

ამერიკის შეერთებული შტატები უნდა დაეხმაროს იმ საერთაშორისო სისტემის შექმნას, რომელშიც პასუხისმგებლობა გადანაწილებული იქნება და რომელიც მოიაზრებს საერთო უსაფრთხოების საკითხთა გადაჭრაში ყველა ქვეყნის მონაწილეობის გაცილებით დემოკრატიულ მექანიზმს.

mixednews.ru

**გერმანიის ხელისუფლებამ გამოთვალა: 2030 წელს მიგრანტების გარეშე ქვეყანაში შრომისუნარიანთა რაოდენობა 6 მილიონი ადამიანით შემცირდება, 2060 წლისთვის კი მოსახლეობა ამჟამინდელი 80 მილიონიდან 68-73 მილიონამდე დაიკლებს. სწორედ აქედან მომდინარეობს მთელი ეს მულტიკულტურული, ტოლერანტული და რწმენის შემწყნარებლური რევერანსები... მიგრაციულ პოლიტიკას ეკონომიკური გათვლების პრაგმატულობა განსაზღვრავს.**

# მიგრანტები ევროპას თავიანთ პირობებს კარნახობენ

**კელნში საახალწლოდ მომხდარმა შემთხვევამ ევროპა შეაზანზარა — ხალხს დღესასწაული ჩაუმწარა „ქალებზე ნადირობამ“, რომელიც „ჩრდილოაფრიკული გარეგნობის“ მქონე ახალგაზრდა მამაკაცების (პოლიციამ ათასამდე მონაწილე დაითვალა) დიდმა ჯგუფმა ტაძრის წინ გამართა ისინი ძარცვავდნენ და ძალადობდნენ მოედანზე შეკრებილ ქალებზე. ცნობილია გაუპატიურების რამდენიმე შემთხვევის შესახებ. ღამით ადგილობრივ პოლიციას ძარცვისა და შეურაცხყოფის შესახებ 10-მდე დაზარალებულმა აცნობა. მოგვიანებით მათი რაოდენობა 516-მდე გაიზარდა. პოლიციაში შესული განცხადებების 40%-ში საუბარი იყო მიგრანტების მხრიდან სექსუალურ ძალადობაზე.**




აზრი არ აქვს ამ საზარელი დანაშაულებების დეტალების აღწერას, აღვნიშნოთ მხოლოდ ორი გარემოება: პირველი არის გერმანული მედიასაშუალებების რეაქცია კელნში მომხდარზე. ისინი სამი დღის განმავლობაში დუმდნენ. შემდეგ ნელ-ნელა დაიწყეს საუბარი, ოღონდ აღნიშნავდნენ, რომ ეს მთვრალი მიგრანტების არაადეკვატური ქმედებები იყო და საზოგადოებას სთავაზობდნენ, დალოდებოდა გამოძიების საბოლოო შედეგებს. ამასობაში გაირკვა, რომ ანალოგიურ შემთხვევები აღინიშნა ბერლინში, ჰამბურგში, დუსელდორფში, შტუტგარტსა და გერმანიის, ავსტრიისა თუ შვეიცარიის სხვა ქალაქებში, უბრალოდ, სხვა შემთხვევებში ძალადობის მასშტაბები შედარებით ნაკლები იყო.

როგორც ჩანს, ჩვეულებრივ შეფასებებში **კატეგორიულმა გერმანულმა მედიამ არასასიამოვნო ამბავი გადახარშა, რათა ჩრდილი არ მიეყენებინა მულტიკულტურიზმითა და ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ შეჭრილ დევნილთა მოწყობით გატაცებული ხელისუფლების ოფიციალური პოზიციისათვის.** ეს მეორე გარემოებაა ზემოხსენებული ორიდან — ხელისუფლების დაინტერესება მიგრანტებით. ის აისახა პრესკონფერენციაზე, რომელიც მომხდართან დაკავშირებით მოიწვია კელნის ობერ-გუბერნატორმა **ჰენრიეტა რეკერმა.** ამ ღონისძიებაზე ფრაუ რეკერმა განაცხადა: **„ქალებს ყოველთვის შეუძლიათ, თავი დააღწიონ ძალადობას“ და გერმანელ სუსტი სქესის წარმომადგენლებს მოუწოდა, შეიცვალონ ქცევის წესები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უცნობებისგან გაშლილი ხელის სიშორეზე დაიჭირონ თავი.**

ეს არის აქცენტის გადატანა აღვირახსნილი მიგრანტების ქცევიდან ძალადობის მსხვერპლზე. ამან ბევრი გააოცა, რადგან თვითონ ჰენრიეტა რეკერს ოქტომბერში წინასაარჩევნო შეხვედრისას თავს დაესხა შეიარაღებული მამაკაცი, რომელმაც მძიმედ დაჭრა ყელის არეში. პოლიციაში თავდამსხმელმა თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ აღშფოთებულია ქალაქის მომავალი მეთაურის სიმპათიით მიგრანტების მიმართ.

ექიმებმა გადაარჩინეს ფრაუ რეკერი, ამომრჩევლებმა კი მეგობრულად მისცეს ხმა. ახლა ჰენრიეტა რეკერი კელნის ობერ-გუბერნატორია და ქალაქის მკვიდრი ქალების ძალადობისგან დაცვის ნაცვლად „სასარგებლო რჩევებს“ ურიგებს მათ. სოციალური ქსელების ადგილობრივ ფორუმებზე გერმანელებმა აღშფოთება არ დამალეს. **მათმა რეაქციამ რეკერი აიძულა, ტაძრის მოედანზე დაზარალებულთათვის საკუთარი გამონათქვამების გამო სახალხოდ მოეხადა ბოდიში. მოძალადე მიგრანტების გამართლებისთვის ობერ-გუბერნატორი გააკრიტიკა გერმანიის იუსტიციის მინისტრმა მაასმაც,** მაგრამ დასძინა, რომ „არ შეიძლება ამ დანაშაულებათა გამოყენება ყველა მიგრანტის დისკრედიტაციისთვის“.

## რის დანახვა არ სურს ევროპას

გერმანელი ჟურნალისტებისა და მაღალჩინოსნების შეფასებები თავაზიანობას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ სიტუაციაზე რეაქციას. საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ ევროპაში შევიდა კონსერვატიული და რადიკალური ისლამი. ამ რელიგიის აღმსარებლები ნაკლებად მოგვაგონებენ მართლმორწმუნე მუსლიმანებს, სამაგიეროდ ცივილიზაციას უკვე მიაყენეს განუზომელი ზიანი. **ისლამისტების დანაშაულთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ქალების მიმართ ძალადობა. რადიკალებს ქალები ან, საერთოდ, სძულთ, ან საუკეთესო შემთხვევაში, უუფლებო ხელქვეითებად მიიჩნევენ.**



**მიგრანტების წინაშე შიში ევროპელებს აიძულებს, უარი თქვან ტრადიციულ ღირებულებებზე. მრავალ ქალაქში უკვე გააუქმეს საახალწლო სახალხო სეირნობები და დასახლებების სადღესასწაულოდ მორთვის ტრადიცია. დიდ ბრიტანეთში ყველაზე მეტად დაშინებულები ერთმანეთს ბედნიერ შობა-ახალ წელსაც კი ვერ უსურვებდნენ**

პირველად მსოფლიომ ეს ქაიროს ტახრირის მოედანზე იხილა. მაშინ პრეზიდენტ **ჰოსნი მუბარაქის** წინააღმდეგ პროტესტით გამოსული ეგვიპტელი ქალები „ძმები მუსლიმანების“ აქციას შეუერთდნენ, მაგრამ ისინი მამაკაცთა ბრბომ დამცირებითა და ძალის გამოყენებით განდევნა. მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით, ტახრირის მოედანზე სახალხოდ გააუპატიურეს პროტესტის მონაწილე 25 ქალი. არც ის ჟურნალისტი ქალები დაინდეს, რომლებიც ეგვიპტეში „არაბული გაზაფხულის“ დადგენას ასახავდნენ.

იმ პერიოდის ყველაზე რეზონანსულ მოვლენად იქცა ამერიკული ტელეარხის — CBS-ის კორესპონდენტის — **ლარა ლიგანის** ისტორია. 2011 წლის თებერვალში დღისით, მზისით, ის სცემეს და გააუპატიურეს ეგვიპტელებმა, რომლებიც პრეზიდენტის გადადგომას ზეიმობდნენ. ნაკლებად ცნობილი ფაქტია, რომ **პროტესტების პერიოდში სახალხო გაუპატიურების მსხვერპლი გახდა დასავლური მედიის კიდევ ხუთი ჟურნალისტი — ერთი ბრიტანელი, ორი ფრანგი, ერთი ნიდერლანდელი და ერთი ამერიკელი. ეს ქალები არა მხოლოდ გააუპატიურეს და დაამცირეს, არამედ, პირდაპირი მნიშვნელობით, დაგლიჯეს. მათ სერიოზული სამედიცინო დახმარება დასჭირდათ. 22 წლის ნიდერნადელ ჟურნალისტს ექიმებმა ოპერაცია გაუკეთეს და ძლივს გადაარჩინეს.**

ახლა ეს ველურობა ევროპაში შემოვიდა. წინათ ამ ყველაფერს არაბულ აღმოსავლეთში ვხედავდით. იქ ისლამისტი ტერორისტები უკიდურესად დაუნდობლად ექცევიან ქალებს. მხოლოდ **ერაყის მოსულიში თითქმის ათასი ქალი დასაჯეს სიკვდილით. ბეჭდვით მედიაში საკმარისადაა იმის მტკიცებულებები, თუ როგორ ჩაქოლეს ან მოკლეს ჯიჰადთან შეერთებული ქალები.** რამდენიმე დღის წინათ ამაზრზენი ამბავი გავრცელდა სირიის ქალაქ რაკადან. იქ ისლამისტმა ბოევიკმა ქალაქის მოედანზე გამოიყვანა საკუთარი დედა და სახალხოდ მოკლა იმის გამო, რომ შვილს სთხოვდა, მიეტოვებინა ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“.

**ევროპას ამ ყველაფრის შემჩნევა არ სურს. იქაურ პოლიტიკოსებს სხვაგვარი განწყობა აქვთ. მიგრანტებს ისინი აღიქვამენ მუშახელად, რომელიც გაამყარებს კონტინენტის დეპოპულაციის გამო შერყეულ ეკონომიკას. მაგალითად, გერმანიაში ახლა ევროპის ფარგლებში ყველაზე დაბალი შობადობაა.** გერმანიის ხელისუფლებამ დაითვალა: 2030 წელს მიგრანტების გარეშე ქვეყანაში შრომისუნარიანთა რაოდენობა 6 მილიონი ადამიანით შემცირდება, 2060 წლისთვის კი მოსახლეობა ამჟამინდელი 80 მილიონიდან 68-73 მილიონამდე დაიკლებს. სწორედ აქედან მომდინარეობს მთელი ეს მულტიკულტურული, ტოლერანტული და რწმენის შემწყნარებლური რევერანსები... მიგრაციულ პოლიტიკას ეკონომიკური გათვლების პრაგმატულობა განსაზღვრავს.

ამ პრაგმატულობასთან დაპირისპირება იოლი საქმე არაა. 2010 წლის აგვისტოში ბუნდესბანკის მმართველობის წევრმა ტილო სარაცინმა გამოსცა წიგნი „გემრანიის თვითლიკვიდაცია“. მაშინ მან საინტერესო ციფრები მოიყვანა: 1960 წელს ჰამბურგის პორტში დატვირთვითა და ჩამოტვირთვით დაკავებული იყო 14 ათასი ადამიანი, ნახევარი საუკუნის შემდეგ ამ საქმეს 2,4 ათასი ადამიანი უმკლავდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ტვირთბრუნვა ამავე პერიოდში თითქმის გაოთხმაგდა. შრომის მაღალი წარმადობა განაპირობა პორტის თანამშრომელთა შესაბამისმა პროფესიულმა მომზადებამ.

ახალ დროში, სარაცინის აზრით, გერმანიის ეკონომიკას ესაჭიროება არა მხოლოდ შრომისუნარიანი კადრები, არამედ მაღალკვალიფიციურიც. მიგრანტებს შორის ამგვართა პოვნა იოლი საქმე არაა. მათ შორის უმრავლესობა არა მხოლოდ არ ფლობს თანამედროვე პროფესიებს, არამედ მისაღები განათლებაც კი არ გააჩნია. უფრო მეტიც, გადმოსახლებულებს ურჩევნიათ, „ისხდნენ“ სოციალურ დახმარებებზე, ამითაც კმაყოფილნი არიან. ტილო სარაცინი აღნიშნავდა, რომ არაბ და თურქ მიგრანტებს შორის სოცალური დახმარებების მიმღებთა რაოდენობა ოთხჯერ მეტია, ვიდრე გერმანელთა შორის.

ამ ყველაფერმა ემოციური შეფასებების გარეშეც ვერ ჩაიარა. **„არ მინდა, რომ ჩემი შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ქვეყანა ისლამური გახდეს. მე არ მსურს, რომ ქალ-** ▶

---

მოკლედ

## ევროკომისიის პრიორიტეტი ეკონომიკური ზრდა და დასაქმება იქნება

**ევროკომისიის პრეზიდენტის — ჟან-კლოდ იუნკერის განცხადებით, 2016 წლის ევროკომისიის პრიორიტეტი ევროკავშირში ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების უზრუნველყოფა იქნება.**

იუნკერმა გადაუწყვეტ პრობლემებად დაასახელა უკრაინაში არსებული მძიმე ვითარება, რუსეთთან უთანხმოება და ტერორისტული საფრთხეები. ევროკომისიის პრეზიდენტის შეფასებით, ევროკავშირი მიგრაციული კრიზისისთვის მზად არ იყო. იუნკერმა ასევე უარყოფითად შეაფასა ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის განცხადებები, რომლებსაც მიგრანტების მიღება არ სურთ. მისი თქმით, თუ 2016 წელს არ შესრულდება ნაკისრი ვალდებულებები, ევროკავშირში ნდობის კრიზისი შეიქმნება. თუ შენგენის ზონა მიგრაციულ ზეწოლას ვერ გაუძლებს და ევროკავშირის შიგნით თავისუფალი გადაადგილება შეიზღუდება, ეს მძიმე დარტყმას მიიტანს ეკონომიკაზე და უმუშევრობას გაზრდის.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დანიურ ქალაქ კოკედალში (კოპენჰაგენის შემოგარენი) უმრავლესობა მიგრანტებს ეკუთვნით. მოიმიზეზეს რა ფულის უკმარისობა, მუსლიმანებმა ხმათა უმრავლესობით (ცხრიდან ხუთი), უბრალოდ, აკრძალეს საშობაო დღესასწაული. ამასთანავე, სამი თვით ადრე ქალაქში ხაზინის ხარჯებით აღნიშნეს ყურბან-ბაირამი. მუსლიმანური დღესასწაული ცხრაჯერ უფრო ძვირი დაჯდა, ვიდრე საშობაო ხარჯთაღრიცხვა იყო.**

◀ **ეებმა თავსაბურავები ატარონ, ცხოვრების საერთო რიტმს კი მუეძინების ყვირილი განსაზღვრავდეს.“** — წერდა სარაცინი. „გერმანიის თვითლიკვიდაცია“ 30 აგვისტოს გამოიცა, უკვე 2 სექტემბერს კი ფედერალური ბანკის მმართველობამ იშუამდგომლა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პრეზიდენტთან, რათა ტილო სარაცინი დირექტორთა საბჭოს წევრის თანამდებობიდან გაეთავისუფლებინათ.

სარაცინის პოლიტიკური და ფინანსური კარიერა ამით დასრულდა. სამაგიეროდ გერმანელები დიდი ყურადღებით მოეკიდნენ წიგნს. ის მილიონობით ტირაჟით გამოიცა, ავტორს კი მოუტანა საკმაოდ სოლიდური შემოსავლები და პოლიტიკურ ისტებლიშმენტში მდგრადი ბრალდება შოვინიზმსა და რასიზმში.

## აკრძალული ტრადიციული ღირებულებები

გაურკვეველია, იხსენებდნენ თუ არა გასულ შემოდგომაზე ბავარიაში ტილო სარაცინის წიგნს, მაგრამ გადამდგარი ფინანსისტის პროგნოზებმა იქ უკვე დაიწყო ახდენა. ქვემო ბავარიაში მდებარე გერმანული ქალაქ პოკინგის საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ადგილობრივ სკოლების მოწაფე გოგონების მშობლებს მიუვიდათ წერილები თხოვნით, აეკრძალათ ბავშვებისთვის მინიკაბებისა და შორტების ჩაცმა. წერილის ავტორების აზრით, **„ამგვარი ჩაცმულობა სკოლებში მოსწავლე ისლამის მიმდევარი მიგრანტი ბიჭების დამცირების შეგრძნების პროვოცირებას ახდენს და შესაძლოა, განაპირობოს მათი მხრიდან არასაჭირო ყურადღება ან სულაც ძალადობრივი თავდასხმები“.**

მეორე აკრძალვა უკვე მშობლებს ეხებოდათ. **ვინმე მურად ალ მურადიმ ადგილობრივ მასმედიაში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ითხოვს გერმანული ეროვნული გართობის — ლუდის ფესტივალის, ასევე საშობაო ნაძვის ხეებისა და ზეიმის გაუქმებას. ინიციატივის ავტორი დარდობდა, რომ ალკოჰოლის გამოყენება და ქრისტიანული დღესასწაულები ამცირებენ მუსლიმანებს.**

**ბელგიაში გაზეთებში წერილებს არ წერდნენ, უბრალოდ, შეძახილებით „ალაჰ აკბარ!“ წვავდნენ საშობაო ნაძვის ხეს ბრიუსელის ერთ-ერთ მოედანზე. ინციდენტი ვიდეოქსელში განათავსეს იმ მუნიციპალიტეტების დასანახად, რომლებშიც ჯერ კიდევ არ ამბობენ უარს საშობაო ზარების რეკვაზე, საახალწლო ფეიერვერკებსა და საზეიმოდ მორთულ ნაძვის ხეებზე.**

სხვა შემთხვევებში მუსლიმანები გადაწყვეტილებებსაც თვითონ იღებენ. მაგალითად, დანიურ ქალაქ კოკედალში (კოპენჰაგენის შემოგარენი) უმრავლესობა მიგრანტებს ეკუთვნით. მოიმიზეზეს რა ფულის უკმარისობა, მუსლიმანებმა ხმათა უმრავლესობით (ცხრიდან ხუთი), უბრალოდ, აკრძალეს საშობაო დღესასწაული. ამასთანავე, სამი თვით ადრე ქალაქში ხაზინის ხარჯებით აღნიშნეს ყურბან-ბაირამი. მუსლიმანური დღესასწაული ცხრაჯერ უფრო ძვირი დაჯდა, ვიდრე საშობაო ხარჯთაღრიცხვა იყო.

**კოკედალის ძირძველი მოსახლეობა პროტესტით გამოვიდა ქუჩაში და მიაღწიეს, რომ ქალაქში ნაძვის ხე მაინც დაედგათ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია კი დაშალეს. ეს პატარა გამარჯვება იოლად მოსაპოვებელი არ იყო. პროტესტის მონაწილეთა სახლებში ბოროტმოქმედებმა ყველა მინა ჩაამსხვრიეს. მეზობელი რაიონების მოსახლეობები მომიტინგეთა მხარდასაჭერად გამოვიდნენ, მაგრამ ისინი უცნობი ადამიანების ბრბოებმა დაარბიეს.**

მიგრანტების წინაშე შიში ევროპელებს აიძულებს, უარი თქვან ტრადიციულ ღირებულებებზე. მრავალ ქალაქში უკვე გააუქმეს საახალწლო სახალხო სეირნობები და დასახლებების სადღესასწაულოდ მორთვის ტრადიცია. დიდ ბრიტანეთში ყველაზე მეტად დაშინებულები ერთმანეთს ბედნიერ შობა-ახალ წელსაც კი ვერ უსურვებდნენ, ამის ნაცვლად ისინი ახლობლებს „სეზონურ დღესასწაულს“ ულოცავდნენ. ამ მხრივ თავი გამოიჩინა განათლების სამინისტრომაც. ადგილობრივი მიგრანტული თემების მოთხოვნების შესაბამისად, მან **სკოლებში ტრადიციული გამოცდები, რომლებიც მუსლიმანებისთვის წმიდა რამადანის თვეს ემთხვეოდა, სხვა დროისთვის გადაიტანა. შეიძლება გავიხსენოთ მეჩეთების კედლებზე მიწერილი რადიკალური მოძღვრებებიც, მუსლიმანური პატრული ლონდონის ქუჩებში... და ადგილობრივი ხელისუფლების სრული უმოქმედობა.**

ყველა ეს დათმობა არ განაპირობებს სოციალურ მშვიდობასა და სიმშვიდეს. ამის საუკეთესო დადასტურება ევროპაში მომხდარი საახალწლო ინციდენტებია. დღეს უკვე ნათელია: რეკლამირებული მულტიკულტურიზმი ვერ იქცა მიგრანტების ინტეგრაციის ინსტრუმენტად ევროპულ საზოგადოებაში, მან მხოლოდ პარალელური სამყარო შექმნა. ახლა პარალელური სამყარო სულ უფრო მეტად ძლიერდება და უკვე ავიწროებს კონტინენტის აბორიგენებს, სულ უფრო მეტად უმორჩილებს მათ ცხოვრებას ახალმოსახლეთა წესებს, ტრადიციებსა და სურვილებს. ევროპა სახეს კარგავს და ჯერჯერობით არ ჩანს, რომ წამყვან პოლიტიკოსთაგან რომელიმე ძირძველი ევროპელების ინტერესებისა და ღირებულებებისთვის საფრთხის შემცველი ამ ტენდენციის გარდატეხას ცდილობდეს.

**topwar.ru**






# ამერიკელები ღალატის გამო ობამასა და კლინტონის დაპატიმრებას მოითხოვენ

**ბარაკ ობამას პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის ბოლო წელი მკვეთრად განსხვავდება თეთრ სახლში მისი ყოფნის პირველი წლისგან. ამის შესახებ ნიქსონის ცენტრის ახლო აღმოსავლეთში არსებული სიტუაციის კვლევის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და დირექტორი ენდრიუ ბოუენი წერს The National Interest-ში.**

საზოგადოებრივი ნდობის რეიტინგი უცვლელად დაბალ მაჩვენებლებს ასახავს, სამაგიეროდ უშიშროებისა და ტერორიზმის საფრთხის საკითხებთან დაკავშირებული შფოთვა 2001 წლიდან ყველაზე მაღალ მაჩვენებელზეა. ამასთანავე, საზოგადოებრივი აზრის მრავალრიცხოვანი კვლევა მიანიშნებს, რომ მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა სახელმწიფოს მეთაურის მიმართ ნდობა დაკარგა.

საომარი ძალის გამოყენების მიმართ სკეპტიკურად განწყობილმა ობამამ უპირატესობა მიანიჭა დიპლომატიასა და საერთაშორისო ურთიერთქმედებებს. იგი ასევე მიიჩნევდა, რომ ამერიკისთვის გაცილებით მომგებიანი იქნებოდა ინვესტირება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონსა და ლათინურ ამერიკაში, ნაცვლად იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთში ჟანდარმის როლი შეესრულებინა.

„გრძელვადიან პერსპექტივებზე კონცენტრირებული ობამა ცუდად იყო მომზადებული თანამედროვე გამოწვევებისთვის. როგორც ჩანს, ახლო აღმოსავლეთში მომხდარი ყველა შემდგომი მოვლენა მისთვის მოულოდნელობა იყო“, — წერს ანალიტიკოსი.

თეთრმა სახლმა უპირატესობა მიანიჭა პრაგმატიზმს და არა სტრატეგიას და ჩაიციკლა იმაზე, როგორ მიიღებდა მასმედია ხელისუფლების ამა თუ იმ ქმედებას. ამის შედეგად ობამამ დროის უმეტესობა დახარჯა კრიზისებზე რეაგირებაზე და არა მათ აქტიურ გადაჭრაზე.

„პრეზიდენტის თანამდებობაზე თავისი ბოლო წლის განმავლობაში ობამა იმ პრობლემის წინაშე დგას, რომ ასეც დარჩება „კოჭლ იხვად“ („კოჭლი იხვი“ (Lame duck) ამერიკულ პოლიტიკურ სისტემაში არის პრეზიდენტი, რომელიც ტოვებს თანამდებობას და უფლება არ აქვს, მორიგ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, ეს არის პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც დაკარგა გავლენა), ამერიკის საზოგადოება კი ამ დროს ფოკუსირებულია იმაზე, თუ ვინ ჩაუდგება სათავეში ქვეყანას 2017 წელს“, — წერს ანალიტიკოსი და დასძენს, რომ ჯერჯერობით ობამას არ უჩვენებია, რომ დასახული პოლიტიკური კურსიდან გადახვევა შეეძლოს.

ავტორი ვარაუდობს, რომ **სიტუაცია, რომელიც 2016 წელს ავღანეთში, სირიასა და ირანში შეიქმნება, ასევე „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან მომავალი საფრთხე, სავარაუდოდ, ობამას აიძულებს, მიმართოს უფრო აქტიურ ზომებს და ჩაერიოს სიტუაციაში.**

რუსეთზე საუბრისას ექსპერტი აღნიშნავს, რომ მოსკოვი სულ უფრო დიდ საფრთხედ იქცევა შტატებისთვის მსოფლიოს მასშტაბით. მისი თქმით, სირიაში რუსეთის ოპერაცია რეგიონში აშშ-ის როლის საგრძნობი შემცირების შედეგია.

„თუკი ობამა რეაგირებას არ მოახდენს ამ გამოწვევებზე, შეიძლება ადამიანებს დაამახსოვრდეს პრეზიდენტობისას უმოქმედობით და არა იმ ქმედებებით, რომლებიც ჩაიდინა“, — ვარაუდობს ბოუენი.

**ამერიკულმა პორტალმა REDSTATEWATCHER-მა ჩაატარა გამოკითხვა: „დაუჭერდით თუ არა მხარს ტრამპს, თუკი ის ღალატის გამო ჰილარი კლინტონისა და ბარაკ ობამას დაპატიმრებას მოითხოვდა?“**

**მოსახლეობის აზრი კარდინალურად გაიყო: გამოკითხულთა მხოლოდ 11%-მა უპასუხა კითხვას უარყოფითად, დანარჩენი 89% კი მხარს უჭერს კლინტონისა და ობამას დაპატიმრების იდეას.**

გამოკითხვამდე ამერიკის პრეზიდენტობის ყველაზე ექსცენტრიულმა კანდიდატმა, მილიარდერმა დონალდ ტრამპმა ობამა და კლინტონი ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნაში დაადანაშაულა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ტრამპი სულ უფრო ხშირად ამახვილებს ყურადღებას კლინტონის კანდიდატურაზე. წინა დებატებისას მან აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი საგარეო პოლიტიკის მარცხში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ამერიკას არ სჭირდება კიდევ ერთი სუსტი პრეზიდენტი.

**cont.ws**

მსოფლიო

# თურქმენეთში სიგარეტის გაყიდვა აიკრძალა

**თურქმენეთში 14 იანვრიდან სიგარეტის გაყიდვა აიკრძალა. სიგარეტის რეალიზაციის აკრძალვამდე ქვეყნის პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე გააკრიტიკა სახელმწიფოს თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანია და ხელისუფლებას ეფექტიანი ზომების გატარება დაავალა.** მან მოქალაქეებს მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისკენ მოუწოდა. პრეზიდენტის განცხადების შემდეგ სიგარეტის რეალიზაცია თურქმენეთში მთლიანად აიკრძალა.



# ჯაკარტაში აფეთქებების უკან «ისლამური სახელმწიფო» დგას

**ინდონეზიის დედაქალაქში ჯაკარტაში მომხდარი აფეთქებების სერიისა და სროლის უკან „ისლამური სახელმწიფო“ დგას.** ამ ინფორმაციას “ბი-ბი-სი” პოლიციაზე დაყრდნობით ავრცელებს. სულ მცირე, ორი მოქალაქე და ხუთი თავდამსხმელი გარდაიცვალა იერიშის დროს, რომელიც აღწერეს, როგორც მცდელობა, მიებაძათ პარიზის თავდასხმებისთვის.

## ეს უნდა იცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**52 წლის გერი ბეიკერს სამი წლის წინათ დააკისრეს ზედამხედველობა იმ რაიონზე, რომელშიც 75 წლის ქალი ცხოვრობდა. ამ ხნის განმავლობაში, როგორც გამოძიებამ გაარკვია, პოლიციელი არაერთხელ სტუმრობდა ავადმყოფ ქალს და, ისარგებლა რა იმით, რომ ინსულტგადატანილ მოხუცს ნორმალურად ლაპარაკი და სიტუაციის შეფასება არ შეეძლო, რამდენიმეჯერ გააუპატიურა.**

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ამერიკელ ტრანსვესტიტებს ნებისმიერ ტუალეტში შესვლის ნება დართეს

### ვინც მათ შეეწინააღმდეგება, 250 ათასით დააჯარიმებენ

**ადამიანის უფლებების დაცვის ნიუ იორკის საქალაქო კომისიამ შეიმუშავა ახალი წესები, რომლებიც ტრანსგენდერების ნაზი ფსიქიკის დაცვისკენ არის მიმართული.**




ბინებისა და სახლების მფლობელები, კომპანიების ხელმძღვანელები თუ დამსაქმებლები ამიერიდან ვეღარ გაბედავენ მამაკაცს მამაკაცი უწოდონ, ქალს — ქალი, თუკი ამ ადამიანებს თავიანთი სქესობრივი იდენტიფიკაციის შესახებ სხვა წარმოდგენა აქვთ. მაგალითად, თუ მამაკაცმა გითხრათ, რომ ის ქალია, არც კი იფიქროთ, რომ მას მიმართოთ სიტყვით „მისტერ“. ამას გარდა, არ შეიძლება სქესის განმასხვავებელი დრეს-კოდის დაწესებაც (ალბათ, იმისათვის, რომ ტრანსგენდერი არ შეშინდეს). მაგალითად, მამაკაცებს აიძულოთ, სამსახურში ჰალსტუხით იარონ, ქალებს კი — ქვედაკაბით.

ამიერიდან ტრანსგენდერებს უფლება აქვთ, შევიდნენ იმ სქესობრივი ჯგუფის ტუალეტში, საშხაპეში ან გასახდელში, რომელ ჯგუფსაც თავს მიაკუთვნებენ, და ეს მოხდება საზოგადოებრივი თავშეყრის ნებისმიერ ადგილას, სკოლაშიც კი. ამ წესების დარღვევი 125 ათასიდან 250 ათასი დოლარამდე შეიძლება დაჯარიმდეს.

სხვათა შორის, ტრანსგენდერი მხოლოდ სქესშეცვლილი ადამიანი არ არის, სქესობრივი იდენტიფიკაციის პრობლემა ხშირად მათ გონებაშია, ფეხებს შუა კი ყველაფერი ძველებურადაა. ერთი წლის წინათ აშშ-ში ასეთ ადამიანებს ნება დართეს, სქესი შეეცვალათ მხოლოდ დოკუმენტებში, რადგან ძვირად ღირებული ოპერაციის ფული ბევრს არ აქვს.



სტინგის ქალიშვილი ელიოტ სამნერი

## სტინგის ქალიშვილის ლესბოსური ვნებანი

**როკვარსკვლავისა და მსახიობ სტინგისა (გორდონ სამნერი) და მსახიობ ტრუდი სტაილერის 25 წლის ქალიშვილმა აღიარა, რომ უკვე 2 წელიწადია, საყვარელ ქალთან ცხოვრობს. კითხვაზე — ადრე რატომ არაფერს ამბობდა თავის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე, სტინგის ქალიშვილმა უპასუხა: „ამის შესახებ არავის არაფერი უკითხავს“.**

უკვე 15 წელია, **ელიოტ სამნერი** როკმუსიკითაა დაკავებული. მას 64 წლის სტინგი ყოველმხრივ ხელს უწყობდა და ეხმარებოდა.

როდესაც ელიოტმა გაზეთ The Evening Standart-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ ლესბოსელია და ავსტრიელ მოდელ **ლუსი ფონ ალტენთან** ერთად ლონდონის არისტოკრატიულ რაიონ ბელგრავიაში ცხოვრობს, სტინგმა განაცხადა, რომ შვილის არჩევანს პატივს სცემს, „ეს მისი ცხოვრებაა“.

სტინგს 6 შვილი ჰყავს: 2 — პირველი ცოლისგან — მსახიობ ფრანსის ტომელტისგან და 4 — ტრუდი სტაილერისგან.




## მოსწავლეებს 6 წლის წინანდელი ხორცისგან დამზადებული კერძებით კვებავდნენ

**ტენესის შტატის (აშშ) ჰოკინსის საგრაფოს საშუალო სკოლის თანამშრომელმა ადგილობრივ სანიტარულ-ჰიგიენურ სამსახურს სკოლაში გაყიდული ხორცპროდუქტების ვარგისიანობაზე საჩივრით მიმართა, რომელსაც კერძების ფოტოებიც ერთვოდა.**



სანიტარულ-ჰიგიენური სამსახურის უფროსმა მაიკლ ჰერელმა მოითხოვა, სასწრაფოდ შეემოწმებინათ ის პროდუქტები, რომლებისგანაც მოსწავლეებისათვის კერძებს ამზადებდნენ.

სანიტარული სამსახურის თანამშრომლები გაოგნდნენ, როდესაც შეიტყვეს, რომ მაცივრებში ხორცი 2009 წლიდან ინახებოდა. ეს სკოლის დირექტორმა სტივ სტარნესმაც დაადასტურა. სკოლის მოსწავლეებმა კი აღნიშნეს, რომ სკოლის სასადილოში დამზადებული კერძების საშინელი სუნი მთელ შენობაში ვრცელდებოდა. ამ ინციდენტის შემდეგ ჰოკინსის საგრაფოს სხვა სასწავლო დაწესებულებებიც შეამოწმეს და გაირკვა, რომ იქაც ანალოგიური სიტუაცია იყო — კერძებს, რომლებითაც მოსწავლეებს კვებავდნენ, ვადაგასული ხორცით ამზადებდნენ. ახლა საგრაფოს პოლიციის თანამშრომლები იმის დადგენას ცდილობენ, ვინ ამარაგებდა სკოლებს უხარისხო პროდუქტით.

## ამერიკელმა პოლიციელმა 75 წლის ავადმყოფი ქალი გააუპატიურა

**ქალაქ საკრამენტოში (კალიფორნია, აშშ) დასრულდა განხილვა საქმისა, რომელიც აღძრული იყო ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის წინააღმდეგ.**




**გერი ბეიკერი** ცხოვრების დარჩენილ წლებს ციხეში გაატარებს. მან, სამართალდამცველმა, სულ ცოტა, სამჯერ გააუპატიურა 75 წლის ქალი, რომელსაც ინსულტი ჰქონდა გადატანილი. სამართალდამცველებმა მოხუცი ქალბატონის სახლში ვიდეოკამერები დაამონტაჟეს და გაოგნდნენ, როდესაც ჩანაწერებზე აღბეჭდილ მოძალადეში თავიანთი კოლეგა ამოიცნეს.

52 წლის გერი ბეიკერს სამი წლის წინათ დააკისრეს ზედამხედველობა იმ რაიონზე, რომელშიც 75 წლის ქალი ცხოვრობდა. ამ ხნის განმავლობაში, როგორც გამოძიებამ გაარკვია, პოლიციელი არაერთხელ სტუმრობდა ავადმყოფ ქალს და, ისარგებლა რა იმით, რომ ინსულტგადატანილ მოხუცს ნორმალურად ლაპარაკი და სიტუაციის შეფასება არ შეეძლო, რამდენიმეჯერ გააუპატიურა.

სასამართლომ გერი ბეიკერს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ომმა შეიძლება ახალი ძალით იფეთქოს ავღანეთში, სირიაში, ერაყში, სამხრეთ სუდანში, ჩადსა და იემენში. მასშტაბური შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს ქურთების დაპირისპირებამ თურქეთის ხელისუფლებასთან. ახალ ეტაპზე შეიძლება გადავიდეს სამოქალაქო ომი ლიბიაში. ბურუნდიში მოქმედი პრეზიდენტის — პიერ ნკურუნზიზას გადაწყვეტილებამ, მესამედ იყაროს კენჭი, შეიძლება მოსახლეობის მძაფრი პროტესტი გამოიწვიოს. ექსპერტებმა კიდევ ერთ სახიფათო რეგიონად დაასახელეს აშშ-ისა და კორეის სახალხო რესპუბლიკის დაპირისპირების ადგილი — ზონა სამხრეთი ჩინეთის ზღვის გარშემო.

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უჩვეულო იარაღები



## გასაბერი თვითმფრინავი

**ამერიკულ გასაბერ თვითმფრინავებს — GA.468-სა და GA.466-ს — მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. ასეთი საფრენი აპარატები ჩამოგდებული თვითმფრინავების პილოტების გადასარჩენად არის გამიზნული.**

მსუბუქი თვითმფრინავის დამზადების შეკვეთა კომპანია Goodyear-მა მიიღო და რამდენიმე თვეში გამოუშვა კიდეც. თვითმფრინავის ფიუზელაჟი და ფრთები დამზადებულია არა ხის ან ლითონისგან, არამედ ორფენიანი მკვრივი რეზინისა და ნეილონის ძაფებისგან. ტუმბოს წნევა უზრუნველყოფს კონსტრუქციის აუცილებელ სიმტკიცეს, McCulloch-ის 60 ცხ. ძალის სიმძლავრის ძრავას კი თვითმფრინავი სწრაფად აჰყავს ჰაერში.

ამერიკელებმა ამ თვითმფრინავების წარმოება რამდენიმე წლის წინათ შეწყვიტეს.



## უპილოტო კამიკაძე

**ბრძოლის ველზე უპირატესობის მოპოვებისა და სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების მიზნით უპილოტო თვითმფრინავების გამოყენების იდეა არახალია, მაგრამ ყველაზე საინტერესო და მოწინავე მიმართულება არის ე.წ. უპილოტო კამიკაძეების შექმნა.**

ასეთი მოწყობილობა ჰგავს არა საფრენ აპარატს, არამედ მცირე ზომის ბომბს, რომელიც აღჭურვილია ძრავითა და ფრენისთვის საჭირო სტაბილიზატორით.

**2-3 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება, ჭკვიანი დეტონატორი, გიროსკოპი და კორპუსი — აი, რა არის საჭირო ასეთი იარაღის შესაქმნელად, რომლის პიკირებაც შიშის ზარს დასცემს მოწინააღმდეგეს.**



## ხომალდსაწინააღმდეგო ბალისტიკური რაკეტა

**ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ მიასში მდებარე საკონსტრუქტორო ბიურომ, რომელსაც ვიქტორ მაკეევი ხელმძღვანელობდა, უნიკალური იარაღების შექმნით გაითქვა სახელი.**

პროექტ 605-ის მიხედვით შექმნილ წყალქვეშა ნავს, რომელიც აღჭურვილია 4K18 ტიპის რაკეტებით, შეუძლია, გაანადგუროს მოწინააღმდეგის ავიამზიდი დაჯგუფება. თხევადსაწვავიანი ბალისტიკური რაკეტა ისეთი სიჩქარით მოძრაობს, რომ თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს მისი აღმოჩენა უჭირს. წყალქვეშა ნავიდან გაშვებულ და წამში რამდენიმე კმ-ის სიჩქარით მოძრავ რაკეტას კი ყველაზე დაცული სამხედრო-საზღვაო ხომალდის განადგურება შეუძლია.



## გადასატანი «გრადი»

**რეაქტიული საბრძოლო მასალების სასროლი გადასატანი მოწყობილობა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თხოვნით შექმნეს საბჭოთა კონსტრუქტორებმა.**

ამ იარაღის გამოყენება შეუძლია რეგულარული არმიის თუ მოხალისეთა ლაშქრის ნებისმიერ ჯარისკაცს.

ყუმბარები M-210Ф, რომლებიც გამოიყენება ზალპური ცეცხლის გადასატან სისტემა 9П 132 „გრადში" („პარტიზანი"), მაღალი სიზუსტით ხვდება მიზანში და ეს იარაღი ვიეტნამელებმა წარმატებით გამოიყენეს მათ ტერიტორიაზე განლაგებული აშშ-ის აეროდრომების დასაბომბად.



## ამერიკულმა გამოცემამ 10 შესაძლო ომი დაასახელა

**გამოცემა Foreign Policy-მ გამოაქვეყნა სია იმ კონფლიქტებისა, რომლებმაც შესაძლოა 2016 წელს იფეთქოს. გამოცემის ექსპერტებმა გამოთვალეს პლანეტის ყველაზე ცხელი წერტილები, რომელთა ლოკალიზებისთვის მსოფლიოს საზოგადოებრიობას დიდი ძალისხმევის გამოჩენა დასჭირდება.**

ამერიკული გამოცემის ექსპერტთა აზრით, ომმა შეიძლება ახალი ძალით იფეთქოს ან სხვა დონეზე გაგრძელდეს **ავღანეთში, სირიაში, ერაყში, სამხრეთ სუდანში, ჩადსა** და **იემენში.** მასშტაბური შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს **ქურთების დაპირისპირებამ თურქეთის** ხელისუფლებასთან. ახალ ეტაპზე შეიძლება გადავიდეს სამოქალაქო ომი **ლიბიაში. ბურუნდიში** მოქმედი პრეზიდენტის — პიერ ნკურუნზიზას გადაწყვეტილებამ, მესამედ იყაროს კენჭი, შეიძლება მოსახლეობის მძაფრი პროტესტი გამოიწვიოს.

ექსპერტებმა კიდევ ერთ სახიფათო რეგიონად დაასახელეს **აშშ-ისა** და **კორეის სახალხო რესპუბლიკის** დაპირისპირების ადგილი — **ზონა სამხრეთი ჩინეთის ზღვის გარშემო.**

Foreign Policy აღნიშნავს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში პლანეტაზე ცხელი წერტილების რაოდენობამ მნიშვნელოვნად მოიმატა, ამიტომ 2016 წელს ვითარების მკვეთრად გაუმჯობესება სამხედრო კონფლიქტების თვალსაზრისით მოსალოდნელი არ არის.



## თანამედროვე იარაღი

**შაშხანა M16-ის შეცვლის მიზნით, რომელიც არც ისე მოსახერხებელია ქალაქში ბრძოლისას, ისრაელის კომპანია IMI TAAS-მა 1990-იან წლებში დაიწყო მუშაობა ახალი თაობის შაშხანის დასამზადებლად „ბულაპის" სქემის მიხედვით.**

## შაშხანები — TAR-21 და A-91



TAR-21

1998 წელს ახალი შაშხანა TAR-21 (საიერიშო შაშხანა „ტავორი". ტავორი — მთა ჩრდილოეთ ისრაელში) საზოგადოებას წარუდგინეს, უფრო ზუსტად, რამდენიმე შაშხანა, არმიისთვის განკუთვნილი TAR-21-დან დაწყებული, დასაკეცი კონდახითა და ოპტიკური სამიზნით აღჭურვილი სნაიპერული TAR-21-ით დასრულებული. ყველა მოდელი გათვლილია 5,56 კალიბრის ტყვიების გამოსაყენებლად. „ბულაპის" სქემით დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღის ღირსება არის ის, რომ შეიძლება ლულის სიგრძის მომატება, შედეგად, სროლის სიზუსტე მნიშვნელოვნად იმატებს.

**TAR-21-ის ანალოგია რუსული ცეცხლსასროლი — ყუმბარსატყორცნი კომპლექსი A-91, რომელიც 1990-იან წლებში დაამზადეს.**



A-91

**A-91** (არის, აგრეთვე, მოდიფიკაცია A-91M) შედგება 7,62 მმ-იანი ავტომატური იარაღისა და ლულის ქვეშ დამონტაჟებული ყუმბარსატყორცნისგან. ამ იარაღის სიგრძე 660 მმ-ია, წონა — 4,3 კგ-ს, ლულის სიგრძე კი 415 მმ-ს შეადგენს. გამოიყენება 7,62 მმ-იანი კალიბრის ტყვიების სასროლად. ტყვიის მიზანში მოხვედრის სიშორე 1000 მ-ია, ყუმბარსატყორცნიდან ყუმბარის ტყორცნის სიშორე — 400 მ.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის ეკონომიკა, მშპ იზრდებოდა, ყველა კმაყოფილი იყო. ხალხის უზარმაზარი მასა არა მხოლოდ საქმეში იყო, არამედ გამოიმუშავებდა დიდ ფულს და, ამასთანავე, არ აწარმოებდა არაფერს. მთელი ეს ვალის პირამიდა აგრძელებდა არსებობას მხოლოდ უძრავ ქონებაზე მუდმივი ფასის ზრდის ხარჯზე, რაც იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ახალი ფინანსური რესურსების მქონე ახალი მოთამაშეები მიეზიდათ იპოთეკის ბაზარზე.**

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1 (330)

2001 წლიდან ამერიკული იპოთეკის ბაზარზე უცნაური კარუსელი დატრიალდა. უკვე 2002 წელს არასტანდარტულმა კრედიტებმა მთელი გაცემული კრედიტების 6% შეადგინა, ხოლო 2006 წელს – 20%. 20% მოდიოდა ე.წ. ალტერნატიულ კრედიტებზე Alt-A. ეს კი ნიშნავს, რომ მოვალეს კარგი საკრედიტო ისტორია აქვს – იგი ყოველთვის უბრუნებდა ბანკს ნასესხებ ფულს, მაგრამ ამჟამად თავისი შემოსავლის დამტკიცება არ შეუძლია. შედეგი გასაოცარია: 40%-ს, ანუ გაცემული კრედიტების თითქმის ნახევარს, გადახდის უუნარობის „სუნი უდიოდა“.

დანარჩენები? ისინი უკეთესები არ ყოფილან. **რას არ იგონებდნენ ამერიკული ბანკები, რათა რაც შეიძლება მეტი ფული დაერიგებინათ... კაცმა არ იცის, ვისთვის!** ზოგი ბანკი სთავაზობდა კრედიტს მცურავი საპროცენტო განაკვეთებით, რომელთა კორექტირებაც სამი წლის შემდეგ ყოველწლიურად იყო შესაძლებელი. თავდაპირველად განაკვეთი, რა თქმა უნდა, სასაცილოდ დაბალი იყო. სხვები რეკლამას უკეთებდნენ კრედიტებს, რომლებითაც ახალი საცხოვრებლის პირველი გადახდები მომავალში გადადიოდა. არ იყო საჭირო პირველადი შენატანი, არ იყო საჭირო რამის ჩადება. შეთავაზებული იყო ისეთი პირობები, რომ იმ ამერიკელებმაც კი, რომლებიც არც კი ფიქრობდნენ საცხოვრებლის შეძენას, რადგან თვლიდნენ, რომ ვერ გასწვდებოდნენ, თავიანთი პოზიციის გადახედვა დაიწყეს. **კრედიტების აღება დაიწყო ყველამ, ცდილობდნენ, ერთიანად გაეუმჯობესებინათ ცხოვრების პირობები. შედეგად, 2001-2005 წლებში დაიწყო ფასების სწრაფი ზრდა უძრავ ქონებაზე. ამავე პერიოდში ორჯერ გაიზარდა(1990-1995 წლებთან შედარებით) სახლების მშენებლობის მოცულობა. გაიზარდა მოთხოვნა სამშენებლო მასალებზე, ავეჯზე და ყველაფერზე, რაც სახლის მოსაწყობად არის საჭირო.**

ფხიან ამერიკელებს გაუჩნდათ ახალი შესაძლებლობა, არაფრისგან ეკეთებინათ ფული. სქემა საკმაოდ მარტივი იყო: აიღებდნენ კრედიტს სახლის საყიდლად, რომელიც 100 ათასი დოლარი ღირდა და შეეძლოთ, მშვიდად ეცადათ ორი წელიწადი, არაფერი გადაეხადათ კრედიტში, შემდეგ კი აელოთ მეორე. უძრავი ქონების ფასების უსაზღვრო გაძვირების გამო ახალი სახლი უკვე 200 ათასი დოლარი ღირდა. ამგვარად, ძველი კრედიტისა და მცირე პროცენტების გადახდის შემდეგ წმინდა მოგება დაახლოებით 100 ათას დოლარს აღწევდა. დამეთანხმებით, ცოტა არაა. ბევრმა კრედიტების აღება სპეკულაციის მიზნით დაიწყო, რამაც კიდევ უფრო გააძვირა უძრავი ქონება. ბინის ბაზარმა არანორმალური ტემპით დაიწყო ზრდა (რამდენიმე ათეული პროცენტი წელიწადში).

ამგვარი ბუმის შედეგად არასტანდარტული დაკრედიტება სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა ასევე „საინვესტიციო მიზნებისთვის“. ანუ, ბანკებმა და იპოთეკურმა კომპანიებმა გაცემული კრედიტების, მოვალეებთან შეთანხმების, მომავალი პროცენტების ინვესტორებისთვის მიყიდვა დაიწყეს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ – ერთმანეთისთვის. აბსურდის თეატრი სრული სვლით იფურჩქნებოდა.

**უფულო ხალხი იღებდა კრედიტებს, რომლებსაც იძლეოდნენ უფულო ორგანიზაციები!**

სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომელთა მასები აქტიურად ინაწილებდნენ ჯერ კიდევ ცოცხალი დათვის ტყავს და დიდად არც იწუხებდნენ თავს იმაზე ფიქრით, რომ ეს დათვი ბუნებაში არ არსებობდა. ერთი ვალი ქმნიდა მეორეს. შორიდან კი ისინი საკმაოდ რესპექტაბელურ ფასიან ქაღალდებად აღიქმებოდა. საქმე ისაა, რომ ვალებით ვაჭრობა სამრეწველო დონეზე იქნა აყვანილი. **იპოთეკური ობლიგაციებისა და ვალების გაყიდვა ხორციელდებოდა შემდეგი სქემით: კრედიტის დაუბრუნებლობის რისკის დონე ფასდებოდა რეიტინგული სააგენტოების მიერ, აქედან გამომდინარე, ფასიან ქაღალდებს ენიჭებოდა სხვადასხვა ხარისხი. ყველაზე მაღალი — პირველი ხარისხისა იყიდებოდა უფრო ძვირად და სწრაფად პოულობდა მყიდველს. თუმცა მეორე ხარისხიც, „მეორე ხარისხის ზუთხი“, ასევე, არ ჩერდებოდა დიდხანს. ამგვარი სარისკო იპოთეკური ხელშეკრულებების „პაკეტის“ ფასი დაბალი იყო და არ აკლდა მყიდველი.**

შედეგად, ყველა კმაყოფილი იყო. ბანკმა მოიშორა ყველა ხელშეკრულება კერძო პირებთან, მიიღო ამაში ინვესტორებისგან ფული და შეეძლო, თავიდან დაეწყო თავისი რუტინული საქმიანობა. ინვესტორებმა ჩადეს ფული და ელოდებოდნენ მოგებას, ხოლო საეჭვო კლიენტებს კვლავ შეეძლოთ მისვლა კრედიტის ასაღებად. ინვესტორები, მარტივად რომ ვთქვათ, სპეკულანტები, ყიდულობდნენ იაფად „მეორეხარისხოვან“ იპოთეკურ ვალდებულებებს და რეიტინგული სააგენტოების დახმარებით, კვლავ ყოფდნენ მათ ხარისხებად. მაგრამ „უმაღლესი ხარისხის“ ქვეშ (საიმედოობის რეიტინგი) იგულისხმებოდნენ არა საუკეთესონი საუკეთესოთა შორის, არამედ საუკეთესონი ყველაზე უარესებს შორის.

და **ასე გრძელდებოდა 6-7 წლის განმავლობაში! აშშ-ის ეკონომიკა, მშპ იზრდებოდა, ყველა კმაყოფილი იყო. ხალხის უზარმაზარი მასა არა მხოლოდ საქმეში იყო, არამედ გამოიმუშავებდა დიდ ფულს და, ამასთანავე, არ აწარმოებდა არაფერს. მთელი ეს ვალის პირამიდა აგრძელებდა არსებობას მხოლოდ უძრავ ქონებაზე მუდმივი ფასის ზრდის ხარჯზე, რაც იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ახალი ფინანსური რესურსების მქონე ახალი მოთამაშეები მიეზიდათ იპოთეკის ბაზარზე.**



**დღეს სად მდებარეობს მსოფლიოს ძირითადი ბირჟები? მდიდარ და მშვიდობიან შვეიცარიაში? ისრაელში, რომელმაც, კონსპიროლოგთა აზრით, მოატყუა და მოიცვა მთელი მსოფლიო? — არა, ლონდონსა და ნიუ იორკში. და უცებ გახდება ნათელი, რომ მსოფლიო არენაზე დომინირებენ არა ალპების მცხოვრებნი და ებრაელები, არამედ ანგლოსაქსური ქვეყნების წარმომადგენლები**

ბანკები, სერიოზული სოლიდური ორგანიზაციები მრავალწლიანი, ზოგიერთი კი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, ამავე აზარტულ თამაშში ჩაერთნენ, რომელსაც ეწოდება „მიეცი, ვისაც გსურს, რაც შეიძლება მეტი საკუთარი ფული“. ამერიკელთა საფოსტო ყუთები გაივსო არა ახლოს მდებარე სუპერმარკეტების სარეკლამო პროსპექტებით, არამედ საბანკო ორგანიზაციებთან შეთანხმებების სქელი კონვერტებით. ყოველ კონვერტში იდო საკრედიტო ბარათი. მისი გააქტიურებისთვის საჭირო იყო, დაგეწყოთ ამ ბარათით გადახდა — მეტი არაფერი. ხელშეკრულება ბანკთან გაფორმებულად ჩაითვლებოდა. სინამდვილეში, ფოსტით გზავნიდნენ ნამდვილ ფულს, გზავნიდნენ უაზროდ, მასობრივი ტირაჟით, ყველასთან. სად გინახავთ მსგავსი რამ კაცობრიობის ისტორიაში?! ჩემი ნაცნობი, რომელიც ცხოვრობს აშშ-ში, მიამბობდა, რომ მას გაუჩნდა ახალი, მანამდე უცნობი პრობლემა: ფოსტით მიღებული საკრედიტო ბარათების მაკრატლით დაჭრა, რათა ღმერთმა არ ქნას და, ოჯახის რომელიმე წევრმა არ მოინდომოს მათი გამოყენება. აბსურდის ამ სამეფომ რუსეთამდეც მოაღწია: ერთ-ერთმა ყველაზე „წინ წასულმა“ ბანკმა ასევე დაიწყო საკრედიტო ბარათების ფოსტით დაგზავნა. თუმცა რუსეთის მასშტაბები ამერიკისას, მადლობა ღმერთს, ვერ შეედრება.

**ამგვარი საფოსტო აქტიურობის შედეგი კანონზომიერია: საკრედიტო ბარათების ვალების მასობრივი გადაუხდელობა. აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მონაცემების მიხედვით, ამერიკელთა „პლასტიკურმა ვალმა“ მთლიანობაში 2008 წლის ნოემბრის დასაწყისისთვის 950 მილიარდი დოლარი შეადგინა. თანხა უზარმაზარია, მაგრამ იგი კიდევ გაიზრდება — გადაუხდელობის მოცულობის ზრდის გათვალისწინებით იზრდება ოვერდრაფტის პროცენტიც, ანუ ანგარიშზე სახსრების ზედმეტი ხარჯვის, რაც, საბოლოო ჯამში, კვლავ წარმოშობს გადაუხდელობის ზრდას.** სააგენტო „მუდისის“ (Moody's) მონაცემებით, უიმედო საბარათე კრედიტების წილი, 2007 წლის აგვისტოდან 2008 წლის აგვისტომდე პერიოდში გაიზარდა 4,61%-დან 6,82%-მდე, ანუ მისმა ზრდამ შეადგინა 48%. უმუშევრობის ზრდის შემთხვევაში საკრედიტო ბარათების ჩამოწერამ, შესაძლოა, „ჭეშმარიტად ისტორიული მასშტაბი“ მიიღოს.

არც ერთ ანალიტიკოსს არ დაურისხებია განგაშის ზარი, არც ერთ ეკონომისტს არ აუხსნია ბანკირებისთვის მათი ქმედების დამღუპველობა. ნუთუ ყველა მათგანი იდიოტია და ვერ გააცნობიერა ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისთვის აშკარა ჭეშმარიტება, რომ ეს ყველაფერი ცუდად დასრულდებოდა?! ნუთუ ამერიკელი ბანკირები ვერ იგებდნენ იმას, რაც ჩვენთვის აშკარა იყო?! ყველაფერი კარგად ესმოდათ. მაგრამ მათ მხოლოდ ერთი აზრი, ერთი შესაძლებლობა ამშვიდებდა. რამე ცუდი თუ მოხდებოდა, — ყოველთვის იქნებოდა შესაძლებელი გადაკრედიტება.

დავიმახსოვროთ კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი აზრი: **იპოთეკური და საბარათე ბაქქანალიის მთავარი პირობა იყო კრედიტების სიიაფე და ხელმისაწვდომობა. ამასთანავე, არა იმდენად ფიზიკური პირებისთვის, არამედ იპოთეკური და საკრედიტო ორგანიზაციებისათვის.**

ამერიკული იპოთეკის თანამშრომლების ბავშვური მიმდობლობის მიზეზის მიხვედრისთანავე, მარტივად მივხვდებით ამერიკულ ბირჟებზე მოთამაშეთა ასეთივე უცნაურ ინფანტილურობას. იმიტომ, რომ მიზეზი ერთი და იგივეა. მაგრამ, მოდი, გავარკვიოთ, რა არის **აქცია**. ეს არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც მოწმობს, რომ სააქციო საზოგაოების ან საწარმოს განვითარებისთვის შეტანილი სახსრების გარკვეული რაოდენობა და მის მფლობელს სააქციო საზოგადოების (საწარმოს) მოგების წილის დივიდენდების სახით მიღების უფლებას აძლევს. ასეთი განსაზღვრება შეგვიძლია ამოვიკითხოთ სახელმძღვანელოებში. აქცია ასეთი იყო კაპიტალიზმის ჩამოყალიბების პერიოდში. ლოგიკა ძალიან მარტივია: ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო იყო სახსრები, რომლებსაც იძლეოდა ინვესტორი, მისივე ხდებოდა წილი საწარმოდან, რომელიც განისაზღვრებოდა აქციათა რაოდენობით. ამასთან, ფულის ჩადების მთავარი მოტივი იყო აქციებიდან შემოსავალი, რომელიც მფლობელს მისდიოდა დივიდენდების სახით. რეალურად, ვინმე ჭკვიანმა და საზრიანმა, რომელმაც მოიფიქრა აქციები და სააქციო კაპიტალი, იპოვა საბანკო ანაბარის შემცვლელი. დებ ფულს — ცხოვრობ დივიდენდებზე, რომლებიც XVII და XIX საუკუნეების ეკონომიკის მძლავრი განვითარებისას, შესაძლოა, გაცილებით მომგებიანი ყოფილიყო, ვიდრე ბანკში ჩადებული სახსრებიდან მიღებული პროცენტები. საწარმოსთვისაც ამგვარი სქემა ასევე კომფორტული იყო: აქციების გამოშვებითა და გაყიდვით ბიზნესის მფლობელი იზიდავდა გაფართოებისთვის აუცილებელ სახსრებს, მოვლენების განვითარების ცუდი სცენარის შემთხვევაში შესაძლებელი იყო დივიდენდების შემცირება, ან სულაც არგადახდა. საბანკო კრედიტის შემთხვევაში დათქმული პროცენტის გადახდა აუცილებელი იქნებოდა, ამიტომ აქციების გამოშვება სულ უფრო მეტ კომპანიას იზიდავდა.

პირველებმა ბირჟა მოიგონეს და გახსნეს სავაჭრო საქმეში „გაქექილმა“ ჰოლანდიელებმა. პირველი მუდმივი ბირჟა 1406 წელს ბელგიის ქალაქ ბრიუგეში პატივცემულ ბატონ ვან დერ ბურსის სახლის მახლობლად გაჩნდა. სახლზე ეხატა გერბი სამი საფულის გამოსახულებით, რომლებსაც ლათინურ სიტყვა bursa-თი აღნიშნავდნენ. აქედან წარმოიშვა იმ ადგილის დასახელებაც, სადაც ხალხი თავის ფულს „ცვლიდა“ სხვისი საწარმოს წილზე. რუსეთში პირველი პეტერბურგის ბირჟა ამოქმედდა პეტრე პირველის ხელდასმით 1703 წელს. რომელიც ენერგიულად იღებდა დასავლეთიდან არა მხოლოდ სა-




**დღევანდელი მდგომარეობა აქციებისა, რომლებიც ბირჟაზე სპეკულაციის საგანი გახდა – ამერიკული იპოთეკის უცნაური სიტუაციის სარკისებრი ანარეკლია. ეს არის ჩვენთვის კარგად ნაცნობი აბსურდის თეატრი, რომელსაც მსოფლიო „საბაზრო ეკონომიკას“ ეძახის. რა არის საჭირო ბირჟისა და იპოთეკის წარმატებული არსებობისთვის? მხოლოდ ორი რამ: მოთამაშეები და ფული. ამასთანავე, პირველი ვერ იარსებებს მეორის გარეშე. ფული ყოველთის პირველადია.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კრედიტების აღება დაიწყო ყველამ, ცდილობდნენ, ერთიანად გაეუმჯობესებინათ ცხოვრების პირობები. შედეგად, 2001-2005 წლებში დაიწყო ფასების სწრაფი ზრდა უძრავ ქონებაზე. ამავე პერიოდში ორჯერ გაიზარდა(1990-1995 წლებთან შედარებით) სახლების მშენებლობის მოცულობა. გაიზარდა მოთხოვნა სამშენებლო მასალებზე, ავეჯზე და ყველაფერზე, რაც სახლის მოსაწყობად არის საჭირო... უფულო ხალხი იღებდა კრედიტებს, რომლებსაც იძლეოდნენ უფულო ირგანიზაციები!**

◀ სიცოცხლო მნიშვნელობის გემთმშენებლობასა და უახლეს სამხედრო ტექნოლოგიებს, არამედ ზოგ მავნე გამოგონებასაც, თამბაქოს წევის მსგავსად. სამართლიანობისთვის **უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ბირჟები, დღევანდელი გაგებით, საფონდო არ იყო, ისინი უფრო საბითუმო იყო და იქ აბსტრაქტული ქაღალდებით კი არა, კონკრეტული სანელებლებით, კანაფითა და მაუდით ვაჭრობდნენ, ოღონდ არა ნაღდ ფულზე, არამედ ბირჟის შუამავლების მეშვეობით დიდი საბითუმო პარტიებით. პირველ საფონდო ბირჟად კი 1608 წელს ორგანიზებული ამსტერდამის ბირჟა ითვლება.**

რატომ მაინცდამაინც იქ? იმიტომ რომ ჰოლანდია, რომელიც გათავისუფლდა ესპანეთისგან, იმხანად ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო იმპერია გახდა. აქ მაშინ მსოფლიოს ძირითადი ფული ტრიალებდა. ძირითადი საფონდო ბაზრის ადგილმდებარეობის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ, ისტორიის ნებისმიერ მომენტში რომელი ძალა დომინირებდა მსოფლიო არენაზე. მთავრდება ინგლის-ჰოლანდიის ომების სერია და პირველობას ჰოლანდიელებს ინგლისელები ართმევენ. **დღეს სად მდებარეობს მსოფლიოს ძირითადი ბირჟები? მდიდარ და მშვიდობიან შვეიცარიაში? ისრაელში, რომელმაც კონსპიროლოგთა აზრით მოატყუა და მოიცვა მთელი მსოფლიო? — არა. ლონდონსა და ნიუ იორკში. და უცებ გახდება ნათელი, რომ მსოფლიო არენაზე დომინირებენ არა ალპების მცხოვრებნი და ებრაელები, არამედ ანგლოსაქსური ქვეყნების წარმომადგენლები.**

ძველ დროში პარიზელი და ლონდონელი რანტიეები ცხოვრობდნენ არსებული აქციებიდან შემოსულ პროცენტ-დივიდენდებზე. გადასცემდნენ მემკვიდრეობით, უტოვებდნენ შვილებს. ძლიერი კომპანიის აქციების მფლობელობა ნიშნავდა მაძღარ არსებობას გარანტირებული შემოსავლით. მითხარით, დივიდენდზე მაცხოვრებელ რამდენ თანამედროვე რანტიეს იცნობთ? მე პირადად — არც ერთს. ამასთანავე, ბირჟის მოთამაშენი ჩემი ნაცნობების რიცხვში შედიან. საქმე ის კი არაა, რომ კაპიტალი, რომლითაც ისინი ბირჟაზე მოვიდნენ მცირეა და მისი პროცენტით არსებობა შეუძლებელია. არამედ ის, რომ გასული ასწლეულის განმავლობაში კარდინალურად შეიცვალა აქციების არსი. უფრო სწორად, ჩაანაცვლეს.

**რა იგულისხმება? ადამიანისთვის, რომელმაც იცის არითმეტიკა, გასაგებია, რომ ნებისმიერი ფორმის აქციათა საერთო რაოდენობა უნდა უტოლდებოდეს 100%-ს. ეს ნიშნავს, რომ კომპანიის სრული ღირებულება, ანუ ყველა მისი აქტივების (ქარხნების, ავეჯის, მასალისა და წარმოებული საქონლის) ფასი უნდა უტოლდებოდეს აქციების ღირებულებას.** აქციონირების თავდაპირველი ლოგიკა ზუსტად ამგვარი იყო: ჩადებდა დოლარს კომპანიაში და ინვესტორი იღებდა უფლებას მისი ქონების წილზე, რომელიც უტოლდებოდა დოლარს. ცუდი მეურნის შემთხვევაში ფირმის ყველა აქტივის ფასი მცირდებოდა, აქედან გამომდინარე, ჩადებული დოლარი ხდებოდა 70 ცენტი. საქმის კარგად აწყობის შემთხვევაში, პირიქით, დოლარი ხდებოდა 1,5 დოლარი. მაგრამ ყოველთვის დაცული იყო უცვლელი წესი: აქციების ფასი პირდაპირ იყო დაკავშირებული რეალურ ეკონომიკასთან. უფრო სწორად, კონკრეტული ფირმის საქმეთა რეალურ მდგომარეობასთან. ვითარდებოდა კომპანია — მისი აქტივების ფასი იზრდებოდა; იზრდებოდა აქციებზე გაცემული დივიდენდები, — იზრდებოდა თავად აქციების ფასიც და პირიქით.

რა შეიცვალა?! — ყველაფერი შეიცვალა! **დღეს ბირჟის პრაქტიკულად არც ერთი მოთამაშე არ ყიდულობს აქციებს დივიდენდების მისაღებად. ბირჟაზე ყველა შესყიდვა ხორციელდება შემდეგი გადაყიდვისთვის და აქციების საკურსო ღირებულების ზრდიდან მიღებული შემოსავლისთვის.** აქციების ფასი, რომელიც მათზეა აღნიშნული, არ არის ნომინალური ღირებულება და შეიძლება 10 რუბლი იყოს, მაგრამ მისი შესყიდვა 100 რუბლად მოგიწევთ. ამასთანავე, შესყიდვა იქნება მომგებიანი, თუ პროგნოზი იქნება, რომ საკურსო ღირებულება, ანუ ფასი, რომლითაც მისი გაყიდვა ხვალ იქნება შესაძლებელი, 110 რუბლს შეადგენს. ასე მუშაობს ბირჟა. პრინციპი ძალიან მარტივია: **იაფად იყიდო, რათა ძვირად გაყიდო.** და ასე მრავალჯერ. თვეში, წელიწადში და თუნდაც დღეში. ყოველი წარმატებული გაყიდვიდან რჩება მოგება, ჩავარდნილი ოპერაცია ქმნის დანაკარგს. **ბირჟაზე ფული არ გამომუშავდება, იგი მხოლოდ მფლობელს იცვლის. ამ დაუსრულებელ ყიდვა-გაყიდვაში დივიდენდების ლოდინს ადგილი არ აქვს. ეს უკვე არა პირველადი ფაქტორია, როგორც ადრე იყო, არამედ — მეორადი. დივიდენდების გადახდის დრო მოდის – აქციების კურსი უბრალოდ იზრდება მოსალოდნელი თანხით. გავიდა ვადა – კურსი ისევ ვარდება.**

ამასთანავე, მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ ნებისმიერი კომპანიის მიერ გადახდილი დივიდენდი არ არის დამოკიდებული მისი აქციების კურსზე. დივიდენდებს იხდიან მოგებიდან, რომელიც ფირმის საქმიანობის შედეგად წარმოიშვება და არა მისი აქციების კვოტირების გაძვირებიდან. დღეს მთავარია აქციის ღირებულების მატება და დაცემა და არა მისგან მიღებული მოგება. რადგან დივიდენდები უკვე მთავარი არაა, შესაბამისად, მცირდება ერთი მფლობელის მიერ აქციების ფლობის საშუალო ვადაც: XIX საუკუნეში ათწლეულები იყო, XX საუკუნის შუა წლებში — წლები, ბოლოს — უკვე თვეები, ხოლო დღეს კვირები და დღეებიც კი. კიდევ ცოტაც და ანგარიში საათებსა და წუთებზე წავა.

მერე რა, იტყვის კრიტიკოსი. სისტემა ოდნავ შეიცვალა, მაგრამ პრინციპი იგივე დარჩა. წარმატებული საწარმოს აქციების კურსი იზრდება, უიღბლოსი — ეცემა. არა, შეიცვალა არა მხოლოდ სისტემა, შეიცვალა აქციების ღირებულების დადგენის პრინციპიც. ახლა საბაზრო ეკონომიკის არც ერთი თავგადაკლული მომხრე არ იტყვის, რომ საწარმოს აქციების ფასის ჯამი მისი აქტივების ფასს უდრის. იმიტომ, რომ აქციების კურსი შესაძლოა ძლიერ მერყეობდეს და ისეთ გიგანტებისთვის, როგორიცაა „გაზპრომი“, რომელმაც ბევრი ფასიანი ქაღალდი გამოუშვა, პატარა რყევაც კი კომპანიის საბოლოო ღირებულების მილიონიან და მილიარდიან ცვლილებას იწვევს. არადა, თავად კომპანია სულაც არ შეცვლილა. გაზი მოიპოვება, ანძები დგას, მილები მუშაობს. ევროპა გაზის გარეშე გაიყინება, ანუ გასაღებაც გარანტირებულია, ხოლო „გაზპრომის“ აქციების კურსი შესაძლოა დაეცეს და ეცემა კიდევაც ხშირად. შემდეგ იზრდება, შემდეგ ისევ ეცემა. და ამ ძვრების შემდეგ რეალურ ეკონომიკაში არაფერი ხდება. აქციებით თანამედროვე ვაჭრობის ვარიანტის აბსურდულობა ყველაზე ნათლად ჩანს სწორედ არასტაბილურ და კრიზისულ დღეებში. ასეთ დღეებში აქციების ფასი მერყეობს, გარბის, როგორც ცურდელი მწევრისგან, ეცემა ერთ დღეში და კვლავ იზრდება 10-15%-ით. გასაგებია, რომ ერთ დღე-ღამეში „სიმენსის“ ან „ჯენერალ ელექტრიკის“ საქმე ვერ წახდება, ან ვერ გაუმჯობესდება ამ დონემდე.

**ასეთმა უცნაურმა სიტუაციამ რომ არ გაგვაოცოს, მოფიქრებული ლამაზი სიტყვა — კაპიტალიზაცია. იგი ნიშნავს კომპანიის ფასს მისი აქციების არითმეტიკული ჯამის ფორმით. ასეც ამბობენ: „გაზპრომის“ კაპიტალიზაცია გაიზარდა, „გაზპრომის“ კაპიტალიზაცია დაეცა.**

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კომპანიის მუშაობაში რაიმე გაუმჯობესდა ან გაუარესდა. არა, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ აქციების ერთობლივი ფასი დაეცა ან გაიზარდა. საქმის რეალურ ვითარებასთან ამას კავშირი არ აქვს.

**ხდება, რომ ერთ დღეს კომპანიის კაპიტალიზაცია ეცემა ან იზრდება 30%-ით, მაგრამ ქარხნები უცხოპლანეტელებს ხომ არ აუფეთქებიათ ან ხოჭოს ხომ არ შეუჭამია, ხოლო ოფისებსა და ფაბრიკების საამქროებში „მწვანე კაცუნებს“ უფასოდ მუშაობა არ დაუწყიათ. ამიტომ სერიოზული ბიძიები, როცა წყვეტენ რომელიმე ბიზნესის შესყიდვას, ამბობენ: კომპანია X-ის კაპიტალიზაცია უდრის გარკვეულ სიდიდეს, მაგრამ სინამდვილეში ღირს სხვა ფასი.**

ამგვარი სიტუაცია შესაძლებელია მხოლოდ საწარმოს რეალური მუშაობიდან აქციების სრული გაუცხოებით. აქცია გახდა ნივთი თავის თავში და ძალიან მცირედ ასახავს რეალურ მდგომარეობას. სწორედ ამიტომ მოწმენი ვხდებით აბსურდული სურათის, როცა სკამების, კომპიუტერებისა და დივნების სახით არსებული ქონების მფლობელი ამერიკული საინვესტიციო ბანკების აქციები შესაძლოა გაიზარდოს, ხოლო „როსნეფტის“ ან „ლუკოილის“ აქციები, რომლებიც მოიპოვებენ იმას, რითაც ქეთდება ყველაფერი, შესაძლოა დაეცეს.

**დღევანდელი მდგომარეობა აქციებისა, რომლებიც ბირჟაზე სპეკულაციის საგანი გახდა – ამერიკული იპოთეკის უცნაური სიტუაციის სარკისებრი ანარეკლია. ეს არის ჩვენთვის კარგად ნაცნობი აბსურდის თეატრი, რომელსაც მსოფლიო „საბაზრო ეკონომიკას“ ეძახის. რა არის საჭირო ბირჟისა და იპოთეკის წარმატებული არსებობისათვის? მხოლოდ ორი რამ: მოთამაშეები და ფული. ამასთან, პირველი ვერ იარსებებს მეორის გარეშე. ფული ყოველთის პირველადია.**

სწრაფვა მოგებისკენ, როგორც „ბურჟუაზიული“ ეკონომისტები ამბობენ, ან ფულის შოვნისკენ, როგორც მარქსისტები ამბობენ, — კაპიტალიზმის განუყოფელი თვისებაა. ამ სისტემის ფილოსოფია დგას პრინციპზე: რაღაც უნდა გააკეთო, მოიგონო, ჩამოიტანო და გაყიდო უფრო ძვირად, ვიდრე დაგიჯდა. გამოდის მოგება. მაგრამ რაღაცის რეალურად გაკეთება ყოველთვის უფრო რთულია, ვიდრე არაფრის, ამიტომ მოიფიქრეს ბირჟა. არაა საჭირო, წავიდეთ შორეულ მოგზაურობაში ცხრა მთას იქით, შეგვიძლია, ადგილზევე გავზარდოთ ჩვენი კაპიტალი. **აქციები — ეს მხოლოდ დამატებითი ინსტრუმენტია სპეკულაციისთვის და მეტი არაფერი.**

თუმცა ეს წიგნი კაპიტალიზმის „ველური ბუნების“ გამოაშკარავებას არ ეძღვნება. იგი სრულიად სხვა რამეზეა — კრიზისზე და მისი ორგანიზების საშუალებაზე. რათა დავხუროთ აქციების თემა, დავსვამ ერთ შეკითხვას: წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ნაცნობი მოვიდა ფულის სათხოვნელად. რათა გააფართოოს თავისი მაღაზია, რას შეეკითხებით? როდის დაგიბრუნებს ფულს და, მთავარი, რას მიიღებთ აქედან თქვენ?

პასუხი უთუოდ ასეთი იქნება:

**— ერთ-ორ წელიწადში დაგიბრუნებ ფულს. თქვენ გარეშე მოვიხმარ მას. არ ვარ დარწმუნებული, რომ ვადის ამოწურვისას დაგიბრუნებთ სრულად. რაც შეეხება გადასახდელ პროცენტს, ესეც არ ვიცი. წლის ბოლოს პარტნიორებთან ერთად სხდომას ჩავატარებთ და გადავწყვეტთ, რამდენს მიიღებთ, ძვირფასო ინვესტორო.**

**ასეთ მთხოვნელს ფულს ასესხებთ?**

მაშ, რისთვის ყიდულობთ აქციებს? სიტუაცია ხომ აბსოლუტურად იდენტურია. თქვენ აძლევთ უცხო ადამიანს თქვენს ფულს, მათ იყენებს კომპანია, თქვენ დაუკითხავად. მოგება აქციაზე წყდება აქციონერთა კრებაზე ყოველი წლის ბოლოს. ამ კრებაზე თქვენ, მე-16 კი არა, 116-ე ხართ. ხოლო თუ მსოფლიო გიგანტის აქციები შეისყიდეთ, მაშინ, რა თქმა უნდა, თქვენ არანაირი გავლენა მის მოქმედებებზე არ გექნებათ. კრებაზეც კი არ მოხვდებით. იქ რას გადაწყვეტენ, რა დივიდენდებს დაარიცხავენ, მხოლოდ ღმერთმა უწყის. არ არის გარანტია, რომ ერთი-ორი წლის შემდეგ ფულს სრულად დაიბრუნებთ: აქციების კურსი, შესაძლოა, დაეცეს კიდეც.

ნუ მიწყენენ ბატონი ბირჟის მოთამაშენი, ბროკერები, ბირჟის ანალიტიკოსები და ვირტუალური ფულადი ფრონტის სხვა მებრძოლები. რა შეიძლება ვუწოდოთ ადამიანს, რომელიც ამგვარი პირობებით დებს ფულს აქციებში? — ინვესტორი? არა — სულელი. თუ თქვენთან ფულის სათხოვნელად მეზობელ სადარბაზოში მცხოვრები ვასო მოვა და გეტყვით ზემოთ აღნიშნულს, მისცემთ მას ფულს? არა, არასოდეს არავინ ჩაიდენს მსგავს სისულელეს. ხოლო ბირჟას ხალხი აწყდება. მასობრივად. და რადგან ბირჟა გამოგონილ იქნა ზარმაცებისთვის საკუთარ სახსრებთან განშორების გასაადვილებლად, შექმნილია საინვესტიციო ფონდები. ეს აბსურდია კვადრატში, ვირტუალობაა კუბში. როდესაც თქვენ ყიდულობთ „ლუკოილის“ აქციას, დაახლოებით მაინც წარმოგიდგენიათ, რას საქმიანობს ეს კომპანია და როგორი პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს მას? ეკონომიკის ამგვარი მონსტრების სათავეში დგანან ქარიზმული ლიდერები (ნაწილობრივ) პროგნოზირებული სვლებით. ამ კომპანიებს აქვთ ქონება და ამიტომ არის იმედი, რომ ყველაზე ცუდი ვარიანტის შემთხვევისას ქაღალდის აქციებიდან რამის მიღება შეიძლება. თუ აძლევთ ფულს საინვესტიციო ფონდს, თქვენ უკვე ყიდულობთ ამ ფონდის აქციებს, რომელიც, თავის მხრივ, ყიდულობს გაურკვეველი კომპანიების აქციებს გაურკვეველი მეთოდიკით.

ფონდის დირექტორი, ბროკერი, ანალიტიკოსი — ვინ არიან ისინი? ვინ იქნებიან ხვალ? რა პასუხისმგებლობა აქვთ მათ თქვენ წინაშე? — არანაირი. გაშლიან ხელებს, გაიღიმებენ. თამაში თამაშია. ასეც მოხდა.




**(გაგრძელება იქნება)**

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ასტროლოგები ამტკიცებენ, რომ მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს აქვს ადამიანთა ქმედებების წარმართვის ძალა და უნარი. შესაბამისად, იმის მიხედვით, თუ რომელი თანავარსკვლავედის ნიშნითაა დაბადებული ადამიანი, მის ხასიათს, უნარ-ჩვევებს, ნიჭიერებას, მიზნებს, სისუსტეებსა და ბედსაც კი წინასწარმეტყველებენ.**

# ზოგი რამ ზოდიაქოს შესახებ

**ზოდიაქო ეკლიპტიკის (ცის სფეროს დიდი წრეწირი, რომელზეც მიმდინარეობს მზის ხილული წლიური მოძრაობა ვარსკვლავებს შორის) გასწვრივ განლაგებული 12 თანავარსკვლავედია (ვერძი, კურო, მარჩბივი, კირჩხიბი, ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიანკალი, მშვილდოსანი, თხის რქა, მერწყული, თევზები). ზოდიაქოს თანავარსკვლავედებზე გადის მზის ხილული წლიური გზა ვარსკვლავთა შორის და მზის სისტემის პლანეტების ხილული წლიური გზები.**

სიტყვა ზოდიაქო წარმოიშვა ლათინური სიტყვა zodiacus-იდან, რომელიც, თავის მხრივ, მომდინარეობს ბერძნული [illegible]-იდან (zodiakos kyklos), რაც ცხოველებისგან შემდგარ წრეს აღნიშნავს. ზოდიაქოს თანავარსკვლავედები განცალკევებულ ჯგუფად გამოყვეს და მათთვის სპეციალური ნიშნები შემოიღეს ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა (ასტრონომიული ნიშნები). სათანადო თანავარსკვლავედის ნიშნები აქვს, აგრეთვე, **ბუნიობისა** და **მზებუდობის** წერტილებს (ვერძი და სასწორი, შესაბამისად, გაზაფხულისა და შემოდგომის ბუნიობისა, ხოლო კირჩხიბი და თხის რქა — ზაფხულისა და ზამთრის მზებუდობის წერტილებს). ეს აღნიშვნები დღემდეა შემორჩენილი, თუმცა პრეცესიის (დედამიწის ბრუნვის ღერძის ცვალებადობა, რომელიც იწვევს ვარსკვლავების განლაგების ცვლას ეკვატორულ კოორდინატთა სისტემის მიმართ. თანამედროვე მონაცემებით, დედამიწის პრეცესიის სრული ციკლი შეადგენს 25 765 წელიწადს) გამო აღნიშნული წერტილები ამჟამად სხვა თანავარსკვლავედებშია. ძველთაგანვე შემორჩენილია ჩრდილოეთ და სამხრეთ ტროპიკების სახელწოდებებიც: კირჩხიბის ტროპიკი და თხის რქის ტროპიკი. საქართველოს ტერიტორიიდან ზოდიაქოს ყველა თანავარსკვლავედი ჩანს.

თანავარსკვლავედები არის ვარსკვლავური ცის უბნები. მათი კონტურები განსაკუთრებით ბრწყინავი ვარსკვლავების მიხედვით დგინდება. ცის დაყოფა თანავარსკვლავედებად უძველესი დროიდან მომდინარეობს. ძირითადი თანავარსკვლავედები გამოყვეს და სახელები შეარქვეს მითოლოგიური (ჰერკულესი, პერსევსი, ანდრომედა და სხვა) ან საყოფაცხოვრებო (სასწორი, მშვილდოსანი და სხვა) სფეროდან. დროთა განმავლობაში ზოგიერთი თანავარსკვლავედების საზღვრები ზუსტდებოდა ან არსებულ თანავარსკვლავედებს ჰყოფდნენ რამდენიმე თანავარსკვლავედად. **საერთაშორისო ასტრონომიის კავშირის 1922 წლის გადაწყვეტილებით, ვარსკვლავური ცა დაყოფილია 58 თანავარსკვლავედად.**

თანავარსკვლავედებად ცის დაყოფას სამეცნიერო მნიშვნელობა არ აქვს, ეს დაყოფა გარეგნული ნიშნებით ხდება და მას შემთხვევითი ხასიათი აქვს, რაც მხოლოდ ორიენტირების გასაადვილებლად არის საჭირო.

## ვინ შექმნა ზოდიაქო

დღემდე უცნობია, თუ ვინ შექმნა ზოდიაქოს ნიშნები. არსებობს ჰიპოთეზა, რომ საუკუნეების წინათ შუმერები ცას 12 ნაწილად ჰყოფდნენ. ასევე, ცნობილია, რომ ძველად ხალხი ამა თუ იმ ცხოველს, რომელიც ცაზე ვარსკვლავებით იყო გამოსახული, თავიანთი ტომის ან თემის მფარველად მიიჩნევდნენ.

**ვერძი** ზოდიაქოს პირველი ნიშანია. მას მართავს მარსი, ამიტომაც ამ ნიშნის წარმომადგენლები გახსნილები, ენთუზიაზმით სავსეები და ინტელექტუალები არიან.

**კურო** არის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცხოველი. ამ ნიშნის პერიოდში დედამიწაზე მზის სხივები კაშკაშებდნენ, რაც ახალ საწყისს ნიშნავდა.

**ტყუპის** თანავარსკვლავედმა მიიღო ზევსისა და ლედის ტყუპების — პოლუქსისა და კასტორის სახელები. ცაზეც მათი ნაწილები ისე ახლოს არიან განლაგებულნი, რომ ამ თანავარსკვლავედს სხვანაირად ვერც ვუწოდებდით.

ივნისის ბოლოს და ივლისის დასაწყისში მზე, პირდაპირი მნიშვნელობით, უკან მიგორავს. აქედან გამომდინარეობს თანავარსკვლავედის სახელწოდება **კირჩხიბი** (კიბორჩხალა). დღე ნელ-ნელა იკლებს, ხოლო ღამე იმატებს. ლეგენდის თანახმად, ჰერაკლე შეება უზარმაზარ კიბორჩხალას და მოიპოვა გამარჯვება, მაგრამ ქალღმერთმა ჰერამ, რომელიც ვერ იტანდა ამ გმირს, კირჩხიბი განამწესა ცის თაღზე, რათა მას ყოველთვის ედევნებინა თვალი ჰერაკლესთვის.

ასურეთში **ლომის** თანავარსკვლავედს უწოდებდნენ „დიდებულ ცეცხლს". ამ პერიოდში სწორედ ლომებმა დაიწყეს ნილოსის ველზე ხეტიალი, რათა თავი დაეღწიათ გაუსაძლისი სიცხისგან. სწორედ აქედან მოდის მცხუნვარე მზის სიმბოლიკა, რომელიც ცაზე ბატონობს.

ანტიკურ ხანაში **ქალწულს** უამრავი სახე ჰქონდა — ზევსის დედა, სამართლიანობის ქალღმერთის, ათენას სახე და იგი გამოხატავდა სფინქსსაც კი, მაგრამ ყველაზე ხშირად, მას გამოსახავდნენ პურის თავთავით ხელში, რადგან სწორედ ასე ითარგმნება ყველაზე კაშკაშა თანავარსკვლავედის სახელი.

**სასწორი** ერთადერთი უსულო საგანია ზოდიაქოს ნიშნებში. მისი პერიოდი ემთხვევა შემოდგომას. საუკუნეების წინათ ადამიანებმა შეამჩნიეს, რომ დღე გრძელდება იმდენივე ხანს, რამდენსაც ღამე. სწორედ აქედან გამომდინარეობს სასწორის ორი თანაბარი მხარე თანავარსკვლავედზე. გარდა ამისა, ანტიკურ ხანაში ბედისწერის სასწორზე იზომებოდა ადამიანების საქციელი, ამიტომაც დღეს სასწორი სამართლიანობის სიმბოლოა.

მზის გადასვლის დროს **მორიელის** თანავარსკვლავედში მზე უფრო ნათელი იყო, ვიდრე ნებისმიერ სხვა დროს.




**მე-20 საუკუნე ბოლო იყო თევზების საუკუნეებიდან და ამიტომ ასტროლოგებმა ერთხმად გამოაცხადეს მერწყულის ეპოქის დადგომა. ის კი მოვა მაშინ, როცა ტროპიკული ზოდიაქოს ათვლის წერტილი დატოვებს თევზებს და გადავა მერწყულში**

აქედან გამომდინარე, ხალხი ფიქრობდა, რომ მორიელმა მზე დაგესლა. მორიელთან გამკლავება შეეძლო მხოლოდ **მშვილდოსანს.** ამიტომაცაა მორიელის თანავარსკვლავედის შემდეგ მშვილდოსნის თანავარსკვლავედი.

ლეგენდის მიხედვით, **თხის ფეხებიანი** ღმერთი პანი ერთხელ შეაშინა გოლიათმა, რის გამოც პანი წყალში ჩახტა. მისი ფეხები გადაიქცა კუდად. ამიტომაც თხის რქის ნიშანი სწორედ ამ ფორმაშია გამოსახული.

იმ დღეებში, როდესაც მზე იმყოფებოდა **მერწულის** თანავარსკვლავედში, ნილოსი ადიდდა. ამიტომაც ამ ნიშანსაც ლოგიკურად დაერქვა მერწყული.

იქ, სადაც წყალია, არის **თევზიც**. სწორედ ამ თანავარსკვლავედის დროს იჭერდა ხალხი უამრავი რაოდენობის თევზს. საინტერესოა ისიც, რომ ფინიკიელები თავიანთ ნაყოფიერების ქალღმერთს გამოსახავდნენ ქალის სახით და თევზის კუდით (ქალთევზა).

* * *

ასტროლოგები ამტკიცებენ, რომ მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს აქვს ადამიანთა ქმედებების წარმართვის ძალა და უნარი. შესაბამისად, იმის მიხედვით, თუ რომელი თანავარსკვლავედის ნიშნითაა დაბადებული ადამიანი, მის ხასიათს, უნარ-ჩვევებს, ნიჭიერებას, მიზნებს, სისუსტეებსა და ბედსაც კი წინასწარმეტყველებენ. ამ თეორიის შესაბამისად, თითეული ნიშნის ქვეშ დაბადებულნი შემდეგნაირად ხასიათდებიან:

**ვერძი (21 მარტი-19 აპრილი)** ზოდიაქოს პირველი ცეცხლოვანი ნიშანია. ამ ნიშნით დაბადებულნი სარგებლობენ კარგი ავტორიტეტით, განვითარებული აქვთ მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა. ისინი ნამდვილი მეგობრები არიან და ყველაფერს ბოლომდე აკეთებენ. ვერძი ფიცხია, უფრო ზერელე გრძნობებითა და ცოდნით გამოირჩევა. მისი მთავარი ღირსებები უშრეტი ენერგია, დამოუკიდებლობა და იმპულსურობაა. ვერძი ახირებულობის ნიშნია, ცოცხალი, მერყევი ხასიათით.

**კურო (20 აპრილი-20 მაისი)** ზოდიაქოს პირველი მიწიერი ნიშანია. ეს გამოიხატება კუროს ნიშნის ქვეშ დაბადებულთა პრაქტიკულობაში, ზომიერებაში, მოთმინებასა და ადამიანთა გატანაში. მათი მოთმინებიდან გამოყვანა ძალიან ძნელია, მაგრამ მერე დიდხანს ვეღარ წყნარდებიან. კურო დამთმობი, ტაქტიანი და მშვიდობისმოყვარეა, ხშირად აღწევს წარმატებას თავის საქმიანობაში.

**ტყუპი (21 მაისი-20 ივნისი)** — ჰაერის პირველი ნიშანი. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულნი ხშირად მოუსვენარნი, ნევროზულნი და ემოციურები არიან. მათთვის ნიშანდობლივია ფსიქიკური გაორება. ისინი დაჯილდოებულნი არიან იდეების სიუხვით, მაგრამ ძალიან ცვალებადი აზრებით. აქვთ ნათელი გონება. არიან დამთმობები და თავაზიანები. ახასიათებთ ფეთქებადობა და ეჭვიანობა, ვერ იტანენ კრიტიკას, მათთვის გულის ტკენა ძალიან ადვილია.

**კირჩხიბი (21 ივნისი-22 ივლისი)** ზოდიაქოს წყლის პირველ ნიშანია. მიდრეკილნი არიან სენტიმენტალურობისკენ. არიან გამოუსწორებელი იდეალისტები. უყვართ ცვლილებები და ნაირფეროვნება. არიან სიმპათიურები, თავაზიანები, იდეალისტური აზროვნების, რბილი, მომთმენი ბუნების. თავდაცვის ინსტიქტის წყალობით კირჩხიბს კარგი ფინანსური შესაძლებლობები აქვს.

**ლომი (23 ივლისი-22 აგვისტო)** ზოდიაქოს მეორე ცეცხლოვანი ნიშანია. ამ ნიშნით დაბადებულნი მუდმივად ილვწიან დიდებისკენ, ლიდერობისკენ. ყველას თავისი გავლენის ქვეშ აქცევენ. არიან ამაყნი. აქვთ დიდი ნებისყოფა. დიდსულოვნებითა და კეთილშობილებით სავსენი არიან. ლომები გამოირჩევიან თავდაჯერებულობით, არიან მომთხოვნები, ზედმეტად ხელგაშლილები. უყვართ კარგი ცხოვრება, ფუფუნება და განცხრომა. არიან მეგობრულები.

**ქალწული (23 აგვისტო-22 სექტემბერი)** — მეორე მიწიერი ნიშანი. აქვთ ანალიტიკური გონება და პრაქტიკული აზროვნების უნარი. მიილტვიან სრულყოფილებისკენ. მუდამ განწყობილნი არიან საქმისთვის. ბუნებით ხელმომჭირნენი, მომთმენები, მეოჯახენი და ყაირათიანები არიან, მაგრამ ამასთანავე, ფიცხებიც. ქალწული საკუთარ თავს არასოდეს ატყუებს. ის ბუნებით კრიტიკოსია და მისი კრიტიკა, ჩვეულებრივ, სამართლიანია, მაგრამ ხშირად უხეში, რაც გულს ტკენს ადამიანებს.

**სასწორი (23 სექტემბერი-22 ოქტომბერი)** ჰაერის მეორე ნიშანია. მათ აქვთ დახვეწილი მხატვრული გემოვნება, ხშირად დაფრინავენ ღრუბლებში, კარგავენ რეალობის განცდას. ხშირად ირჩევენ მათთვის არასასურველ ვარიანტს. გაურბიან უხეშ კონფლიქტებს. არიან მშვენიერების მოტრფიალენი, სიამოვნების მოყვარულები, ალერსიანები და ენაწყლიანები. არ ჰყოფნით მოთმინება და გამძლეობა, ამიტომ ძნელია მათზე დაყრდნობა.

**მორიელი (23 ოქტომბერი-21 ნოემბერი)** წყლის მეორე ნიშანია. ზოდიაქოს ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი ბუნების ადამიანები არიან. მაღალი და სულმდაბლური მისწრაფებანი ერთდროულად ეთვისებიან ერთმანეთს. აქვთ არაადამიანური ნებისყოფა. ღრიანკალი ძალიან ემოციურია. იგი წარმატებისთვის უფრო მეტი ენერგიით იბრძვის, ვიდრე დანარჩენი ნიშნები ერთად აღებული.

**მშვილდოსანი (22 ნოემბერი-21 დეკემბერი)** — ზოდიაქოს ბოლო ცეცხლოვანი ნიშანი. მშვილდოსნები წესიერნი, პატიოსანნი, უზომოდ ენერგიულები არიან. აფასებენ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. მოქმედებენ დაუფიქრებლად. ჯიუტნი, მაგრამ გულწრფელნი, არ უყვართ ტყუილი. არიან თანამგრძნობნი და კეთილმოწყალენი. უყვართ ყველა საქმეში გადამეტება. თავისი გრძნობებითა და განზრახვით ძალიან რომანტიკულები და ვნებიანები, სინდისიერი და პირდაპირები არიან.

**თხის რქა (22 დეკემბერი-19 იანვარი)** ზოდიაქოს ბოლო მიწიერი ნიშანია. ამ ნიშნით დაბადებულნი პრაქტიკული, ფრთხილი, სერიოზული, დიდი ნების- ▶

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადამიანთა კოლექტივი პროდუქტიულად იწყებს მოქმედებას, თუ მათი რიცხვი აღწევს 12-ს ან 12-ის ჯერადია (24, 36, 48 და ასე შემდეგ). ეს კანონზომიერება ცხოველთა სამყაროშიც შეინიშნება.

ყოფისა და ძლიერი ხასიათის ადამიანები არიან. საკმაოდ მძიმე ბედი თხის რქებს ცივ, გულგრილ ადამიანებად ხდის ახლობლებისა და მეგობრების მიმართ. თხის რქა მომჭირნე, ცივი გონების მქონეა, მკაცრი და ნაკლებმოწყალე, აფასებს ფულსა და მატერიალურ მდგომარეობას. მას იშვიათად აკმაყოფილებს ის, რაც სხვას წარმატებად მიაჩნია და ყოველთვის რაღაც ექსტრაორდინარულის მიღწევას ლამობს.

**მერწყული (20 იანვარი-18 თებერვალი)** ჰაერის ბოლო ნიშანია. გამოირჩევიან გამომგონებლობის იშვიათი ნიჭით. მათთვის ნიშანდობლივია მოულოდნელი ცვლილებები ცხოვრებაში. ისინი მოდისა და სტილის კანონმდებლები არიან დიზაინში, ინტერიერში, ტანსაცმელსა და ხელოვნებაში. აქვთ გულითადი, ჯანსაღი, სულიერი თვისებები, საღი, გახსნილი გონება, განვითარებული აქვთ ინტუიცია, წარმოსახვა და შორსმჭვრეტელობა.

**თევზები (19 თებერვალი-20 მარტი)** — წყლის ბოლო ნიშანი. ამ ნიშნის სიმბოლო 2 თევზია. გაორება თავიდანვე ჩადებულია თევზების ნიშნით დაბადებული ადამიანების ბუნებაში. ორი პროფესია, ორი საყვარელი საქმე, ამასთანავე, ისინი ახერხებენ წარმატების მიღწევას ორივე სფეროში. ფლობენ წარმოსახვის უნარს და არიან მეოცნებენი, რბილი, დამთმობი, სუსტი ნებისყოფის მქონენი. თევზები თავგამოდებული მოგზაურები არიან.

## მე-13 ნიშანი

ასტროლოგიაში არსებობს ვერსია მე-13 ზოდიაქოს შესახებ. **გველის მგეშავის ზოდიაქო**, როგორც მას უწოდებენ, მოიცავს პერიოდს 15 ნოემბრიდან 29 ნოემბრის ჩათვლით.

ეს არის ღრიანკალის – ბოლო და მშვილდოსნის პირველი კვირების პერიოდი. ამ დროს დაბადებულ ადამიანებში შეინიშნება გველის მგეშავის თანავარსკვლავედის ზეგავლენა, რაც მათ ხასიათს განსაკუთრებულ თვისებებს სძენს. ცალკეული ასტროლოგის თვალსაზრისით, ამ ნიშნით დაბადებული ადამიანები განსაკუთრებულები არიან.

მე-13 ზოდიაქოს არსებობის ვერსია წინააღმდეგობრივია, ამიტომ პროფესიონალი ასტროლოგები მას იშვიათად იყენებენ. მისი მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ 12 არის საკრალური რიცხვი და სამყაროს ჰარმონიას უკავშირდება. **პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადამიანთა კოლექტივი პროდუქტიულად იწყებს მოქმედებას, თუ მათი რიცხვი აღწევს 12-ს ან 12-ის ჯერადია (24, 36, 48 და ასე შემდეგ).** ეს კანონზომიერება ცხოველთა სამყაროშიც შეინიშნება. ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტერმიტები მაშინ იწყებენ ბუდის მშენებლობას, როცა მათი მინიმალური რაოდენობა შეიკვრება და ხშირად მათი რიცხვი 12-ია. კალენდარში არსებობს 12 თვე. ჩინური ფილოსოფიის თანახმად, ადამიანის ორგანიზმში არის 12 ძირითადი მერიდიანი, რომლებიც 24 საათის განმავლობაში სხვადასხვა პერიოდში აქტიურდება პლანეტების შესაბამისად. ასევე არსებობს 12 ზოდიაქო, ხოლო 13 არ ჯდება სამყაროსეული ლოგიკის არც ერთ კონტექსტში.

გველის მგეშავის თანავარსკვლავედის გავლენას ძველი ასტროლოგები სასწორსა და მორიელს უკავშირებენ, ხოლო თანამედროვე ასტროლოგები — მორიელსა და მშვილდოსანს. არსებობს სხვადასხვა ვერსია და ძნელია, დაადგინო, რომელიმე მათგანის სისწორე, მაგრამ ცხადია, რომ ამ პერიოდში რაღაც ნამდვილად ხდება. **გველის მგეშავის თანავარსკვლავედი ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ვარსკვლავთკრებულია და მისი ვარსკვლავები გავლენას ახდენს დედამიწაზე მიმდინარე პროცესებზეც და ადამიანებზეც.** სწორედ ამ გავლენის საფუძველზე შეიქმნა მე-13 ზოდიაქოს ვერსია. ეს საკმარისი მოტივი არ არის, ვინაიდან დანარჩენ ზოდიაქოებზეც შეინიშნება სხვადასხვა თანავარსკვლავედის გავლენა. ამასთანავე, ყველა ზოდიაქოში შეიძლება გამოვნახოთ მე-13 ზოდიაქოსთვის დამახასიათებელი თვისებები, მაგრამ ეს ზოდიაქოს გავლენა არ არის, ეს ვარსკვლავების ზეგავლენაა.

გველის მგეშავის თანავარსკვლავედს ძველი ბერძნები მიაწერდნენ მედიცინის ღვთაება ასკლეპიოსს. აქედან წამოვიდა გველის ემბლემა. ავესტური ასტროლოგია ამ ვარსვლავთკრებულს უკავშირებს მეფე ვაჰავის შესახებ მითს: მეფე ვაჰავი აცდუნა ეშმაკმა, მისი კოცნის შემდეგ ვაჰავს ხელზე წამოეზარდა გველები, რომლებიც ადამიანის ტვინით იკვებებოდნენ. ხალხი იძულებული შეიქნა, გველების დანაყრების მიზნით, მეფისთვის ახალგაზრდები შეეწირათ. გველის მგეშავის თანავარსკვლავედს ბერძნები მედიცინას უკავშირებენ, ხოლო ავესტური ასტროლოგია მას ეშმაკისგან ცდუნებული ადამიანის ენერგეტიკის მქონედ თვლის.

გველის მგეშავის თანავარსკვლავედის გავლენაზე ჯერ კიდევ ავესტური ასტროლოგია მიუთითებს, მაგრამ მისი ზოდიაქოდ აღიარება გასული საუკუნის 80-იან წლებში **ოტო ნოეჰარდის** სახელს მიეწერება. მან დაწერა წიგნი, სათაურით „ზოდიაქოს მე-13 ნიშანი“.

## ახალი ეპოქა

ეპოქაში, როცა ზოდიაქოს კონცეფცია ყალიბდებოდა, მისი ათვლის წერტილი მიბმული იყო ვარსკვლავთან, თუმცა საერთო აზრი იმის თაობაზე, კონკრეტულად რომელ ვარსკვლავზეა საუბარი, არ არსებობს.

სხვა ვერსიის მიხედვით, ზოდიაქო აითვლება გაზაფხულის ბუნიობის წერტილიდან, რომელიც ეკლიპტიკისა და ცის ეკვატორის გადაკვეთაზე მდებარეობს. ეს წერტილი მოხერხებულია ათვლის დასაწყებად თუნდაც იმიტომ, რომ ცაზე მისი მოძებნა ადვილია. თანაც ეპოქაში, როცა ყალიბდებოდა ზოდიაქოს კონცეფცია, გაზაფხულის ბუნიობის წერტილი მეტ-ნაკლებად ემთხვეოდა ზოდიაქოს სხვა ათვლის წერტილებს, თუმცა მას ერთი ნაკლი აქვს: ვარსკვლავურ ცასთან არ არის დაკავშირებული. ის არის დედამიწისა და მზის ურთიერთობის წერტილი, ანუ დაკავშირებულია ლოკალურ კოსმოსთან.



**თუკი თევზების ეპოქაში ადამიანებს აწვდიდნენ რელიგიურ ფასეულობებს (თევზები), მაგრამ უმთავრესი მიზანი იყო მატერიალური გამდიდრება (ქალწული), მერწყულის ეპოქაში ადამიანებს ჩააგონებენ, რომ არსებობს სიტყვის, ცოდნის თავისუფლება, დემოკრატია, მთავარი მიზანი კი იქნება აბსოლუტური ხელისუფლება (ლომი). ხოლო ცოდნის ძირითადი გამოყენება სწორედ ამ ხელისუფლებისთვის ბრძოლა, მათ შორის შეიარაღებული ბრძოლაც გახდება**

**ასე გაჩნდა ორი ზოდიაქო: ერთი, რომლის ათვლის წერტილი დაკავშირებულია ვარსკვლავურ ცასთან, და, მეორე, რომლის ათვლის წერტილი გაზაფხულის ბუნიობის წერტილია — ტროპიკული.** ორი ათასი წლის წინათ ტროპიკული და სიდერული ზოდიაქოები თითქმის ემთხვეოდნენ ერთმანეთს. მაგრამ პრეცესიის გამო, ტროპიკული სიდერიულს დაშორდა და აგრძელებს ამ მოძრაობას.

დასავლური ასტროლოგია თითქმის ყოველთვის იყენებს ტროპიკულ ზოდიაქოს, ინდური ასტროლოგია — სიდერულს, თუმცა ტროპიკულსაც ხშირად მიმართავს. სიდერული ჰოროსკოპი უფრო მეტადაა დაკავშირებული პოტენციების მსოფლიო ველთან — ვარსკვლავურ ცასთან, და დასკვნები, რომლებიც კეთდება მისი საშუალებით, ატარებს უფრო მასშტაბურ და სიღრმისეულ ხასიათს. ტროპიკული კი ჩვენთან უფრო ახლოა, ის მზის სისტემის პოტენციას გამოხატავს და პრაქტიკული მუშაობისთვის უფრო აქტუალურია.

იმ ფაქტმა, რომ ტროპიკული ზოდიაქო ნელ-ნელა მოძრაობს სიდერიულის მიმართ, დაუდო საფუძველი ძალიან სიღრმისეულ და საინტერესო ზოდიაქური ეპოქების ასტროლოგიურ კონცეფციას. ამ ეპოქებს გადის კაცობრიობა თავისი განვითარების გზაზე. სხვათა შორის, ამ კონცეფციის თვით არსებობაც კი უკვე ადასტურებს, რომ ზოდიაქოს ორივე ვერსია აქტუალურია.

დაახლოებით 2000 წლის წინათ ტროპიკული ზოდიაქოს ათვლის წერტილი ემთხვეოდა სიდერულს. ათვლის წერტილად ვიღებთ ვერძის ნიშანს. შემდეგ, პრეცესიის გამო, ტროპიკული ზოდიაქოს ამ წერტილმა დაიწყო ნელ-ნელა გადაადგილება თევზებისკენ და კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო თევზების ეპოქა. დაახლოებით 2000 წლის წინათ გაჩნდა ქრისტიანობაც და ამ რელიგიის სული, მისი წმინდა ტექსტების სიმბოლიზმი შესამჩნევადაა დაკავშირებული თევზების სიმბოლიკასთან.

**მე-20 საუკუნე ბოლო იყო თევზების საუკუნეებიდან და ამიტომ ასტროლოგებმა ერთხმად გამოაცხადეს მერწყულის ეპოქის დადგომა. ის კი მოვა მაშინ, როცა ტროპიკული ზოდიაქოს ათვლის წერტილი დატოვებს თევზებს და გადავა მერწყულში.**

ვინაიდან თევზების ეპოქა დაკავშირებული იყო ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან, ზოგიერთი თვლის, რომ მერწყულის ეპოქაში უნდა გაჩნდეს რაღაც ახალი რელიგია, რომელიც იქნება დაფუძნებული საყოველთაო ძმობის იდეაზე და სამყაროს გლობალურ ხედვაზე. თითქოს მან უნდა შეცვალოს ტრადიციული რელიგიები, რომლებმაც, როგორც კაცობრიობის სულიერმა წინამძღვრებმა, თითქოს ამოწურეს საკუთარი შესაძლებლობები.

**სიტყვა რელიგიის ეტიმოლოგიას თუ გავიხსენებთ, ის მოდის ლათინური სიტყვიდან RELIGIO, რომელიც შესაძლებელია, გაგებულ იქნას, როგორც კავშირების აღდგენა. სხვა სიტყვებით, რელიგია არის კაცობრიობის გამაერთანებელი ფაქტორი. თევზების ეპოქის დროს ასეთი გამაერთიანებელი ფაქტორი იყო ღმერთის რწმენა.**

რა შეიძლება გახდეს ადამიანების გამაერთიანებელი მერწყულის ეპოქაში, რომლის ატრიბუტებია ცოდნა, ინფორმაცია, ახალი ტექნოლოგიები? მათ, ვინც მერწყულის ეპოქისგან საყოველთაო ძმობას, თავისუფლებასა და კეთილდღეობას ელოდება, სავარაუდოდ, იმედების გაცრუება ელის. **მერწყული მართლაცაა დაკავშირებული გლობალურ მოვლენებთან, მაგრამ ასტროლოგები თვლიან, რომ ოპოზიციურ ნიშანთან ერთად მას შეუძლია წინ წამოწიოს გლობალური ხელისუფლების თემა და გააჩინოს ისეთი დიქტატურები, რომ ჰიტლერისა და სტალინის რეჟიმები საბავშვო თამაშად მოგვეჩვენოს.**

ცნობილი ასტროლოგი **რობერტ ზოლერი** თვლის, რომ მერწყულის ეპოქა დადგება 2160 წელს.

**თუკი თევზების ეპოქაში ადამიანებს აწვდიდნენ რელიგიურ ფასეულობებს (თევზები), მაგრამ უმთავრესი მიზანი იყო მატერიალური გამდიდრება (ქალწული), მერწყულის ეპოქაში ადამიანებს ჩააგონებენ, რომ არსებობს სიტყვის, ცოდნის თავისუფლება, დემოკრატია, მთავარი მიზანი კი იქნება აბსოლუტური ხელისუფლება (ლომი). ხოლო ცოდნის ძირითადი გამოყენება სწორედ ამ ხელისუფლებისთვის ბრძოლა, მათ შორის შეიარაღებული ბრძოლაც გახდება.**

ზოლერი თვლის, რომ მერწყულის ეპოქის მთავარი საშიშროება ცოდნისა და მეცნიერული მიღწევების ბოროტად გამოყენებაა.

## ქრისტიანობა და ასტროლოგია

ასტროლოგები ამტკიცებენ, რომ მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს აქვთ ადამიანთა ქმედებების წარმართვის ძალა და უნარი. ქრისტიანული ეკლესიის სწავლების მიხედვით (საღმრთო წერილის თანახმად), ადამიანი თავისუფალია თავის ქმედებებში, რადგან შექმნილია ხატად და მსგავსად ღმრთისა და მინიჭებული აქვს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. ამაზე ცხადად მეტყველებს მრავალი ადგილი წმინდა წერილიდან. ამ და სხვა მიზეზების გამო ქრისტიანობა ზოდიაქოსა და ასტროლოგიას, მსუბუქად რომ ვთქვათ, არ სწყალობს.

**ძველთაგანვე ასტროლოგია ღმერთის ჭეშმარიტი თაყვანისმცემლების მხრიდან აღიქმებოდა, როგორც უფლისგან განდგომა და ბოროტ ძალთა სამსახური. ძველ აღთქმისეულ ეპოქაში ისრაელში აღმოცენებული ჯადოქრები, მოგვები, ვარსკვლავთმრიცხველები, მისნები ჩაქოლვით ისჯებოდნენ, ხოლო ახალი აღთქმის მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ამგვარ საქმეთა მიმდევარს მრავალი წლით განაშორებს ზიარების წმინდა საიდუმლოს.** თავისი სიმძიმით ჯადოქრობის ცოდვა კაცის კვლას უტოლდება. დიდი სჯულის კანონში წერია: „ვინც დადიან მოგვებთან ან ეწევიან მოგვობას, ან ვარსკვლავთმეტყველებენ, ექვსი წლით განეშორონ ზიარებისგან, ხოლო ამის მოქმედი მღვდელი განიკვეთოს“.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ციყვებისთვის განკუთვნილი პირველი ხიდი 1963 წელს ვაშინგტონის შტატში, ქალაქ ლონგვიუში აიგო. ეს იყო 18 მეტრი სიგრძის სახანძრო რეზინის მილი, რომლის გაბმაც ქალაქს 1000 დოლარი დაუჯდა. გარდა ამისა, 2010 წელს არიზონას შტატში მუნიციპალიტეტმა 1,25 მილიონი დოლარი დახარჯა მთის გზებზე ციყვების უსაფრთხო გადაადგილების მიზნით ხიდების მოსაწყობად. ციყვების ხიდები ასევე არის გაერთიანებული სამეფოს, ბელგიის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის ქალაქებში.**



# ასანთის ღერების გლობუსი

**ეს არაჩვეულებრივი სკულპტურა — ასანთის ღერებით დამზადებული გლობუსი ნიუ იორკელი არტისტის — ენდი იოდერის ნახელავია.**



სკულპტურისთვის სხვადასხვა ფერის ასანთის ღერებს ენდი რამდენიმე წლის განმავლობაში აგროვებდა, კიდევ ორი წელი კი კონსტრუქციის შექმნას დასჭირდა.

ასანთის ღერების სკულპტურის საფუძვლად ავტორმა ლითონის სფერო და ქაღალდი გამოიყენა, ასანთები კი ხის წებოთია დაწებებული.

ასანთის ღერების გლობუსი ამჟამად უილკერმანის გალერეაშია (ნიუ იორკი, აშშ) გამოფენილი.



# რას ვკარგავთ კბილებთან ერთად

**კბილებთან ერთად ადამიანი მეხსიერების უნარს კარგავს და, რაც უფრო ნაკლები კბილი აქვს, მით უფრო მეტად უჭირს მის ტვინს ახალი ინფორმაციის შენახვა. ეს დასკვნა 55 წელს გადაცილებულ 273 ადამიანზე დაკვირვების შედეგად იქნა გამოტანილი.**

კვლევის ფარგლებში მეცნიერებმა ადამიანის კბილების რაოდენობასა და მეხსიერებას შორის კავშირის დადგენაც სცადეს, მაგრამ ამ კითხვის ზუსტი პასუხი ჯერ კიდევ უცნობია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კბილების რაოდენობის შემცირება ასუსტებს სენსორულ სიგნალებს, რომელსაც კბილები ტვინს გადასცემს, რაც, შესაძლოა, მეხსიერების დაქვეითების მიზეზი იყოს.



იგივე კვლევა მეცნიერებმა თაგვებზეც ჩაატარეს და აღმოჩნდა, რომ კბილების დაკარგვასთან ერთად ახალი ინფორმაციის დამახსოვრებასთან დაკავშირებული პრობლემები მათაც უჩნდებათ. თაგვების შემთხვევაში აღნიშნული ფაქტის მიზეზიც დადგინდა. როგორც აღმოჩნდა, კბილებთან ერთად ამ ცხოველის ორგანიზმში იკარგება ნეირონები და ურონები, რაც მათ მეხსიერებაზე ცუდად მოქმედებს.

# თოკის ხიდები ბერლინელი ციყვებისთვის



**ბერლინის ქუჩებში, სადაც ბევრი სიმწვანეა, ხშირად შეხვდებით ველური სამყაროს წარმომადგენლებს — ციყვებს, კვერნებს, მელიებსა და ზღარბებს. შეიძლება ღამის 3 საათზე კლუბიდან გამოხვიდეთ და ქუჩის ფარნის შუქზე დაინახოთ, როგორ გადაირბინა მელიამ ქუჩაზე და ბუჩქებში მიიმალა. ქალაქში ბევრია ცარიელი შენობა, რომლებშიც მშვიდად ცხოვრობენ გარეული ცხოველები. ევროპის დედაქალაქებს შორის ბერლინის მოსახლეობას ყველაზე მეტი ველური „თანამოქალაქე“ ჰყავს.**




ქალაქში ბევრი ხიდია და მათ რიცხვს ცოტა ხნის წინათ ციყვებისთვის განკუთვნილი თოკის ხიდებიც მიემატა.

პროექტის ინიციატორი მტკნარი წყლის ეკოლოგიისა და მეთევზეობის ინსტიტუტის თანამშრომელი იყო, რომელიც თვეში ერთხელ მაინც ხდებოდა მოწმე, როგორ იღუპებოდნენ ციყვები ქუჩაზე გადასვლისას. მან ცხოველთა დამცველი ორგანიზაციის — Aktion Tier-ის წარმომადგენელ ურსულა ბაუერს მიმართა, რომელთან ერთადაც შეიმუშავა ციყვების ხიდის პროექტი და რომელიც შემდგომ ბერლინის მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა.

ციყვებისა და კვერნებისთვის განკუთვნილი პირველი ხიდი Treptow-Kჯpenick-ის რაიონში, Mტggelseedamm-ზე მოეწყო. ხიდი გამძლე თოკისგან არის შექმნილი, რომლის სერთიფიცირებულ მწარმოებელსაც რამდენიმე თვე ეძებდნენ. ასევე დიდი დრო დასჭირდა ხეზე პროფესიონალი მცოცავის მოძებნას, შეთანხმების მიღწევას მიწის მფლობელებთან და დაზღვევის საკითხის მოგვარებას.



თოკის ხიდის ორივე მხარეს დამაგრებულია თხილით სავსე სათავსები, რათა ციყვები ხიდზე გადასვლას მიეჩვიონ.

ციყვებისთვის განკუთვნილი პირველი ხიდი 1963 წელს ვაშინგტონის შტატში, ქალაქ ლონგვიუში აიგო. ეს იყო 18 მეტრი სიგრძის სახანძრო რეზინის მილი, რომლის გაბმაც ქალაქს 1000 დოლარი დაუჯდა. გარდა ამისა, 2010 წელს არიზონას შტატში მუნიციპალიტეტმა 1,25 მილიონი დოლარი დახარჯა მთის გზებზე ციყვების უსაფრთხო გადაადგილების მიზნით ხიდების მოსაწყობად. ციყვების ხიდები ასევე არის გაერთიანებული სამეფოს, ბელგიის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის ქალაქებში.



# NASA მარსზე კარტოფილს მოაშენებს

**ამერიკის აერონავტიკისა და კოსმოსის სააგენტოს (NASA) მეცნიერები, პერუს კარტოფილის ცენტრთან ერთად, ისეთი კარტოფილის გამოყვანაზე მუშაობენ, რომლის მოყვანაც მარსზე იქნება შესაძლებელი.** ამ ეტაპზე NASA მარსზე კარტოფილის თესლის გაგზავნას არ გეგმავს, მაგრამ მეცნიერები დედამიწაზე შექმნიან სპეციალურ პირობებს, რომელიც მაქსიმალურად იქნება მიახლოებული მარსის პირობებთან.



NASA-მ პერუში უკვე შექმნა ლაბორატორია-სათბური, მასში არსებული ნიადაგისა და ტემპერატურის პირობები მარსის გარემოსთან მაქსიმალურად არის მიახლოებული.

NASA-ს სპეციალისტთა განცხადებით, კარტოფილის ზრდის პროცესის დაჩქარება ნახშირორჟანგის დონის მატებით არის შესაძლებელი. თუ ექსპერიმენტი გაამართლებს, მაშინ კარტოფილის მოყვანა არა მხოლოდ მარსზე, არამედ სხვა პლანეტაზეც იქნება შესაძლებელი. ერთ-ერთი ვერსიით, ექსპერიმენტისკენ ავტორებს ფილმმა „მარსელმა“ უბიძგა. ფილმის სიუჟეტის თანახმად, მარსზე მარტო დარჩენილმა მთავარმა გმირმა კარტოფილის მოყვანა შეძლო.



# ყველაზე ძვირად ღირებული შამპანური

**იშვიათია დღესასწაული, რომელსაც შამპანურის გარეშე აღნიშნავენ. შამპანური, იგივე შუშხუნა ღვინო, მე-17 საუკუნეში საფრანგეთში შეიქმნა. თავდაპირველად იგი მხოლოდ მეფეებისა და დედოფლებისთვის მზადდებოდა, დღეს კი მას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში აწარმოებენ.**

გამოცემა „ბიზნეს ინსაიდერმა“ მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული შამპანურების სია გამოაქვეყნა. მათ შორის პირველი ადგილი საფრანგეთში დამზადებულმა Dom Pღrignon Mathusalem-მა დაიკავა, რომელიც 1996 წელს მხოლოდ 35 ბოთლი გამოვიდა და რომლის ღირებულებაც 49 000 დოლარია. მეორე ადგილზე კი Dom Pღrignon Rosღ გავიდა, რომელიც 1998 წელს აწარმოეს. ერთი ბოთლის ღირებულება 11 179 დოლარს შეადგენს. მესამე ადგილი 6 500 დოლარის ღირებულების კიდევ ერთ ფრანგული წარმოების შამპანურს — Armand De Brignac Brut Gold-s ერგო.







www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხის სასახლეები პრინცესებისთვის



**სომერსეთელი არტისტი რობ ჰერდი ხის უნიკალურ სასახლეებს ქმნის. ხელნაკეთი სასახლეების სიმაღლე საკმაოდ შთამბეჭდავია და ხშირად 3 მეტრსაც აღწევს.**



„ერთადერთი ლიმიტი ჭერის სიმაღლეა, თუმცა, ალბათ, ეს ერთგვარი გამოსავალიც კია — რომ არა ეს შეზღუდვა, ვინ იცის, ჩემი კონსტრუქციები რამხელა გაიზრდებოდა“, — ამბობს რობ ჰერდი.

ამჟამად რობი დევონში (გაერთიანებული სამეფო) ცხოვრობს. მისი შთაგონების წყაროც სწორედ ინგლისური სოფლების სიკოხტავე და ზღაპრული გარემოა.

ხის პირველი ფიგურა რობმა 18 წლისამ გამოთალა. დროთა განმავლობაში მისი ნამუშევრები შესამჩნევად დაიხვეწა. ასობით დეტალისგან შემდგარი ხის მინიატურები ნამდვილ ხელოვნების ნიმუშებად გადაიქცა.

„ხეზე მუშაობის პროცესი ბავშვობასთან მაბრუნებს, როცა უსასრულოდ შემეძლო თვალყური მედევნებინა, როგორ თლიდა მამაჩემი ხისგან კრიკეტის ჯოხებს“, — ამბობს სომერსეთელი არტისტი.

ბოლო რამდენიმე წელია, რობ ჰერდი მხოლოდ ხის სასახლეებს ამზადებს. პირველი ზღაპრული სასახლე მან თავის 3 წლის ქალიშვილს აუგო.







# როგორი ბავშვები დაიბადებიან 2016 წელს

**ბავშვი, რომელიც 8 თებერვლამდე მოასწრებს დაბადებას, ცხვრის (თხის) წელიწადში დაბადებულად ითვლება. მაიმუნის წელში, ანუ 8 თებერვლის შემდეგ დაბადებული თქვენი პატარა კი ანცი, მოუსვენარი, საოცრად გამჭრიახი და მოქნილი იქნება. ასეთი ბავშვები გასაოცარ შემოქმედებით პოტენციალს ავლენენ და სხვებთან შედარებით მალე იზრდებიან. ის ექსცენტრიკული, არაპროგნოზირებადი ინდივიდი იქნება, მისი გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი ხშირად გაგაოცებთ, თუმცა უფრო დიდ ასაკში იამაყებთ კიდეც მისი ამ თვისებით.**

გაითვალისწინეთ, რომ მაიმუნის წელი დიდი ოდენობით ხელოვან და კრეატიულ ხალხს წარმოშობს, ამიტომ, თუკი თქვენს შვილს მცირე ასაკიდან აღმოაჩნდა შემოქმედებითი ნიჭი, ხელი შეუწყეთ მასში ამგვარი ტალანტის განვითარებას. გახსოვდეთ, რომ ეს პატარები ადვილად ერგებიან ნებისმიერ გარემოს. შესაბამისად, სკოლასა და ბაღში მის თანატოლებთან ინტეგრაციის საკითხი არასოდეს დადგება მტკივნეულად.

აქვე უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ ცეცხლოვანი მაიმუნი თქვენს შვილს ფეთქებადი ხასიათითაც დააჯილდოებს და მისთვის დამახასიათებელი იქნება პერიოდულად გარკვეული აგრესიის გამოვლენა. შესაძლებელია, ნაკლები დისციპლინისა და ლოიალურობის გამოვლენის შედეგად, იგი ანჩხლ, გაზულუქებულ, პრეტენზიულ ინდივიდად ჩამოყალიბდეს, ამიტომ ამ წელს დაბადებულ პატარას აღზრდის მხრივ „ოქროს შუალედის“ პრინციპის დაცვა დასჭირდება.

# მენდელეევის სისტემის მე-7 პერიოდი შეივსო




**2015 წლის 30 დეკემბრის IUPAC-ის გადაწყვეტილებით, პერიოდულობის ცხრილის მე-7 პერიოდს ოთხი ახალი მძიმე ელემენტი დაემატა, რომლითაც აღნიშნული პერიოდი შეივსო.**

უკანასკნელი განახლება პერიოდულობის ცხრილმა 2011 წელს განიცადა, როდესაც მას 114-ე და 116-ე ელემენტები დაემატა.

მიმდინარე წელს კი IUPAC-მა საბოლოოდ ცნო დადასტურებულად იაპონელი, ამერიკელი და რუსი მეცნიერების მიერ გაკეთებული განცხადება ახალი ელემენტების აღმოჩენასთან დაკავშირებით. 115-ე, 117-ე და 118-ე ელემენტები აღმოჩენილი იქნა რუსულ-ამერიკული სამეცნიერო ჯგუფის მიერ, რომელიც უკვე წლებია, ერთობლივ კვლევებს ატარებს დუბნას ბირთვული კვლევების ინსტიტუტსა და კალიფორნიის ლოურენს ლივერმორის ეროვნულ ლაბორატორიაში. 113-ე ელემენტის აღმოჩენა კი რიკენის ინსტიტუტში (იაპონია) განხორციელდა პროფესორ კოსუკე მორიტას ხელმძღვანელობით.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





*** 1832 წლის 23 იანვარს პარიზში დაიბადა გამოჩენილი ფრანგი მხატვარი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ედუარდ (ედუარ) მანე.**

მისი ცნობილი ტილოებია: „ლოლა ვალენსიიდან“, „საუზმე ბალახზე“, „რკინიგზა“, „ნავში“, „ბარი „ფოლი-ბერჟერში“, „ოლიმპია“, „ატმები“ და სხვ. გარდაიცვალა 1883 წლის 30 აპრილს.

# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



*** 1848 წლის 20 იანვარს სტეფანწმინდაში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი, დრამატურგი, პოეტი, მთარგმნელი და მსახიობი ალექსანდრე ყაზბეგი (ჩოფიკაშვილი).**

მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „აკაკია მოჩხუბარიძე“, თეატრალური — „მოხევე“.

ალექსანდრე ყაზბეგის საუკეთესო ნაწარმოებებია: „ელისო“, „მამის მკვლელი“, „ციკო“, „განკიცხული“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“, „ელგუჯა“.

ალექსანდრე ყაზბეგი გარდაიცვალა 1893 წლის 19 დეკემბერს. დაკრძალულია სტეფანწმინდაში.

*** 1904 წლის 22 იანვარს პეტერბურგში დაიბადა წარმოშობით ქართველი ამერიკელი ბალეტმაისტერი, ამერიკის კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძე).** მისი მამა იყო გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი მელიტონ ბალანჩივაძე, ძმა — ახალი ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი ანდრია ბალანჩივაძე.




ჯორჯ ბალანჩინის დადგმული აქვს 160-ზე მეტი საბალეტო სპექტაკლი ბუენოს-აირესში, ლონდონში, მილანში, კოპენჰაგენსა და ნიუ-იორკში, სადაც 1948 წელს ჩამოაყალიბა დასი „ნიუ იორკ სიტი ბალე“.

ჯორჯ ბალანჩინი გარდაიცვალა 1983 წლის 29 აპრილს ნიუ იორკში.



*** 1920 წლის 20 იანვარს ქალაქ რიმინიში დაიბადა იტალიელი კინორეჟისორი 5 „ოსკარისა“ და „ოქროს პალმის რტოს“ მფლობელი ფედერიკო ფელინი.**

ფელინის პოპულარული ფილმებია: „გზა“, „კაბირიას ღამეები“, „ტკბილი ცხოვრება“, „8 1/2“, „სატირიკონი“, „ამარკორდი“, „ორკესტრის რეპეტიცია“ და სხვ.

გარდაიცვალა 1993 წლის 31 ოქტომბერს.



*** 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) დაარსდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი — პირველი უნივერსიტეტი კავკასიაში.**

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეა ჯერ მე-19 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებში კი, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, განსაკუთრებით გააქტიურდა ბრძოლა უნივერსიტეტის დასაარსებლად.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების ორგანიზატორობა ითავა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილმა და მისმა პრივატ-დოცენმა **ივანე ჯავახიშვილმა.**

1917 წლის 12 მაისს თბილისში, **პეტრე მელიქიშვილის** ბინაში, გაიმართა ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების პირველი შეხვედრა, რომელსაც **ექვთიმე თაყაიშვილი** ხელმძღვანელობდა.

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) გაიხსნა — დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია, ივანე ჯავახიშვილი კი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში.

ახალდაარსებულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ: **ივანე ჯავახიშვილი, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე,შალვა ნუცუბიძე, ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანისა, დიმიტრი უზნაძე, ვანდა ღამბაშიძე, ილია ყიფშიძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ანდრია ბენაშვილი, ანდრია რაზმაძე, ივანე ბერიტაშვილი, გრიგოლ წერეთელი.**

1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის — ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.




*** 460 წლის წინათ, 1556 წლის 23 იანვარს, ჩინეთში მოხდა ყველაზე დიდი მიწისძვრა (მეცნიერთა ვარაუდით, 8,5 მაგნიტუდის სიმძლავრის) მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით.**

ქალაქი სიანი — პროვინცია შანსის დედაქალაქი, სადაც არქეოლოგებმა იმპერატორ ძინ შიხუან დის სამარხი და ე.წ. ტერაკოტების არმია აღმოაჩინეს, მიწისქვეშა ბიძგებმა მიწასთან გაასწორა.

დაიღუპა 830 ათასი ადამიანი.

*** 1783 წლის 23 იანვარს ქალაქ გრენობლში დაიბადა გამოჩენილი ფრანგი მწერალი სტენდალი (ანრი მარი ბეილი).**



მისი ნაწარმოებებიდან შედევრებად მიიჩნევა: „წითელი და შავი“, „პარმის სავანე“.

სტენდალი გარდაიცვალა 1842 წლის 23 მარტს.




*** 1924 წლის 24 იანვარს საფრანგეთის ალპებში მდებარე ქალაქ შამონიში დაიწყო ზამთრის პირველი ოლიმპიური თამაშები,** რომელშიც 16 ქვეყნის 258 სპორტსმენი მონაწილეობდა. ზამთრის ოლიმპიადა შამონიში დასრულდა 1924 წლის 5 თებერვალს.



*** 1950 წლის 23 იანვარს იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად გამოცხადდა.**

იერუსალიმი წმინდა ქალაქია სამი რელიგიის — ქრისტიანობის, იუდაიზმისა და ისლამის — მიმდევართათვის. მოსახლეობა — 695 ათასი (2/3 — ებრაელი, 1/3 — არაბი) კაცია. იყოფა ძველ და ახალ (ძველზე გაცილებით დიდ) ქალაქად. იერუსალიმი მოხსენიებულია ჩვ.წ. აღ-მდე XIX-XVIII საუკუნეების ძველეგვიპტურ წყაროში.

24 იანვარს სავსემთვარეობაა. მოსალოდნელია ავარიები და ბუნებრივი კატასტროფები. საზოგადოდ კი, 20-26 იანვრის პერიოდი სასიკეთოა ტყუპისა და თხის რქის ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

20 – 26 იანვარი ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი 21 მარტი – 20 აპრილი

ალივსებით ძალებით, მოგემატებათ თავდაჯერებულობა და მიხვდებით, რომ სხვების დაუხმარებლადაც ბევრს მიაღწევთ. მიზნები მკაფიოდ განსაზღვრეთ და ყველა საქმე აუცილებლად მიიყვანეთ ბოლომდე. ეს არ ნიშნავს, რომ შედეგებს დაუყოვნებლივ მიიღებთ — მოთმინებით ალიჭურვეთ, რადგან შემოსავლების მომატებასა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას ცოტა ხანს კიდევ უნდა დაელოდოთ.

მიუხედავად იმისა, რომ შრომა ფუტკარივით მოგიწევთ, ოჯახის წევრები არ უნდა დაივიწყოთ, განსაკუთრებით — მშობლები, მათ თქვენი ყურადღება დასჭირდებათ.

ნუ დაჯდებით დიდხანს ტელევიზორთან და კომპიუტერის მონიტორთან, რადგან დიდია თვალების დაავადების ალბათობა.

**დადებითი დღე: 22 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 24 იანვარი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი–22 ივლისი

თუ საქმე ისე არ მიდის, როგორც დაგეგმილი გქონდათ, ნუ დადარდიანდებით — მალე ყველა პრობლემის მოგვარებას შეძლებთ. მშვიდად განაგრძეთ საქმე და ნოვატორული იდეების განხორციელებას ნუ შეეცდებით. კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად ან გასაყიდად.

მარტოხელა კირჩხიბებს ელით მოულოდნელი შეხვედრა საწინააღმდეგო სქესის ადამიანთან, რომელთან ურთიერთობაც შეიძლება სასიყვარულო ურთიერთობაში გადაიზარდოს.

მაღალია ნაღვლის ბუშტის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 20 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 24 იანვარი.**

## სასწორი 24 სექტ. – 23 ოქტ.

ამ პერიოდში თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიული პრობლემების მოგვარება იქნება. ხელმძღვანელობისგან მიღებული დავალებების შესრულება დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ, მაგრამ შედეგით კმაყოფილი დარჩებით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ და სარისკო ფინანსურ ოპერაციებს თავი აარიდეთ.

დაძაბული რეჟიმის მიუხედავად, საოჯახო მოვალეობების შესრულება არ უნდა დაგავიწყდეთ, რადგან ოჯახის უმცროსი წევრები თქვენგან მეტ მზრუნველობას ელიან.

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, კარგი იქნება, თუ ექიმთან მიხვალთ და გამოკვლევას ჩაიტარებთ.

**დადებითი დღე: 26 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 23 იანვარი.**

## თხის რქა 22 დეკემ. – 20 იან.

ცვლილებები ბევრ დროსა და ენერგიას დაგაკარგვინებთ, მაგრამ ყველა სიახლეს ენთუზიაზმით შეხვდით. მოაგვარეთ ურთიერთობა თანამშრომლებთან და ხელმძღვანელობასთან, დავალებები გულმოდგინეთ შეასრულეთ და წარმატება არ დააყოვნებს. თქვენი მუხლჩაუხრელი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩება და არ არის გამორიცხული, პრემიით დაგაჯილდოვონ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუმცა მოსალოდნელია მცირე გაუგებრობა ნათესავებთან.

მაღალია კუჭქვეშა ჯირკვლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 26 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 24 იანვარი.**

## კურო 21 აპრილი – 21 მაისი

ბიზნესის საკითხებზე ბევრი შეხვედრის გამართვა მოგიწევთ მეგობრებთან და ნაცნობებთან. ამ შეხვედრებისას გაგიჩნდებათ იდეა, რომლის განხორციელებაც დიდ ფინანსურ მოგებას მოგიტანთ, მაგრამ არ უნდა აჩქარდეთ — ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ და დასახული მიზნისკენ სვლას ნელ-ნელა შეუდექით.

თუ ამ პერიოდში არ მოაგვარებთ საყვარელ ადამიანთან შექმნილ უთანხმოებას, სამომავლოდ დიდი პრობლემა შეგექმნებათ. გამოსავალი თქვენს ხელთაა — გადადგით გაბედული ნაბიჯი.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 22 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 20 იანვარი.**

## ლომი 23 ივლისი –22 აგვისტო

ბევრ ლომს არ დააკმაყოფილებს მისი ამჟამინდელი მდგომარეობა და შეეცდება, ბევრი რამ შეცვალოს ცხოვრებაში. ამისათვის კი, მიუხედავად ბევრი წინაღობისა, მზად იქნებიან.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი ან მოგიმატონ ხელფასი.

საყვარელმა ადამიანმა შეიძლება საკმაოდ მწვავე ფორმით წამოგიყენოთ პრეტენზიები და საყვედურების თავიდან არიდებას ნუ შეეცდებით — დიპლომატიური გზით მოაგვარეთ უთანხმოება.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 22 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 25 იანვარი.**

## მორიელი 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

გაგიჩნდებათ იდეა, რომლის განხორციელებას ახლობლების დახმარებით შეძლებთ. განეწყვეთ საბრძოლველად, იყავით კონცენტრირებული და დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რაც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, მაგრამ ფული ეკონომიურად ხარჯეთ, რადგან მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ — დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში.

დაიცავით კვების რეჟიმი. რაციონიდან ამოიღეთ ცხარე და მარილიანი საკვები, უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე.

**დადებითი დღე: 29 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 26 იანვარი.**

## მერწყული 21 იან. – 19 თებ.

ცვლილებები, რომლებიც შეიძლება, თქვენს ცხოვრებაში დაიწყოს, გაიძულებთ, ფასეულობების სისტემას გადახედოთ და პრიორიტეტები გადაანაცვლოთ. ნუ შეგეშინდებათ წინააღობების, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეთ. აქტიურად ეძებეთ მიზნისკენ სავალი გზები როგორც სამსახურში, ისე პირად ცხოვრებაში — წარმატება თქვენი თანმდევი იქნება.

ყურადღებით გააანალიზეთ ინფორმაცია, რომელსაც ამ დღეებში მიიღებთ, რადგან მასზე დიდად იქნება დამოკიდებული თქვენი პროფესიული წარმატება. მარტოხელა მერწყულებისთვის კარგი პერიოდია რომანტიკული ურთიერთობის დასაწყებად.

მაღალია თავის ტრამვირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 22 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 20 იანვარი.**

## ტყუპი 22 მაისი–21 ივნისი

სხვადასხვა მიზეზისა და გარემოების გამო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. შეეცადეთ, რეპუტაცია განიმტკიცოთ, ამისათვის კი უნდა გააკონტროლოთ თქვენი ემოციები და მოქმედებები. კარგი პერიოდია ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად. შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურდღებას მიიპყრობთ, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ, თუ სერიოზული ურთიერთობის გაბმას არ აპირებთ, მსუბუქი ფლირტიც კი შეიძლება სკანდალით დასრულდეს.

**დადებითი დღე: 21 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 23 იანვარი.**

## ქალწული 23 აგვ. –23 სექტემბ.

ანალიზის უნარისა და ლოგიკური აზროვნების წყალობით, ყველა რთული სიტუაციიდან იპოვით გამოსავალს. ოღონდ ყველა საქმეს ერთდროულად ნუ შეეჭიდებით. თქვენი შრომა შედეგს მალე გამოიღებს, რაც ფინანსურ მდგომარეობასაც დაეტყობა.

უარი თქვით სარისკო ფინანსურ და კომერციულ გარიგებებში მონაწილეობაზე.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება — გრძნობა უფრო ნაზი და გულწრფელი გახდება, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს თქვენს ურთიერთობას.

მარტოხელა ქალწულებს გაუჩნდებათ იმ ადამიანთან შეხვედრის შანსი, რომელსაც დიდი ხანია, ელოდნენ.

უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე და ფრთხილად მართეთ ავტომობილი. მაღალია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 24 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 21 იანვარი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. – 21 დეკ.

შეეცადეთ, თავი აარიდოთ თანამშრომელთა კრიტიკას და მათთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა შეინარჩუნოთ. სწორედ კოლეგებთან კარგ ურთიერთობაზე იქნება დამოკიდებული თქვენი წარმატება და წინსვლა კარიერის კიბეზე.

მოგიწევთ ფინანსური პრობლემების მოგვარება. აუცილებლად გაისტუმრეთ ვალი და დაფარეთ კრედიტი.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიული იქნება, თუ მეტისმეტ მოთხოვნებს არ წაუყენებთ, ან ყველა საკითხზე ჯიუტად არ შეეცდებით თქვენი თვალსაზრისის დაცვას.

მაღალია კუჭ-ნაწლავთა სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 20 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 24 იანვარი.**

## თევზები 20 თებ. – 20 მარტი

მოგეცემათ შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შანსი და დასახულ ამოცანებს იოლად გადაჭრით. თქვენი მუხლჩაუხრელი მუშაობა შედეგს ცოტა მოგვიანებით გამოიღებს და შემოსავლებიც მნიშვნელოვნად მოიმატებს, მაგრამ ფული მომჭირნედ ხარჯეთ, რადგან მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

დაქორწინებულმა თევზებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ შვილებს, მარტოხელებმა კი თავი აარიდონ უაზრო ფლირტს.

შეეცადეთ, მოთოკოთ ემოციები და თავიდან აიცილოთ სტრესული სიტუაციები, რადგან არ არის გამორიცხული, მწვავე კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდეთ.

**დადებითი დღე: 20 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 23 იანვარი.**

# ნაცები «მიშაობენ» — გელა ჩარკვიანის რძალმა «გაზპრომს» წითელი აუნთო

**მოლაპარაკებების წინააღმდეგ, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება რუსულ ენერგოკომპანია „გაზპრომთან" აწარმოებს, 26 იანვარს რამდენიმე მუსიკალურმა ჯგუფმა და მომღერალმა საქართველოს მთავრობის კანცელარიასთან გამართეს საპროტესტო აქცია-კონცერტი „არა გაზპრომს".**



**აქციის მონაწილეთაგან გამოირჩეოდა წითელ ექსტრავაგანტურ საცურაო კოსტიუმში (ამ სამოსს კაბას ნამდვილად ვერავინ უწოდებს) გამოწყობილი, ნახევრად შიშველი ქეთათო — თავის დროზე ედუარდ შევარდნაძის მრჩევლის, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში კი დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში საქართველოს ელჩის — გელა ჩარკვიანის რძალი**

აქცია-კონცერტში მონაწილეობდნენ **ნიაზ დიასამიძე,** მომღერალ ირაკლი ჩარკვიანის ქვრივი **ქეთათო,** სკანდალური მწერალ-მომღერალი, „საიდუმლო სირობის" ავტორი **ერეკლე დეისაძე,** ჯგუფები — **„ეპილანი", „გამოუვალი მდგომარეობა",** რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის საბჭოს წევრი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი **ნინო დანელია** (ერთ-ერთი ორგანიზატორი), „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" ხელმძღვანელი **ელენე ხოშტარია,** „ნაციონალური მოძრაობისა" და მისი მხარდამჭერი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები, სულ რამდენიმე ათეული ადამიანი.

ეს აურზაური ატყდა მთავრობის წარმომადგენელთა განცხადების შემდეგ, ზამთარში აზერბაიჯანიდან შემოსული ბუნებრივი აირი საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის და დეფიციტის შევსება „გაზპრომის" ბუნებრივი აირით უნდა მოხდესო.

აქციის მონაწილეთა აზრით კი, „გაზპრომთან" მოლაპარაკებები და რუსული ბუნებრივი აირის საქართველოში შესაძლო იმპორტი საფრთხეს უქმნის ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას, ევროატლანტიკურ კურსსა და, შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობას.

აქციის მონაწილეთაგან გამოირჩეოდა წითელ ექსტრავაგანტურ საცურაო კოსტიუმში (ამ სამოსს კაბას ნამდვილად ვერავინ უწოდებს) გამოწყობილი, ნახევრად შიშველი ქეთათო — თავის დროზე ედუარდ შევარდნაძის მრჩევლის, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში კი დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში საქართველოს ელჩის — **გელა ჩარკვიანის** რძალი, რომელმაც განაცხადა: **„არ ვარ ღრმად ჩახედული გარკვეულ საკითხებში, მაგრამ არანაირი პრაგმატული მოსაზრება არ არსებობს იმის, რომ რუსული გაზი ჩვენთვის მომგებიანი იქნება".**

აი ასე — „ღრმად ჩახედული" არ არის, მაგრამ ღრმად პატივცემული ქეთათო მაინც აპროტესტებს ისევე, როგორც ამ აქციის სხვა მონაწილენი. თუმცა ამ აქციის უკან ნათლად ჩანს ინტერესები „ნაცმოძრაობისა", რომლის წარმომადგენლებსაც ის უფრო ადარდებთ, კონკურენტი არ გაუჩნდეს და, შედეგად, შემოსავლები არ შეუმცირდეს აზერბაიჯანულ ენერგოკომპანია „სოკარს", რომელსაც სწორედ „ნაცმოძრაობამ" შეუქმნა მონოპოლისტური მდგომარეობა („სოკარი" საქართველოს ბაზრის 80%-ს აკონტროლებს) საქართველოში. როგორც ამბობენ, „ნაცმოძრაობის" აქციებს სწორედ „სოკარი" აფინანსებს. ამას ადასტურებს გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოში მოქმედ აზერბაიჯანულ ენერგოკომპანიაში მუშაობენ „ნაცმოძრაობის" წევრები და მხარდამჭერები: ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, ვანო მერაბიშვილის ე.წ. მოლარე **ალექსანდრე ხეთაგური;** „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის" დირექტორი, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი **დავით ზუბიტაშვილი;** „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის" ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ირაკლი ზუბიტაშვილი;** „სოკარ ჯორჯია გაზის" რეაბილიტაციისა და კაპიტალური მშენებლობის სამსახურის უფროსი **ნიკა ზუბიტაშვილი;** სააკაშვილის მთავრობის პერიოდში გურიის ყოფილი გუბერნატორი, ამჟამად „სოკარ ჯორჯია გაზის" ფინანსური სამსახურის უფროსი **ვალერი ჩიტაიშვილი** და თელავის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად „სოკარ ჯორჯია გაზის" კახეთის სამსახურის უფროსი **დიმიტრი ბოჭორიძე.**

აქციის მონაწილეები კი, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობენ „ნაცმოძრაობას", რომელიც ცდილობს, ქვეყანაში ქაოსი დათესოს და ამ გზით დაბრუნდეს ხელისუფლების სათავეში, შემდეგ კი აღადგინოს ელიტური კორუფცია, უკანონობა, ბიუჯეტის ქურდობა, მოქალაქეებისთვის ქონების ჩამორთმევა, ქუჩაში ახალგაზრდების დახვრეტა, პატიმრების ცემა-წამება და გაუპატიურება.

ზემოაღნიშნული აქციის მონაწილეთა ანგაჟირებულობასა და საკითხისადმი ორმაგი სტანდარტით მიდგომაზე ისიც მიუთითებს, რომ მათ არათუ საპროტესტო აქცია მოაწყვეს, კრინტიც არ დაუძრავთ ქართული ეკონომიკის „მამის", სააკაშვილის მთავრობის ეკონომიკის მინისტრ კახა ბენდუქიძეზე, როდესაც მან წლების წინათ განაცხადა: **„რა პრობლემა იქნება, თუ რუსეთიდან შემოსული გაზის გამტარ მილში გადაგვიხდიან ფულს და მერე მოუვლიან ამ მილს?! რას ცვლის ეს ჩვენს ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში? — ჩემი აზრით, არავითარ საშიშროებას არ ქმნის!"**

არც სააკაშვილის რეჟიმის „ხერხემლის", შს ყოფილი მინისტრის — **ვანო მერაბიშვილის** ნათქვამი გაუპროტესტებიათ: **„საქართველოში მოღვაწე „ვითიბი ბანკი", „რაო ეესი" და ა.შ. ძალიან აქტიურ ინვესტიციებს ახორციელებენ. ასე ვთქვათ, ფულს სუნი არ უდის და ნებისმიერი ინვესტიცია საქართველოში მისასალმებელია"**-ო.

რაც მთავარია, არა მხოლოდ ნახევრადშიშველ ქეთათო ჩარკვიანს, არამედ ამერიკიდან გულუხვად დაფინანსებული და მათი ინტერესების გამტარებელი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ხმა არ ამოუღიათ, როცა სააკაშვილის რეჟიმმა რუსულ კომპანიებს მიჰყიდა საქართველოს უმნიშვნელოვანესი ენერგოობიექტები: „თელასი", ჟინვალჰესი, „ვარციხე 1", „ვარციხე 2", „ვარციხე 3", „ვარციხე 4", „ხრამი 1", „ხრამი 2", „ხრამი 3", „ხრამი 4" (მფლობელი რაოეესი), „ხრამი 5, ენგურჰესი, გარდაბნის მე-9 ენერგობლოკი, გარდაბნის მე-10 ენერგობლოკი, შაორჰესი, „აჭარის წყალი" (მფლობელი „ენერგოპრო"), „ყაზტრანსგაზთბილისი" (მფლობელი რუსული კომპანია „გაზპრომი"), რიონჰესი (მფლობელი რუსული კომპანია „ენერგოინვესტი"), „ლაჯანურჰესი", „მადნეული", „კვარციტი", „თბილისის წყალი" (მფლობელი ოფშორში რეგისტრირებული რუსული კომპანია)და სხვ.

როგორც ჩანს, „ნაცმოძრაობისა" და მისი მხარდამჭერების აზრით, სააკაშვილის რეჟიმის მიერ საქართველოს თითქმის ყველა ენერგოობიექტის რუსული კომპანიისთვის მიყიდვა დასაშვებია, აი მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დეფიციტის შევსება „გაზპრომის" ბუნებრივი აირით კი ქვეყანას დაღუპავს... ასეა, ნაცები და მათი მხარდამჭერები (უფრო ზუსტი იქნებოდა, გვეთქვა, — აშშ-ის ინტერესების გამტარებლები) სხვის თვალში ბეწვს ხედავენ, საკუთარ თვალში კი დირეს ვერ ამჩნევენ...

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S.** როგორც კი აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ „გაზპრომთან" მიმდინარე მოლაპარაკება „წინდახედულ ნაბიჯად" შეაფასა და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა საკმაოდ გამჭვირვალედ და დამაკმაყოფილებლად მოქმედებს ამ საკითხზე, „ნაცმოძრაობისა" და მასთან ასოცირებული ე.წ არასამთავრობოების წარმომადგენლებს ხმა აღარ ამოუღიათ, ეტყობა, საკითხში „ღრმად ჩაიხედეს".

სიახლე!
ტიბეტური მედიცინით მკურნალობა
ლიცენზია N 035121



- გასტრიტი, წყლული, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ბუასილი, ჭიებით ინვაზია
- იმპოტენცია, პროსტატიტი, გაძნელებული შარდვა, შარდ-კენჭოვანი დაავადება.
- ფიბრომა, მენსტრუალური ციკლის მოშლა, უშვილობა, მასტოპათია, გართულებული კლიმაქსი.
- უძილობა, მეხსიერების და შრომის უნარის დაქვეითება, ნევროზი, შიშები, დეპრესია.
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, ოსტეოპოროზი, ართროზები, სკოლიოზი.
- წონაში დაკლება, სიმაღლეში ზრდა
- ალერგია
- ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია
- ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

მკურნალობის შერჩევა ინდივიდუალურად გენეტიკის, სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.
☎ 599-54-18-30, 0790-98-63-33

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ შემდეგი დაავადებების მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას:

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)
მის: აღმაშენებლის 154, «მწვანე ოფისი»

სიმაღლეში მომატება!
გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?



დარეკეთ ახლავე!
574 47 39 04
0790 30 94 35

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894